K 38.765 / 2 ov

პ. სეხნაძე

ქართული ვაზის ლილი ოკეანეში

ჯ. სახეჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული
ვაზის დიდი მოამაგე

К 39.965
ე 00

17

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1970

632.752.2:634.8(Გ 922)

634.8 (Გ 41) (09)
634.8 (47.922) (092 სტაროსელსკი)
ხ 364

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზის აკადემიკოსი ᲒᲕᲘᲠᲘᲐ

მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში გავრცელდა ვენახის საშინელი მტერი ფილოქსერა, რომელმაც თითქმის გააჩანაგა ვენახები. ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი რუსი აგრონომი, საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი ვ. ა. სტაროსელსკი, რომელმაც ქართველ სპეციალისტებთან ერთად ვენახები დაღუპვას გადაარჩინა.

ნაშრომში აღწერილია საქარის საცდელი სადგურის მუშაობა და მისი დამაარსებლის ვ. ა. სტაროსელსკის აგრონომიული და რევოლუციური მოღვაწეობა.

სპეგ-2000
შეჯოფმეგულია

4—4—5

295—70 ადგ.

114 ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ 17070

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობა XIX საუკუნის ბოლოს და ფილოქსერის გავრცელება საქართველოში

მევენახეობა-მეღვინეობა ოდითგანვე ქართველი ხალხის სიმდიდრის, კეთილდღეობის მთავარი და ძირითადი წყარო იყო.

ბევრი უცხოელი მეცნიერი ვაზის კულტურის სამშობლოდ საქართველოს თვლის.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტურ წიგნში „საქართველოს ეკონომიური ისტორია" დაასკვნის, რომ „საქართველო ნამდვილად იყო მევენახეობის ერთი მთავარი მსოფლიო ცენტრი"[1].

„ცნობილია, — წერს ივ. ჯავახიშვილი,—რომ კაცობრიობის კულტურის ერთი საყურადღებო და საინტერესო საკითხთაგანი მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლოს საკითხია, რომელზეც ბევრი რამეა დაწერილი. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერ კავკასია მიაჩნია... თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზედ ჯერ მოსაზრების გამოთქმა არ შეიძლება, ყველაფერი, რაც ამ წიგნში უკვე გამოირკვა, ხომ მაინც ცხადყოფს,

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, 1934, გვ. 603.

რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული"[1].

პროფესორი კ. მოდებაძე არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ეპოქაში ვაზი ხარობდა როგორც კულტურული მცენარე და კარგადაც უვლიდნენ მას.

ვაზის კულტურის პირვანდელი სამშობლოს შესახებ მეტად საინტერესოა აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერის დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევის მოსაზრება, რომელსაც, მევენახეობის სამშობლოდ მიაჩნია ამიერკავკასია, კერძოდ კახეთი.

მე-17 საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის აღწერით დასავლეთ საქართველოში ვაზი მეტად დიდ სიმაღლეს აღწევდა. ცნობილ მევენახე მიხეილ ბალასს მე-19 საუკუნის მიწურულში სამეგრელოსა და გურიაში უნახავს ძალიან მაღალი და მსხვილი ადგილობრივი ვაზის ჯიშები. ასეთი დიდი მოცულობის ვაზის რამდენიმე ეგზემპლარს ახლაც შეხვდებით ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში.

გადაჭრით იმის მტკიცება, საქართველო ნამდვილად იყო თუ არა კულტურული მევენახეობის სამშობლო, არ შეიძლება, რადგან ზუსტი მასალა არ მოიპოვება, მაგრამ ყველა გამოკვლევა უფლებას გვაძლევს, რომ საქართველო მივიჩნიოთ კულტურული მევენახეობის სამშობლოდ. ამ ფაქტის უტყუარი დადასტურებაა აგრეთვე ხუთასზე მეტი ქართული ვაზის ჯიში, რომელთა უმეტესობა საუკეთესო ხარისხის ღვინოებს იძლევა.

„დედამიწის ზურგზე, — დაასკვნის პროფესორი პ. გუგუ-

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, 1934, გვ. 60.

შვილი, — არ მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული შესაბამისობის პირობებში ვაზის ჯიშთა რაოდენობის მიხედვით შეეძლოს გვერდში ამოუდგეს საქართველოს"[1].

ქართული ვაზის განვითარების ისტორია სავსებით შეესაბამება და მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ერის მდიდარ ისტორიას.

მევენახეობა-მეღვინეობას ქართველი ერის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ეს კარგად იცოდნენ საქართველოს მტრებმა, ამიტომ იყო, რომ თემურ-ლენგმა მე-14 საუკუნის დამლევს და შაჰ-აბასმა მე-17 საუკუნის დამდეგს საქართველოს დასაუძლურებლად ლაშქარს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ვენახების მთლიანად გაკაფვა უბრძანეს.

თემურ-ლენგი და შაჰ-აბასი თავიანთი სისასტიკით არ ჩამორჩნენ მურმან-ყრუს, რომელიც მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში შემოიჭრა საქართველოში, მთლიანად ააოხრა მესხეთი, აჩეხა არა მარტო ვაზი, ხეხილი, არამედ მთელი ტყებუჩქნარი და ეს აყვავებული მხარე ხრიოკად აქცია. ბარბაროსობის საშინელი კვალი დღესაც ატყვია სამხრეთ საქართველოს.

ქართველი კაცის დიდ შრომისმოყვარეობასა და სამშობლოსადმი სიყვარულს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მტრის მიერ განადგურებული მეურნეობა უმოკლეს დროში კვლავ აღდგებოდა ხოლმე. 1614—1625 წლებში შაჰ-აბაზის მიერ განადგურებული მეურნეობა ისე ჩქარა აღუდგენია განსაკუ-

---

[1] პ. გუგუშვილი, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1955, გვ 285.

თრებით კახეთის მოსახლეობას, რომ 50 წლის შემდეგ აქ გავლილი მოგზაურები და პირველ რიგში შარდენი ალბანეთ-ბაში მოსულა კახეთის საუკეთესო ბაღ-ვენახებითა და ღვინით.

უცხოეთის გამოჩენილი მეცნიერები ახლაც მოხიბლულნი არიან ქართული ღვინით. იტალიის მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის პრეზიდენტი პროფ. ჯოვანი დალმასო, რომელიც 1962 წელს იყო საქართველოში, იტალიის ჟურნალში წერდა, რომ „საბჭოთა კავშირში საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყანაა, საიდანაც მევენახეობა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში... რომ საქართველოში 5000—6000 წლის წინათ, ქრისტეს წინ, მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი სახის ღვინოები“[1].

მე-19 საუკუნის დასაწყისში არაზუსტი ცნობებით საქართველოში ვენახების ფართობი დაახლოებით 75 000 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ 29 000 ჰექტარს ძლივს აღწევდა.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პირველი წლებიდანვე დაიწყო ვენახების ფართობის მნიშვნელოვანი ზრდა და 1932 წლისათვის 34 000 ჰექტარს მიაღწია, 1957 წელს — 59 000-ს, ხოლო 1967 წელს 112 000 ჰექტარს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში მევენახეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხუთწლედის ბოლოს—1970 წლისათვის ვე-

---

[1] ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“, № 8, 1964, გვ. 86—87.

ნახის ფართობი 123 000 ჰექტარამდე უნდა იქნეს აყვანილი. მათ შორის საზოგადოებრივი სექტორის ვენახმა 80 000 ჰექტარს უნდა მიაღწიოს. ვაზის 95—97%-ზე მეტი ამერიკული ვაზის საძირეზე იქნება გაშენებული.

ვენახის ფართობის ზრდასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნამყენი ვაზის ნერგის წარმოებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ახლანდელმა საქარის საცდელმა სადგურმა და მაშინდელმა სახელმწიფო სანერგემ, რომელიც 1890 წელს დააარსა ქველმოქმედმა აგრონომმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და რევოლუციონერმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკიმ.

საქმისა და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო ვლადიმერ სტაროსელსკი ქუთაისის მაშინდელ გუბერნიაში დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. იმერელი გლეხი მას სიყვარულით „ამხანაგ ლადოდ“, „ჩვენს ლადოდ“ მოიხსენიებდა. მისი თანამედროვენი ახლაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იგონებენ ვლადიმერ სტაროსელსკის, რომელმაც საქართველოში მუშაობის პირველ წლებშივე კარგად შეისწავლა ქართული ენა.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი დაიბადა 1861 წელს ჩერნიგოვის გუბერნიის ქ. ჩერნიგოვში, მოსამსახურის ოჯახში, ვლადიმერის მამა — ალექსანდრე, რომელსაც იმდროისათვის კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, დიდი ხნის მანძილზე კეთილსინდისიერად ასრულებდა სტავროპოლის მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობას. მართალია, ალექსანდრე სტაროსელსკის იმდროისათვის საკმაოდ საპატიო თანამდებობა ეკავა, მაგრამ მისი ოჯახი მეფის მთავრობას მაინც არასაიმედოდ მიაჩნდა, რადგან ალექსანდრეს მამა

დეკაბრისტების გამოსვლების დროს აჯანყებულთა მონაწილე ყოფილა. ამის გამო იგი დაუპატიმრებიათ და აჯანყების ხელმ. მონაწილეებთან ერთად ციმბირში გადაუსახლებიათ.

ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ შეიცვალა ვლადიმერისა და მისი ოჯახის ცხოვრების პირობები. ოჯახის შენახვა, ავადმყოფი დედის მოვლა და პატარა ძმის იულის გაზრდა სრულიად ახალგაზრდა ვლადიმერმა იკისრა. აღსანიშნავია, რომ იული, რომელმაც აგრონომიული განათლება უფროსი ძმის დახმარებით მიიღო, 900-იან წლებში ვლადიმერთან ჩამოვიდა საქართველოში და მოღვაწეობდა თბილისის მაშინდელი გუბერნიის დაბა სურამში, როგორც აგრონომი და საფილოქსერო კომისიის წევრი. იგი შემდგომ ვლადიმერის საუკეთესო მეგობარი და თანაშემწე გახდა მის რევოლუციურ მოღვაწეობაში[1].

ვლადიმერი სტავროპოლის გიმნაზიაში სწავლის დროს

---

[1] ჟურნალი „ნოვი მირ“, 1966 წლის თებერვალი. „ვადგენ რა ამასთან ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის საქარის ამერიკული ვაზის სანერგის თანამშრომლების სიას, მაქვს პატივი მოგახსენოთ პოლიციის დეპარტამენტს, რომ 7 კაციდან სამი, სახელდობრ: გასაევი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, კალინინი მიხეილ ფილოტის ძე და დოლმუშინი ალექსანდრ. ალექსანდრეს ძე იმყოფებიან პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ. სტაროსელსკი ვ. ა. თუმცა არ იმყოფება ასეთი მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ მისი ღვიძლი ძმა იული ალექსანდრეს ძე, რომელიც მსახურობს თბილისის გუბერნიის დაბა სურამში, იმყოფება ამ მეთვალყურეობის ქვეშ და ხშირად დაიარება თავის ძმასთან—ვლადიმერთან.

პიროვნების ასეთი დაკავშირება, რომლებიც იმყოფებიან პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ საქარის სანერგეში, უნებლიედ ბადებს ეჭვს, რომ ეს არ არის შემთხვევითობა. და ამიტომ მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ზემოხსენებული პოლიციის დეპარტამენტში განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირჩეოდა როგორც ნიჭიერი და საუკეთესო მოსწავლე. მას არ აკმაყოფილებდა გიმნაზიის სასწავლო პროგრამიდან თვალისწინებული მასალის შესწავლა და სხვა მოწინავე მოსწავლეებთან ერთად სათავეში ედგა თვითგანათლების სამეცნიერო წრეს.

გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1878 წელს ვ. ა. სტაროსელსკი შედის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, რომელიც ამჟამად კ. ტიმირიაზევის სახელს ატარებს. იგი მეცნიერების საფუძვლების ღრმად შესწავლასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა წრეებში, კითხულობდა საიდუმლო ლიტერატურას.

1882 წელს ვლადიმერ სტაროსელსკი ამთავრებს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას და სამუშაოდ აგზავნიან შავი ზღვის სანაპიროს ოლქში გადმოსახლებულთა დასახლების საქმეზე. ახალგაზრდა ვლადიმერმა თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და საქმის ერთგულმა მუშაკმა.

1888 წელს ვლადიმერი დააწინაურეს და გადაიყვანეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომად ამიერკავკასიაში.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა რუსეთში ვენახის ისეთი საშინელი მტრის მასობრივად გავრცელება, როგორიცაა ფილოქსერა, რომელმაც მანამდე მთლიანად გაანადგურა საფრანგეთის ვენახები და ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო. ისტორიკოსები ვენახების გაჩანაგებას ადარებენ ბარბაროსების შემოსევით გამოწვეულ განადგურებასა და ნგრევას, რაც ხშირ შემთხვევაში ასეული წლობით უკან სწევდა ხოლმე ევროპის ცივილიზაციას, ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის ვენახების გადარჩენის მოთავეს, ფილოქსერაგამძლე ამერიკუ-

ლი ვაზის ჰიბრიდების საძირეზე მყნობის მეთოდის ავტორ
ფრანგ მეცნიერს პლანშონს ფრანგმა მევენახეებმა 1894 წელ
ქალაქ მონპელიეში ძეგლი აუგეს, რომელზეც დაწერეს
„მევენახეები პლანშონს“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ვენ
ხებს გარდა ფილოქსერისა, უცხოეთიდან შემოტანილი ა
ერთი დაავადება გაუჩნდა. ყველა ამის შედეგად გადაჭარ
ბული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოში არც ეს
კულტურას არ განუცდია მავნებლების ასეთი გამანადგურ
ბელი გავლენა.

როგორ გაჩნდა ევროპაში ფილოქსერა? როგორც ცნ
ბილია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საფრანგეთის
ნახებს მასობრივად მოედო სოკოვანი დაავადება ნაცარ
რომლის წამლობა ჯერ კიდევ არ იცოდნენ. საფრანგეთ
მევენახეები აქტიურად ებრძოდნენ ამ დაავადებას. მა
ერთმა ნაწილმა დაადგინა, რომ ამერიკული ვაზი ნაცრით
ავადდებოდა, ამიტომ 1863 წელს ამერიკიდან შემოიტა
ვაზის ნერგი, რასაც შემოჰყვა ახალი დაავადება. პირველ
ესეც სოკოვანი დაავადება ეგონათ, მაგრამ ისე სწრაფ
გავრცელდა, რომ მთავრობა იძულებული იყო მისთვის
საკუთრებული ყურადღება მიექცია. დაინიშნა მეცნიერ
რამდენიმე კომისია, რომლებსაც დაევალა ამ დაავადების
მოკვლევა. კომისიის წევრმა მეცნიერმა პლანშონმა დაა
ბული ვაზის ფესვების გულდასმითი დათვალიერებისას
ნიშნა პაწაწინა მოყვითალო მწერი, რომელიც თავისი ხ
თუმით მაგრად მიკვროდა ფესვებს. გამოირკვა, რომ ეს
რი იყო ვაზის დაავადების ერთადერთი მიზეზი.

მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ იგი ჯერ კიდევ 1

წელს იყო აღმოჩენილი ამერიკაში ვაზის ფოთლებზე, მაგრამ იქ ვენახებს არავითარ ზიანს არ აყენებდა, ხოლო ევროპაში ვაზის გამანადგურებლად მოგვევლინა. საფრანგეთში ამ მწერს და მისგან გამოწვეულ დაავადებას ფესვების მომსპობი, ანუ ფილოქსერა უწოდეს.

ამერიკული ვაზის ფილოქსერისადმი გამძლეობა იმით უნდა ავხსნათ, რომ ჯერ ერთი, ამერიკული ვაზი ღონიერი იზრდება და მრავალფესვიანია და მეორეც, ნაკბენი ადგილი მაშინვე უხორცდება, რადგან მეცნიერთა აზრით მის ფესვებში ჭარბადაა შემახორცებელი მასალა, რომელიც ჩვენებურ ვაზს ნაკლებად გააჩნია. ფილოქსერა ისე სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში, რომ 1872 წლისათვის გაჩანაგებული იყო 100 000 ჰექტარი ვენახი, ხოლო 1879 წლისათვის 794 000. 1885 წელს ფილოქსერა უკვე მოედო საფრანგეთის 54 დეპარტამენტს და დააზიანა 1 მილიონ ჰექტარზე მეტი ვენახი, ხოლო 1895 წლისათვის მთელ საფრანგეთში იყო გავრცელებული. ამ დროისათვის იგი ინტენსიურად გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში. გარდა ევროპის ქვეყნებისა, ფილოქსერა გავრცელდა ავსტრალიაში, კალიფორნიაში, არგენტინაში, ჩილეში და სხვ.

რუსეთში ფილოქსერა პირველად 1880 წელს შეამჩნიეს ყირიმში, ხოლო 1881 წელს ფილოქსერის კომიტეტის ექსპერტებმა[1] იგი აღმოაჩინეს აფხაზეთში, რომელიც, როგორც შემდგომში დაასკვნეს, 1872 წელს გერმანიიდან შემოყოლია გ. შერვაშიძის მამულისათვის შემოტანილ ვაზის ნერგს. მა-

---

[1] ფილოქსერის კომიტეტი, 1881 წელს დაარსდა კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამმართველოსთან.

შინვე მიიღეს რადიკალური ზომები და ფილოქსერით დაავადებული კერები სწრაფად იქნა ლიკვიდირებული.

1884 წელს შეამჩნიეს ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრ
რამდენიმე ვენახში, აქაც მაშინვე აღმოფხვრეს.

1881 წლიდან 8 წლის მანძილზე ფილოქსერა საქართ
ლოში აღარ შეუნიშნავთ, ხოლო 1889 წელს ფილოქსერის პა
ტიამ გეევსკის მეთაურობით ფილოქსერა აღმოაჩინეს შორ
ნის მაზრის სოფელ ალისუბანში (ამჟამად თერჯოლის რაიონ
ჩიკვაიძის მამულში, საიდანაც ფილოქსერა სწრაფად მოე
იმერეთის ვენახების დიდ ფართობს. შემოწმებით დადგინ
რომ ალისუბანში 1872—1873 წლებში ევროპული ჯიშის ვა
შემოუტანიათ ქუთაისიდან, ამიტომ მოეწყო ქუთაისის ვენახ
ბის გამოკვლევაც. დადგინდა, რომ ქუთაისში ფილოქსერ
თითქმის ყველა ნაკვეთი იყო დაავადებული, თავგამოდებულ
ცდამ მოესპოთ მავნებელი, შედეგი არ გამოიღო, რად
ფილოქსერა ამ დროისათვის მოდებული იყო არა მარ
ალისუბანსა და ქუთაისში, არამედ მთელ იმერეთში —სვ
ში, კვალითში, ოფჩაში, დიმში და სხვაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში ფილოქსერა შედარებ
გვიან აღმოჩნდა, ქართლში იგი 1893 წელს იპოვნეს ცხინ
ლის მიდამოებში, ხოლო გარე კახეთში 1906 წელს სოფ
მარტყოფში. 1910 წელს კი შენიშნეს შიგა კახეთის სოფ
ლელიანში.

ფილოქსერის მასობრივად გავრცელებამ და ვაზის სოკ
ვანმა დაავადებებმა გამოიწვია არა მარტო ყურძნის მოს
ლისა და ღვინის წარმოების მკვეთრი დაცემა, არამედ ვე
ხის ნარგავების დაკნინება და გახმობა. ეს კი ეროვნულ
ტასტროფას მოასწავებდა. 900-იანი წლებისათვის ვენახებ

ფართობი საქართველოში, როგორც ამხ. კ. ჩარკვიანი აღნიშნავს თავის შრომაში „მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში“ დახლოებით 46 000 ჰექტარს შეადგენდა, 1870 —80-იან წლებთან შედარებით თითქმის 30 000 ჰექტარით ნაკლებს. ვენახის ფართობის შემცირების შესაბამისად მცირდებოდა ღვინის წარმოება და უარესდებოდა ხარისხი.

მეცნიერთა გამოკვლევით ვაზი ერთადერთი მცენარეა, რომელზეც ფილოქსერა ცოცხლობს. არსებობს ფილოქსერას ორი ფორმა: მიწისქვეშა და მიწისზედა. ჩვენში ძირითადად გვხვდება მიწისქვეშა ფორმა.

დაავადებული ვაზის ფესვებზე დაახლოებით აპრილიდან ჯგუფ-ჯგუფად შეინიშნება პაწაწინა მწერები, რომლებიც დათბობისთანავე იღვიძებენ. ისინი ხორთუმით ეკვრიან ფესვებს და ხრავენ მათ. ნაკბენი ადგილი სივდება, ფესვი იწყებს ლპობას, რის გამო ვაზს ესპობა კვების საშუალება და იღუპება.

ძლიერი ვაზი დიდხანს უძლებს ფილოქსერას, სუსტი კი მალე კვდება.

ქართული ვაზი ფილოქსერას ვერ უძლებს, ადრე თუ გვიან ხმება, იგი გარემო პირობების მიხედვით სხვადასხვა გამძლეობისაა, ხანგრძლივი დაკვირვებით დადგენილია: კახური საფერავი ფილოქსერას უძლებს 4—5 წელიწადს. რქაწითელი 10—12, ხოლო კახური მწვანე თითქმის 15 წელიწადს. ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების მაღლობ ადგილებზე, რომლებიც ქვიანია და ნიადაგი კარგი სტრუქტურით ხასიათდება, ციცქა ძლებს 8—9 წელიწადს, ხოლო ამავე რაიონების დაბლობში — სილნარში 20—25 წელიწადს. აქედან დასკვნა: ფი-

ლოქსერა კარგად ცოცხლობს და დიდხანს ძლებს — კარ
სტრუქტურის, ქვიან, ჰაერით მდიდარ, მშრალ მიწებში, ხო
ნიადაგი რაც უფრო დაბლობი და სილნარია, ფილოქსერა მ
უფრო ადრე იღუპება.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ევროპაში ბ
ველად შენიშნეს ფილოქსერა, ადამიანმა მრავალი ცდა
შრომა მოანდომა მის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლის სა
ვეში იდგა კლასიკური მევენახეობისა და მეღვინეობის ქ
ყანა საფრანგეთი. ფილოქსერის წინააღმდეგ ჩატარებუ
ღონისძიებებიდან არასასურველ შედეგს იძლეოდა ვენა
წყლით დატბორვა, წმინდა ქვიშნარ ნიადაგზე გაშენება,
წამვლა შხამიანი მასალებით და ამერიკული ვაზის გაშენ
მოსავლის მისაღებად, რადგან მისი ნაყოფი ევროპულ
შედარებით მეტად მდარე ხარისხისაა და ერთგვარი სპეცი
კური გემოთი ხასიათდება, რაც ცუდად მოქმედებს ღვი
ხარისხზე, არასასიამოვნო გემოსა და სუნს აძლევს. ამის
მო ფრანგმა მეცნიერებმა 1878 წელს სხვა საშუალებას
მართეს — ამერიკულ ვაზზე დაამყნეს ადგილობრივი ვ
მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებამ
ამართლა.

ქართული ვაზის გადარჩენის მიზნით კავკასიის საფილ
სერო კომიტეტმა შეადგინა და იმერეთში გააწესა ორი დ
პირველ დასს ხელმძღვანელობდა აგრონომი ივანე ზაქარ
ძე ანდრონიკაშვილი, ხოლო მეორეს აგრონომი ვლადი
ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ვენახის ამ სა
ნელი მტრის დამღუპველი გავლენა და ამასთან უფრო სრუ

ყოფილად ვუჩვენოთ ფილოქსერის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ, საჭირო იქნება მოკლე მიმოხილვა გასული საუკუნის 80—90-იან წლებში საქართველოში მევენახეობის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს მევენახეობით რუსეთი დაინტერესებული იყო ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან, როცა ქართული ვაზის ჯიშები ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთში სისტემატურად გაჰქონდათ.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შიგარუსეთის ბაზრების ქართული ღვინით მომარაგებას, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. შემოტანილი ღვინოებისათვის რუსეთი უცხოეთის სახელმწიფოებს ყოველწლიურად დიდძალ ოქროს უხდიდა. მარტო 1880 წლისათვის უცხოეთიდან შემოტანილი იყო 18 მილიონი მანეთის ღვინო[1].

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის განკარგულებასაც კი იძლეოდნენ, რუსი და უცხოელი მოხელეებისათვის სპეციალურად გამოეყოთ მიწები ვენახების გასაშენებლად. მევენახეობისადმი ესოდენ დიდი ყურადღება გამოწვეული იყო მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოებით, რომელსაც თავისუფლად შეეძლო კონკურენცია გაეწია უცხოეთის ღვინოებისათვის და დიდძალი მოგება მიეცა რუსეთის იმპერიისათვის.

ღვინით ვაჭრობის გაძლიერებამ სოფლის მოსახლეობაც დაინტერესა. ამ საქმეს პირველ რიგში ხელს კიდებდნენ გლეხთა შეძლებული ფენები, რის შედეგად ახალი ვენახების გაშენება ისეთი სწრაფი ტემპით დაიწყო, რომ მე-19 საუკუ-

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, 1935, გვ. 113.

ნის 70—80-იანი წლებისათვის საქართველოში, გლეხთა ვ
ნახები მთელი ვენახის ფართობის 60—70%-ს შეადგენდა. ი
დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთშ
უკვე შექმნილი იყო მევენახეობის მსხვილი მეურნეობებ
კარდანახში, წინანდალსა და მუკუზანში, სადაც მოწვეულ
სპეციალისტების მიერ მაღალხარისხოვანი ღვინოები მზ
დებოდა და იგზავნებოდა პეტერბურგში.

საქართველოში 70-იანი წლებისათვის ვენახის რაოდენ
ბის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს და ბევრი მკვლევა
ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევა, მაგრამ ა
ერთი მათგანი ვენახის საერთო რაოდენობას დაახლოებ
60 000 ჰექტარზე ნაკლებს არ ასახელებს.

ამ შემთხვევაში სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია ა
კ. ჩარკვიანის დასკვნა „70-იანი წლების პირველ ნახევარ
ვენახებს საქართველოში ეკავათ დაახლოებით 62900 ჰექტ
რი ფართობი“[1].

ვენახის ფართობის ამ რაოდენობიდან 26 000 ჰექტარ
მეტი მაღლარად გაშენებული ვენახი იყო. როგორც პროფ
სორი პ. გუგუშვილი შენიშნავს, საქართველოში უძველ
დროიდან შეიქმნა და ჩამოყალიბდა მევენახეობის ორი ძ
რითადი ფორმა: მაღლარი და დაბლარი. ამიერკავკასია
მართალია, არსებობდა მესამე გართხმული ბუჩქნარის ტ
პის ფორმაც, მაგრამ ასეთი ვაზები მხოლოდ სომხეთის ტ
რიტორიაზე გვხვდებოდა.

„ხეზე გაშვებულს დიდი ტანის მხვიარა მცენარედ გაზ

---

[1] კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქარ
ველოს ეკონომიკაში, 1960 წ., გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილ ვაზს მაღლარი ვენახი ერქვა"[1], აღნიშნავს აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი. გასული საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში ვენახის გაბატონებული ფორმა მაღლარი ვაზი ყოფილა.

„აქ ვაზს, — წერს ცნობილი აგრონომი ერ. ნაკაშიძე (იგულისხმება დასავლეთ საქართველო, კერძოდ გურია-სამეგრელო) აშენებდნენ მარტო მაღლარად, ე. ი. უშვებდნენ ხეებზე; დაბლარი ვენახი, სარებზე აკრული, აქ წინათ იშვიათი იყო. უწინ იქაური მაღლარი იძლეოდა საუკეთესო ღვინოს. ასე, რომ გურია-სამეგრელო მეღვინეობის მხრივ ცნობილი იყო დასავლეთ საქართველოში ისე, როგორც ახლა ზემო იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი"[2].

მაღლარი გავრცელებული იყო აგრეთვე სამხრეთ საქართველოში — აფხაზეთსა და აჭარაში, ხოლო იმერეთსა და რაჭაში მაღლარი ვენახი ჭარბობდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველესი და ნაკლებად ინტენსიური მაღლარი ფორმა, ნაკარნახევი იყო ბუნებრივ-ისტორიული პირობებით;

მაღლარიდან დაბლარზე გადასვლა განაპირობა ვაზის სხვადასხვა დაავადებამ. მაღლარი ვენახი, რომელიც ხშირ შემთხვევაში 20—25 მეტრი სიმაღლის ხეებზე იყო ასული, ძნელად მისადგომი იყო და აქედან გამომდინარე მისი მოვლა რთულ შრომასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ზოგჯერ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწილი II, 1935, გვ. 308.

[2] ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა, 1929, გვ. 6.

სრულებითაც არ ხერხდებოდა. მაგრამ მაღლარ ვენახს ... იტყვიან, ლახვარი ჩასცა განსაკუთრებით ვაზის ავადმყოფ... ბამ — პირველ რიგში კი ჭრაქმა, ნაცარმა, და ბოლოს ფილო... სერამ. ამ დაავადებების წინააღმდეგ სისტემატური ღონის... ებების გატარება, მაღლარად გაშენებული ვენახისათვის თი... მის შეუძლებელი იყო. ამის გამო, აღნიშნავს პროფესორი პ. გ... გუშვილი — „1850—1860-იანი წლებიდან მოყოლებული, ე... თი მხრივ ფულადი მეურნეობის განვითარებამ და, მეო... მხრივ, ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობამ დიდათ დაჩქარ... მაღლარიდან, — როდესაც ვაზის შეწამვლა ძნელია და ხ... რად შეუძლებელიც, — გადასვლა დაბლარზე, როდეს... შეწამვლაც გაადვილებულია და მევენახეობის შემოსავ... ნობაც იზრდება“[1].

მე-19 საუკუნის მიწურულში, როცა ფილოქსერამ თი... მის მთლიანად გაანადგურა გურია-სამეგრელოს ვენახ... აქაურმა მევენახეებმა მოუფიქრებლად მიბაძეს იმერე... მევენახეებს და განურჩევლად შეუდგნენ დაბლარი-ლ... ნილი ვენახის გაშენებას როგორც მაღლობ, ისე ვაკე ად... ლებში. მაგრამ დაახლოებით 20 წლის შემდეგ გამოირ... რომ ასეთი წესით გაშენებულმა ვენახებმა ვერ გაამართ... ზოგან ყურძენი არ დამწიფდა, მარცვლები დასკდა და ... ლუპა, ზოგან კი ვენახს სიდამპლე გაუჩნდა. ამ მწარე გ... ცდილებამ დააშინა გურია-სამეგრელოს გლეხობა და ... ლარი ვენახის გაშენებაზე უარი თქვა.

დაბლარი ვენახის გაშენების ცდა პირველი როდი ...

---

1 პროფ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ეკონომიკის ინსტ. შრომები, წიგ... 1951 წელი, გვ. 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დაბლარი ვენახის გაშენება სცადა გურიაში მცხოვრებმა ინგლისელმა აგრონომმა იაკობ მარმა ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის მამამ, რომელმაც სოფელ იანაულში, ჩოხატაურის მახლობლად ადგილობრივი ვაზის ჯიშებით გააშენა დაბლარი ვენახი. მარი დაკვირვებით დარწმუნდა, რომ ასეთი წესით გაშენებული ვენახი, ბუნებრივი პირობების გამო არ იძლეოდა სასურველ შედეგს და იღუპებოდა, ამიტომ იძულებული გახდა ისევ დაბრუნებოდა მაღლარი ვენახის გაშენებას.

იაკობ მარი არა მარტო ჩინებული მევენახე, არამედ ჩინებული მეღვინეც იყო. იგი ადგილობრივი წესით აყენებდა წითელ ღვინოს ჯანისა და მტევანდიდის ჯიშებისაგან. ღვინის საუკეთესო ხარისხი იმითაც იყო განპირობებული, რომ ყურძენს ჯიშების მიხედვით ახარისხებდა. მტევანს აცლიდა დამპალს, გაფუჭებულს და დაუმწიფებელ მარცვლებს. ამასთან ცალ-ცალკე წურავდა ვაზის ქვედა, შუა და წვერის მტევნებს. ღვინის დადუღება საწნახელში ხდებოდა. შემდეგ ასხამდა დაკირულ ქვევრში. ღვინოს წლის განმავლობაში 3—4-ჯერ გადაიღებდა ხოლმე, ბოთლებში ასხამდა და ინახავდა. ასე დაყენებული ღვინო საუკეთესო ხარისხის იყო და მას ბაზარზე „მარის ღვინოს“ ეძახდნენ, რომელიც კარგად გადიოდა არა მარტო ქუთაისის გუბერნიაში, არამედ რუსეთში და საზღვარგარეთაც კი. იაკობ მარი საკუთარი მამულიდან ამზადებდა სულ მცირე 9000 ლიტრ ღვინოს, გარდა ამისა, ყურძენს ყიდულობდა მეზობელი მევენახეებისაგან.

დასავლეთ საქართველოში დაბლარი ვენახის გაშენების მეორე პერიოდი არის მე-19 საუკუნის 60-იანი წლები, კერ-

ძოდ რეფორმის შემდგომი პერიოდი, როცა ზოგიერთმა ადამ-
წინავე მეურნემ დაიწყო დაბლარი ვენახის გაშენება ქართუ-
ლი და ფრანგული ჯიშებით. მაგრამ ამ ცდამაც არ გაამართ-
ლა. დაბლარი ვენახი არ გამოდგა განსაკუთრებით გურია-
სამეგრელოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ა. სტაროსელსკი და საქარის საცდელი სადგური — ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი

როგორც აღვნიშნეთ, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა ვლადიმერ სტაროსელსკისა და ივანე ანდრონიკაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1890 წლის 26 სექტემბერს ზესტაფონის მახლობლად — სოფელ საქარაში მოაწყო ამერიკული ვაზის სანერგე, რომელიც შემდგომში გადაიქცა ქართული ვაზის გადარჩენის მთავარ და ძირითად ცენტრად არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში.

საქარის სანერგე მოეწყო მდინარე ყვირილას ველზე, რომელიც აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია დამრეცად დაშვებული გორაკებით. დასავლეთით კი მთლიანად ღიაა, ოდნავი დაქანებით, თანდათან ფართოვდება და მდ. რიონის ჭალას უერთდება. სანერგის სიმაღლე ზღვის დონიდან 198 მეტრს უდრის, საშუალო წლიური ტემპერატურა 14°-ს აღწევს.

სანერგის ტერიტორია მცირე დაქანებისაა, წყლის დადგომა და დაჭაობება არ ხდება, რადგან ქვენიადაგი და უფრო

ღრმა ფენებიც წყალგამტარია. ჰავა თბილი, რბილი და ნესტიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად აქ გაიხსნა გოგირდნახშირბადის (ფილოქსერისა და ვენახის სხვა მავნებლების წინააღმდეგ) და ხელსაწყოების ცენტრალური საწყობი, რომელიც ფილოქსერის გამომრკვევ ყველა პარტიას არა მარტო ინტექსიდებით და აპარატურით ამარაგებდა, არამედ აქედან იღებდნენ აგრეთვე საჭირო რჩევა-დარიგებებს და სამოქმედო ინსტრუქციებს.

ნახ. 1. საქარის სანერგის გოგირდ-ნახშირბადის საწყობი

1891 წლისათვის ამ საწყობს გადაეცა პატარა ნაკვეთი, დაახლოებით 220 კვ. მ, რომელზეც დარგეს ამერიკული ვაზის თესლიდან აღმოცენებული ნერგი, აქვე ააშენეს პატარა სახლი ლაბორატორიული სამუშაოებისათვის და საცხოვრებლად. ასე ჩაეყარა საფუძველი საქარის სანერგეს, სადაც პირ-

ველ ხანებში ფილოქსერის წინააღმდეგ იყენებდნენ გოგირდ-ნახშირბადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაროსელსკი ამერიკული ვაზის ლერწზე ადგილობრივი ვაზის დამყნობის გზით ნერგის გამოყვანას, პირველად მიუღებლადაც კი თვლიდა. 1892 წლის იანვარში ქ. თბილისში გამართულ სამეურნეო საზოგადოების კრებაზე მოსმენილი იქნა მისი მოხსენება ვაზის წამლობის მეთოდებზე.

აი რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ივერია“: „ვიდრე ფილოქსერიანი ვაზის წამლობის მეთოდებს კრიტიკულად განიხილავდა, ბ-ნი სტაროსელსკი ჯერ ამ საგნის ლიტერატურას შეეხო. ბ-ნი სტაროსელსკის აზრით, უცხოეთშიდაც ყოველს მეთოდს ვაზის წამლობისას თავისი მომხრეები ჰყავს, მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ უცხოეთში ერთის რომელსამე მეთოდის მომხრე, იმავე დროს მავნედ არა ხდის მეორე მეთოდს ვაზის წამლობისას, ხოლო რუსეთში სულ სხვანაირად იქცევიან: იქ ერთის მეთოდის მომხრენი, მეორეს სრულიად უარყოფენ, ამის გამო ჩვენში ეს ფრიად საყურადღებო და საჭირბოროტო საგანი ძლიერ ნაკლებად და ცალმხრივადაა გამორკვეული.

..სტაროსელსკი შეეხო ვაზის წამლობის მეთოდებს და კრიტიკულად განიხილა მათგან სამი: 1) წამლობა ვაზისა ფილოქსერის მოწამვლით, 2) წამლობა წყლის დაყენებით ვენახში და 3) წამლობა ელექტრონის ძალის მეშვეობით.

ამჟამად ზოგნი გვირჩევენ, — ამბობდა სტაროსელსკი, ვაზის წამლობაზე ხელი აიღეთო და ამის მაგიერ შეუდექით გაშენებას ამერიკული ვაზისა, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებსო. მაგრამ ეს საქმე ყოვლად მოუხერხებელია, რად-

გან ძლიერ დიდი ხარჯი დასჭირდება და გლეხები ვერ შეძ
ბენო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ დაიწყეს ამერიკიდან ვაზის ზიდვა, ჩვენშიაც სწო
ის ამბავი მოხდება, რაც საფრანგეთში მოახდინა ამ საქ
ე. ი. მცირე მამულის პატრონებს ხელიდგან გამოაცლიან
მულს ფულის პატრონები, რომელნიც, კითხვა არ უნდა
რევიან საქმეში.

ეხლანდელს ვენახებს რომ არ უწამლოთ, თავი მივ
ბოთ და ამერიკულის ვაზის გაშენებას შეუდგეთ, მაშინ
ვაზი გვაბადია, სულ გაგვიოხრდება, ვერც ამერიკულ
გავაშენებთ დროზე და ჩვენი ქვეყანა სრულიად გავერან
ბა, უდაბნოს დაემსგავსება.

მაშ უთუოდ ვაზს უნდა უწამლოთ, მაგრამ გვიშვე
რასმე წამლობა და რაც ხარჯი მოგვივა წამლობაზე, იმის
მაგიეროს ავიღებთ ვენახებიდან?, პასუხად ამ საგნისა ბ
სტაროსელსკიმ ცნობარი მოიყვანა საფრანგეთის ზოგიერ
ოლქისა, სადაც ფილოქსერიანს ვენახებსა სწამლავდნენ,
ის აზრი დაასკვნა,რომ ვაზის წამლობა ხარჯებსაც აანაზღ
რებს და კარგ მოსავალსაც მოგვცემსო.

საფრანგეთში ფილოქსერიანი ვენახების წამლობა
გირდოვანი ნახშირბადით 1877 წელს დაიწყეს. ამავე დრ
ამერიკული ვაზის გაშენებასაც მიყვეს ხელი. 1879 წ
ბეზიეს ოლქში მხოლოდ 8 კაცმა უწამლა სულ 350 ჰექ
ვენახს, 1880 წელს 115 კაცმა — 1352 ჰექტარ ვენახს, ხო
1881 წელს 235 კაცმა —4238 ჰექტარს. მდინარე რო
ხეობაზე 1879 წელს 3758 ჰექტარ ვენახს უწამლეს, ხო
1880 წელს 8567 ჰექტარს.

პატარა ვენახების პატრონებმა, რომ ველარ შეიძლებს ცალ-ცალკე თავისი ვენახების წამლობა, სინდიკატები (ასოციაციანაგობა) დაარსეს და ამ სახით, შეერთებული ძალით გაუმკლავდნენ ვაზის მტერს ფილოქსერას“...

შემდეგ გაზეთი განაგრძობს... „ტექნიკური მხარე ფილოქსერიანი ვაზის წამლობის მეთოდებისა ბ-ნმა სტაროსელსკიმ თითქმის იმ სახითვე განმარტა, როგორადაც შარშან ჩვენს გაზეთში იყო განმარტებული. უფრო საყურადღებოა მოხსენების ის ნაწილი, სადაც ბატონი სტაროსელსკი ლაპარაკობს თვითეული მეთოდის გამოსადეგობაზე ჩვენში.

ელექტრონით წამლობა ფილოქსერიანი ვენახებისა იმ ზომამდე რთული, ძნელი და საეჭვო საქმეცაა, რომ ჩვენში კი არა, განათლებულს ევროპაშიც ვერ ახერხებენ ამ მეთოდის ხმარებას.

ვენახში წყლის დაგუბებით ვაზის წამლობა ადვილად მოსახერხებელია, რომ თუ კი ან საკმაო წყალი მოიპოვება და ან სხვა მხრივ დაბრკოლება არ იქნება რა. მაგრამ ჩვენში ჯერ ერთი, რომ წყალი საკმარისი არ არის და მეორეც სადაც არის, ბევრგან ყოვლად მოუხერხებელია მთელს ვენახში წყლის დაგუბება.

უფრო ბევრი ილაპარაკა ბ-ნმა სტაროსელსკიმ და ვრცლად განმარტა პირველი მეთოდი — ფილოქსერის მოწამვლით წამლობა ვენახისა. ეს მეთოდი ყველგან მოსახერხებელია.

ამის შემდეგ სტაროსელსკი შეუდგა გამოანგარიშებას წამლობაზე გასაღებ ხარჯისას და ვენახის შემოსავლისას.

ხარჯი ჯერ თვით წამლობა და იარაღის ყიდვაა და მეორეც მუშაობა, მოცდენა. ამის გამო გლეხს პატარა მამულის

პატრონს, უფრო იაფად უჯდება წამლობა, ვიდრე დიდს მემ-
მამულეს: რადგან, დიდმა მემამულემ მუშებიც [illegible]
რაოს და ფული გაიღოს, ხოლო გლეხი თვითონვე მუშაობ-
თავის ვენახში და მუშაზე გასაცემი ხელფასი ჯიბეში რჩებ-
ბა. ამის და მიუხედავად იმერეთში ორი დღიურის ფილოქ-
სერიან ვენახის წამლობა დიდს მემამულეს უჯდება 75 მანე-
თი, გლეხს 60 მანეთი. ყველაზე მეტი ფასი თვით წამალზეა
გოგირდოვან ნახშირბადზე მოდის, რომელიც ჩვენში ძვირად
იყიდება.

ბათუმში, გემზე გოგირდოვანი ნახშირბადი 10 კილოგრამი
40 ფრანკად ღირს. ესე იგი თითქმის იმდენივე, რამდენადაც
თვით საფრანგეთში, მაგრამ ბათუმს აქეთ ხარჯი ემატება
და საფილოქსერო კომიტეტს ყვირილაში ერთი ფუთი გო-
გირდოვანი ნახშირბადი 3 მანეთი და 31 კაპ. უჯდებოდა, ბა-
თუმში კი იყიდებოდა 3 მანეთად და 1 კაპიკად“ .·. და შემ-
დეგ ... „საჭიროა მთავრობა ჩაერიოს საქმეში და შემწეობ-
ბა მისცეს მემამულეებს, როგორც ევროპის სახელმწიფოთა
მთავრობანი სჩადიან. მაგალითად იტალიასა, ავსტრია-ვენ-
რიასა, რუმინიასა და ბევრგან სხვაგან მთავრობა მუქთად
ურიგებს ფილოქსერის წამალსა. მუქთათვე მთავრობის ხა-
ჯით ექსპერტებიც იგზავნებიან აქეთ-იქით სოფლებში, რო-
მამულის პატრონებს ხელმძღვანელობა გაუწიონ ვენახების
წამლობაში. ჩვენშიაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობ-
ბა ასევე მოიქცევა. ამაზე ის გარემოებაც გვაიმედოვნებს, რო-
ადრევე სამინისტროში პროექტის შედგენასაც აპირებდნ-
ამის შესახებ. იმოდენად რომ შეამციროს მთავრობამ ხარ-
რომ ორი დღიურის ვენახის წამლობა 75—60—45 მანეთი ჯ-
ბოდეს, სწორედ კარგი შეღავათი იქნება. გლეხი და დიდ-

-მამულეც ადვილად შეძლებს საქმის გაძღოლას და ხარჯ გა-
-ედ კარგი შემოსავალიც დარჩება. აი დაწვრილებით ამის-
-გარეში: შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში ორს დღიურს
-ენახს გამოდის 200—250 ფუთი ღვინო, ფუთი ზოგან 1 მან.
-ირს, ზოგან 1 მან. 50 კაპ. და ზოგან 3—5 მანეთი. ამის
-ალობაზე შემოსავალი ორი დღიურის ვენახისა ქვემო იმე-
-ეთში 200—300 მან. ზემო იმერეთში კი 300—700 მანეთი.
-ენახის დამუშავების ხარჯად 100 მანეთს რომ გამოვიდეთ,
-ინდა შემოსავალი დარჩება ქვემო იმერეთში 100—200 მა-
-ეთი და ზემო იმერეთში 200—600 მან. ამ ფულით მამულის
-ეტრონი წამლობასაც შეიძლებს ვენახებისას და თვითონაც
-ეკმაოდ დარჩება.

ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ
-ენახი ღვინის გარდა სხვა სახის მოსავალსაც იძლევა, რომე-
-ითაც მემამულე ასე თუ ისე, ზურგს იმაგრებს.

ამის შემდეგ ბ-ნმა სტაროსელსკიმ სიმინდისა და ბამბის
-ოსავალი იანგარიშა ორი დღიურის კვალობაზე და ის აზ-
-ი დასკვნა, რომ წამალი ფილოქსერიანი ვენახის უფრო
-ასარგებლოა მემამულისათვის, ვიდრე სიმინდისა და ბამბის
-ოყვანის მიმდევრობაო.

ზემოხსენებული ანგარიში იმის კვალობაზეა შედგენილი,
-ომ ფილოქსერიან ვენახს გოგირდოვანი ნახშირბადით წამ-
-ლობენ. ამ წამლის გარდა, სხვა მეორე წამალიცაა — გო-
-ირდ ნახშირბადოვანი კალი. ეს წამალი უკეთესად არჩენს
-ენახს, ვიდრე პირველი წამალი, მაგრამ ძლიერ ძვირი კია"[1].

ცოტა ხნის შემდეგ სხვა ქვეყნებში, კერძოდ საფრანგეთ-

---

[1] გაზ. „ივერია", 1892, 16 იანვარი, № 10, გვ. 3.

ში წარმოებული ცდებით სტაროსელსკი დარწმუნდა
კულ ვაზზე მყნობის მეთოდის უპირატესობაში. ა
წელს მოითხოვა საქარის სანერგის ფართობის გაზრ
სეტინამდე. ამავე წელს სამინისტროს ნებართვით და
ნანსებით სანერგის ტერიტორიაზე ააგეს მეორე
მეტეოროლოგიური სადგური, რომელმაც დიდი რო
მაშა სანერგის შემდგომ საქმიანობაში.

მიუხედავად ყველა ამ ღონისძიებისა, სანერგე
არსებობის ორი წლის მანძილზე მაინც ვერ შეძლო
ამოცანის შესრულება, ამ დროს აკრძალული იყო
გარეთიდან ლერწის შემოტანა და სანერგე ამერიკ
თესლით ამრავლებდა. მაგრამ ცდებითა და დაკვირ
დადგენილ იქნა, რომ თესლიდან აღმოცენებული
ადვილად ავადდებოდა სოკოვანი დაავადებებით, რ
ვარია ნაკლებად უძლებდა ფილოქსერას და ცხადია
ბის აღსადგენად არ გამოდგებოდა, ამიტომ 1893 წ
ხელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აღძრა შუამდგ
რათა მიეღო ნებართვა საზღვარგარეთიდან, კერძოდ
გეთიდან შემოეტანათ ამერიკული ვაზის ერთწლიანი
ეს საქმე ითავა ვ. სტაროსელსკიმ. მან იმოგზაურ
რანგეთში, მოინახულა მევენახეობის ძირითადი რაიო
აღტაცებული დარჩა იმ დიდი შრომით, რაც საფრანგ
ამ კლასიკური მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყ
ვენახეებს განადგურებული ვენახების აღდგენისათვ
წევიათ.

ამავე წელს სტაროსელსკის დაჟინებითი მოთხოვ
ქარის სანერგისათვის საფრანგეთიდან შემოიტანეს ს
სო ხარისხის სხვადასხვა ჯიშის 3000 ცალი ლერწი. ამ

ების შედეგად 1893 წლიდან სანერგემ მიიღო სწორი მიმართ-
ელება და 1894 წელს მის საცდელ ნაკვეთებზე დარგეს
ბიური და ერთნაირი თვისების მცენარეები. ამ საქმეში
თგვარი წარმატების შედეგად სტაროსელსკიმ საცდელი
კვეთები მოაწყო აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა მიწებზე
თაისის გუბერნიაში.

ამ დროს იმერეთის ვენახები ფილოქსერისაგან ისე მა-
ბრივად იყო დაზიანებული, რომ გაზეთი „ივერია“ იძუ-
ებული გახდა განგაში აეტეხა.

„მოსალოდნელია, — წერდა გაზეთი, — რომ სულ ახლო
მავალში მთელს ზემო იმერეთს სრულიად გამოეცლება ხე-
იდან ვენახი და ამგვარად მოესპობა მას ერთ-ერთი საიმე-
ო წყარო ცხოვრებისა.

მაგრამ ვენახის მოსპობით ყველაზე უფრო სოფელი სვირი
ავარდება განსაცდელში. ეს სოფელი მუდამ ნაქები ყოფილა
ავისი ღვინით. ამ ბოლო დროამდის მთელი სოფელი ერთს
იდს ზვარს წარმოადგენდა და აუარებელი მშვენიერის ღირ-
ების ღვინოც მოდიოდა, ასე რომ ღვინის შემწეობით მრავალ-
ი სვირელნი საკმაოდ იყვნენ გამდიდრებულნი.

ერთი სიტყვით ამ ხუთიოდე წლის წინად მათ ბედს ძაღლი
ერ დაყეფდა, მაგრამ გაუჩნდა ვაზს ფილოქსერა, ნაცარიც წი-
ანდელზე უფრო გაძლიერდა და სვირელნი იძულებულნი
ახდნენ მომეტებული რიცხვი ვენახებისა აეჭრათ და მის ად-
ილზე სიმინდი დაეთესათ.

რამდენი დროც გადის იმდენად დანარჩენი ვენახებიც თან-
ათან ფუჭდება და შესაძლოა, რომ მალე, ძალიან მალე, სვი-
ელნი სრულიად უვენახოდ დარჩებიან. ნახეთ მაშინ მათი
კიდურესი მდგომარეობა! მათ ერთად ერთ სახსრად ცხოვრე-

ების შედეგად 1893 წლიდან სანერგემ მიიღო სწორი მიმარ-
ულება და 1894 წელს მის საცდელ ნაკვეთებზე დარგეს
ბიური და ერთნაირი თვისების მცენარეები. ამ საქმეში
თგვარი წარმატების შედეგად სტაროსელსკიმ საცდელი
კვეთები მოაწყო აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა მიწებზე
თაისის გუბერნიაში.

ამ დროს იმერეთის ვენახები ფილოქსერისაგან ისე მა-
ბრივად იყო დაზიანებული, რომ გაზეთი „ივერია“ იძუ-
ებული გახდა განგაში აეტეხა.

„მოსალოდნელია, — წერდა გაზეთი, — რომ სულ ახლო
მავალში მთელს ზემო იმერეთს სრულიად გამოეცლება ხე-
იდან ვენახი და ამგვარად მოესპობა მას ერთ-ერთი საიმე-
ო წყარო ცხოვრებისა.

მაგრამ ვენახის მოსპობით ყველაზე უფრო სოფელი სვირი
ავარდება განსაცდელში. ეს სოფელი მუდამ ნაქები ყოფილა
ავისი ღვინით. ამ ბოლო დრომდის მთელი სოფელი ერთს
იდს ზვარს წარმოადგენდა და აუარებელი მშვენიერის ღირ-
ების ღვინოც მოდიოდა, ასე რომ ღვინის შემწეობით მრავალ-
ი სვირელნი საკმაოდ იყვნენ გამდიდრებულნი.

ერთი სიტყვით ამ ხუთიოდე წლის წინად მათ ბედს ძაღლი
ერ დაყეფდა, მაგრამ გაუჩნდა ვაზს ფილოქსერა, ნაცარიც წი-
ანდელზე უფრო გაძლიერდა და სვირელნი იძულებულნი
ახდნენ მომეტებული რიცხვი ვენახებისა აეჭრათ და მის ად-
ილზე სიმინდი დაეთესათ.

რამდენი დროც გადის იმდენად დანარჩენი ვენახებიც თან-
ათან ფუჭდება და შესაძლოა, რომ მალე, ძალიან მალე, სვი-
ელნი სრულიად უვენახოდ დარჩებიან. ნახეთ მაშინ მათი
კიდურესი მდგომარეობა! მათ ერთად ერთ სახსრად ცხოვრე-

ბისა სიმინდის მოყვანა გადაექცევათ და აბა, მიბრძან
გორ გაუწევთ მათ სიმინდი, თუნდ ოდნავ ვენახის ბაგი

მთელს სოფელში რაც უნდა კარგი მოსავალი იქნ
სიმცირისა და მცხოვრებთა სიმრავლის გამო, არასოდეს
ვა იმდენი სიმინდი, რომ ყველა მკვიდრთ სარჩენლადა
და იმავე დროს გასაყიდადაც ბლომად გადარჩეთ. რა ე
ბათ მაშინ სვირელთ ალლახმა უწყის!..

ძლევამოსილი მეცნიერება — კი ჯერჯერობით თით
ლური გამხდარა პაწაწკინტელა ჭიასთან ბრძოლაში და ე
უხერხებია, რომ ვენახს სიმთელე დაუბრუნოს, ან
ნაცვლად სხვა რამ ჭირნახულის მოყვანა შეასწავლოს
ერთი სიტყვით ჯერჯერობით ხალხი ანაბარადაა დარჩ

ასეთია და მგონი ბევრად უნუგეშოც ეკონომიური
მარეობა სვირელთა, წინად დიად შეძლებულთა, ხო
ბოლო დროს ვალსა და ვახშში ჩაცვენილთა"[1].

ამ დროს საქართველოში, კერძოდ ქუთაისის გუბ
ფილოქსერა იმდენად გაძლიერდა, რომ ბევრ სპეცი
ეჭვიც კი ეპარებოდა ვენახის ამ ულმობელი სენის წინ
ბრძოლის რაიმე ეფექტში, ამიტომ 1893 წელს მიწათმ
ბისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო იძულებუ
მოეწვია რუსი და უცხოელი სპეციალისტები, რომელთა
გენლობაში შედიოდნენ აკადემიკოსი კ. კოვალევსკი,
უნივერსიტეტის პროფესორი ა. მელიქიშვილი, მარსელ
ვერსიტეტის პროფესორი მარიონი და უნგრეთის ენტო
გიური სადგურის დირექტორი ჰოვარტი. ამ საექსპერ

---

1 გაზ. „ივერია", 1895, № 184.

მისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრონომები ვლ. სტაროსელსკი და ი. ანდრონიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ავტორიტეტული ფორუმის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ამერიკული ვაზის სანერგეთა გაშენების მიზანშეწონილობა და ადგილობრივ პირობებთან შეგუებისათვის უკეთესის შერჩევა.

ქართული ვაზის გადარჩენისათვის წარმოებულ ბრძოლას ფართოდ ეხმაურებოდა საქართველოს პერიოდული პრესა და კომისიის საქმიანობის შესახებ სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას ქართველ მკითხველს.

აი რას იუწყებოდა გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ: „პარასკევს, 14 მაისს, კავკასიაში ჩამოვიდნენ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აგრონომები: ფრანგი მეცნიერი მარიონი და ავსტრიელი ჰოვარტი. მათ მოყვებიან: აკადემიკოსი კოვალევსკი, პროფესორი მელიქიშვილი და ენტომოლოგი პოჩინსკი. ბათუმში მათ მიეგებებიან აქაური ადგილობრივი აგრონომები და საფილექსერო დასების ექსპერტები.

მეცნიერნი დაათვალიერებენ ფილოქსერით დაავადებულ ვენახებს ქუთაისის გუბერნიაში. შემდეგ ჩამოვლენ ტფილისში და აქ საფილოქსერო კომიტეტის რამდენიმე კრებას დაესწრებიან ფილოქსერის შესახებ მოსალაპარაკებლად და იმის გამოსარკვევათ თუ რა საშუალება უფრო ივარგებს ფილოქსერასთან საბრძოლველად. ამ კრებებზედ მოწვეულნი იქნებიან აგრეთვე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი და ზოგიერთი დიდი მემამულენიცა“[1].

---

[1] გაზ. „ივერია“, 1893, 15 მაისი, № 99.

5 დღის შემდეგ — 1893 წლის 19 მაისს გაზეთი „ივერია“ კვლავ იუწყებოდა, რომ „მაისის 19-ს აქაური (ლაბორატორიის ზეს ტაფონზე) ფილოქსერა — მოდებული ვენახების გასასინჯ ქუთაისიდან ამოვიდნენ ვენგრიელი სწავლული ბ-ნი ჰოვარტ და ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მელიქიშვილი მოველოდით მათთან ერთად ბ-ნთ მარიონსა და კოვალევსკის მაგრამ ზოგიერთთა მიზეზის გამო ეს უკანასკნელნი მეორე დღემდე არ ამოსულან. ორივენი ნ. ღოღობერიძის სტუმრებ იყვნენ. საღამოს ჟამს ფილოქსერის დასმა ექსპერტების თან დასწრებით გასინჯეს საქარის საჩქოლე (питомник), ხოლ მეორე დილით ცხენებით სვირის ვენახების დასათვალიერებ ლად გაემგზავრნენ. ნაშუადღევის სამს საათზედ ქუთაისიდან ბ-ნი მარიონი და კოვალევსკიც ამოვიდნენ. ისინიც ბ-ნ ღოღ ბერიძესთან იყვნენ მიპატიჟებულნი. მეორე დღეს დილით ორ თავემ წინა დღით ბ-ნი ჰოვარტისა და მელიქიშვილის მიერ გასინჯული საქარის საჩქოლე ინახულეს. პატივცემულმა სწავ ლულებმა ამ გულმოდგინე დაკვირვებისაგან ის სამწუხარო აზ რი გამოიტანეს, რომ შორაპნის მაზრაში ფილოქსერასთან ბრძოლაზე ხელი უნდა აიღონო, სჯობს ვაზის მაგივრად სხვ რამ სასარგებლო მცენარის მოშენებას შეუდგენო.

„... ამ თვის 20-ს ორივე სწავლული ქალაქს (იგულისხმება თბილისი) გამოემგზავრნენ, სადაც სამეურნეო საზოგადოებაში თავიანთი აზრი უნდა წარმოთქვან ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ ჩვენში“[1]. და მართლაც, მეორე დღესვე მეცნიერთა ჯგუფი თბილისში ჩამოვიდა, სადაც 1893 წლის 21 მაისს სა ფილოქსერო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს

---

[1] გაზ. „ივერია“, 1893, 1 იანვარი, № 112.

ფილოქსერისაგან ვენახების გადარჩენის ღონისძიებები. ეს რას წერს ამის შესახებ გაზეთი „ივერია“, „პარასკევს, 21 მაისს საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კრება მოხდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა, მეცნიერ მარიონის, ჰოვარტის, პროფესორ მელიქიშვილისა, პროფ. კოვალევსკისა და სხვათა თანდასწრებით.

კრების თავმჯდომარედ იყო ბ-ნი შიმანოვსკი, — თავმჯდომარე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

საკამათო საგანი იყო: რა საშუალებით და რა გზით შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერით დაზიანებული ვენახების წამლობა. ამ საგნის შესახებ წარმოთქვეს თავისი აზრი მარიონმა და ჰოვარტმა. უფრო საყურადღებო და საგულისხმო იყო სიტყვა მარიონისა. მარიონმა ფრანგულად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც პროფესორ კოვალევსკის მიერ რუსულად იქნა გადათარგმნილი. აი მოკლედ მისი ნათქვამი: საზოგადოთ მთელს ქუთაისის გუბერნიაში და კერძოთ შორაპნის მაზრაში ყოვლად შეუძლებელია გოგირდის ნახშირბადით წამლობა ფილოქსერისა, რადგანაც ნიადაგი ამ წამლობისათვის სრულ შეუფერებელი და შეუხამებელი არისო.

ქუთაისის გუბერნიის ნიადაგი 20 სანტიმეტრის ქვემოდ სულ მაგარია და სწორედ ამისათვის ვერ გაიტანს გოგირდის ნახშირბადი ძალას ფილოქსერაზედაო. ამრიგად ბ-ნი მარიონის აზრით სრულ უსარგებლოა ქუთაისის გუბერნიაში გოგირდის ნახშირ-ბადით წამლობა.

მერე მარიონმა ილაპარაკა, იმაზედ, შეიძლება თუ არა ამერიკის ვაზის გაშენება ქუთაისის გუბერნიაში და სასარგებლო იქნება თუ არა იგი.

მარიონმა თქვა: ჩვენ არ შეგვიძლიან ვურჩიოთ ქუთაისის

გუბერნიას, რომ ამერიკის ვაზი გააშენონ. ამას იმ მოსაზრებ
ვამბობთ, რომ სამხრეთ საფრანგეთში და ავსტრო-ვენგრია
კარგახანია გააშენეს ამერიკული ვაზი და ზედ ადგილობრი
დაამყნეს, მაგრამ ეს ვაზი 3—4 წელიწადს თუ გაძლებს და მ
რე ფუჭდება. ამ მაგალითის მნახველს, ჩვენ არ შეგვიძლ
ვურჩიოთ ქუთაისის გუბერნიას ამერიკის ვაზის გაშენება, მი
უმეტეს, რომ თვით ევროპაშიაც არ არის მოგონილი სახსა
ამგვარ ვენახების ჯანმრთელად შენახვისა. ამასვე ვამბობთ ს
ზოგადოდ, ხოლო რასაკვირველია კარგი და სასარგებლო
ნება ამერიკის ვაზი გააშენოთ სხვა და სხვა სადგურებში
გამოსცადოთ, თუ რა შედეგი იქნება.

შემდეგ მარიონმა თქვა: თუ ქუთაისის გუბერნიაში
კერძოდ შოროპანის მაზრაში უსარგებლო და შეუხამებელ
გოგირდის ნახშირბადით წამლობა ფილოქსერისა და თუ ამ
რიკის ვაზის გაშენებაც სათუო სარგებლობას მოიტანს, მ
დარჩენილია ერთი გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ხალხი, თ
არ უნდა რომ ერთბაშად ეკონომიური კრიზისი დაატყდეს თ
საო. ხალხმა სხვა რამეს უნდა მოჰკიდოს ხელი და მევენახეო
გამოეთხოვოსო. აი თუნდა ზეთისხილის ხე გააშენონ ან ს
რაიმეო“[1].

პროფესორი მარიონი ამბობდა რომ: „მეცნიერული თვ
საზრისით არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი ამიერკავკასიაში
ლოქსერის მიერ განადგურებული ვენახების ამერიკული
ზის კულტურით აღდგენისაო“[2]. ხოლო პროფესორი ჰოვარ

---

1 „ივერია“, 1893, 23 მაისი, გვ. 5.

2 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1
გვ. 343.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო შორს წავიდა და რჩევას იძლეოდა გაგვეშენებინა ჰირუსული დაპირ მწარმოებლური ჰიბრიდები, ანდა საერთოდ ხელი აგვეღო მევენახეობაზე და მის ნაცვლად გაგვეშენებინა თუთა და გვირილა. მაგრამ ჩვენმა სპეციალისტებმა დაუმტკიცეს რომ ისინი ცდებოდნენ. მათ პირველ რიგში წინ აღუდგა ვლადიმერ სტაროსელსკი და ივანე ანდრონიკაშვილი, რომლებმაც ყურადღება არ მიაქციეს უცხოელი სწავლულების ნაჩქარევ დასკვნებს და ქართველ მევენახე სპეციალისტებთან ერთად მეტი მონდომებით და ენერგიით დაიწყეს მუშაობა საქარის სანერგის გაფართოებისათვის.

1894 წელს საქარის სანერგეში ნამყენი ვაზის წარმოების გადიდება და ამ გზით ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა, ცნობილი გახდა მთელი რუსეთის მასშტაბით. ამავე წლის ზაფხულში საქარის სანერგეს ეწვია მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომელმაც მოიწონა მისი საქმიანობა. მან შეაქო საზოგადო საქმისადმი სტაროსელსკის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ამასთან აწონ-დაწონა მდგომარეობა და გააკეთა დასკვნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სანერგე გადაკეთებულიყო საცდელ სადგურად. ამ დროს საცდელი სადგურის დაარსება გადაწყვეტილი იყო ქუთაისში.

მომდევნო წლის გაზაფხულზე ქ. პეტერბურგში გაიმართა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ყრილობა, რომელმაც მოიწონა ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა და ქ. ქუთაისში საცდელი სადგურის დაარსებაზე უარი თქვა. ეს საქმე საქარის საცდელ სადგურს დააკისრა.

1895 წლიდან სამინისტროს უშუალო დახმარებით აიგო

ახალი შენობები და შეძენილ იქნა საჭირო მანქანა-იარაღ
სანერგის ფართობი გაიზარდა 14 დესეტინამდე.



ნახ. 2. საქარის სანერგის ლაბორატორია.

ვ. სტაროსელსკის კარგად ესმოდა, რომ ამერიკული ვაზ
თვისებები და მისი დამოკიდებულება ადგილობრივი ნიადაგ
სა და ჰავისადმი საჭიროებდა ამ ადგილის შესაბამისი ჯიშებ
შერჩევას, ამასთან საჭირო იყო ამერიკულ ვაზსა და ადგ
ლობრივ ჯიშებს შორის ნათესაობის დადგენა, მყნობისათ

შესაფერისი დროის შერჩევა და, რაც მთავარია, მოსახლეობისათვის მყნობის ხერხების სწავლება და მათი დარწმუნება მის უპირატესობაში, ამიტომ სტაროსელსკის ინიციატივით და ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფელში ამერიკული ვაზის ადაპტაციის შესწავლისათვის მოეწყო საცდელი ნაკვეთები: 1897 წელს შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთაში, საზანოში, უბისაში და ბაზალეთში, ქუთაისის მაზრის სოფელ სიმონეთში, ხრესილში და როდინოულში, სენაკის მაზრის სოფელ ძველ სენაკში; 1898 წელს — ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, შორაპნის მაზრის სოფელ ჭალაში და ქუთაისის მაზრის სოფელ კულაში, 1899 წელს — შორაპნის მაზრის სოფელ ბოსლევში და ქუთა-

ნახ. 3. საქარის სანერგე და სათბური

ისის მაზრის სოფელ როდინოულში, ამავე წელს საფუძველ
ჩაეყარა ვაზის სანერგეებს რაჭის, ლეჩხუმის და ონურგეთ
მაზრებში, აგრეთვე გორისა და თბილისის მაზრებში. ამრიგად
1901 წლისათვის მარტო ქუთაისის გუბერნიაში იყო 29 საცდ
ლი ნაკვეთი. ამ სანერგეების მუშაობას ხელმძღვანელობდა
კონტროლს უწევდა საქარის საცდელი სადგურის თანამშრო
ლები.

საცდელი ნაკვეთების უმეტესობა იმდენად კარგი იყ
რომ სანერგის ხელმძღვანელობამ იგი გამოიყენა საჩვენ
ლად. ამით გლეხობას აღუძრა ინტერესი შეეძინა ამერიკულ
ვაზის ლერწი და ეწარმოებინა მყნობა საკუთარი საჭიროების
თვის. იმის დასადგენად, თუ როგორი ინტერესით მოეკი
იმერეთის მოსახლეობა ამერიკული ვაზის საძირეზე ვენახებ
გაშენებას და ფილოქსერით განადგურებისაგან მის გადარჩ
ნას, მოვიყვანთ მონაცემებს ამერიკული ვაზის ლერწისა
ნერგის გაყიდვის შესახებ. 1895 წელს საქარის სანერგემ მ
იღო დაკვეთა 17 პიროვნებისაგან და 5 სახალხო სასწავლ
ლისაგან 65 380 ცალ ლერწსა და ნერგზე, 1896 წელს — 3
ქუთაისის გუბერნიის გლეხებისაგან 334 150 ცალზე; 189
წელს — 418—495 000 ცალზე; 1898 წელს — 778—558 00
ნერგზე, აქედან დაკმაყოფილებულ იქნა 492 დაკვეთა და გაი
468 000 ცალი ნერგი. დაკვეთების დიდი უმრავლესობა გლ
ხობაზე მოდიოდა.

გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ წერდა: „ქუთაისის გუ
ბერნიაში საქარის საცდელი სადგურის მეშვეობით ამერიკულ
ვაზი თანდათან უფრო ვრცელდება. განსაკუთრებით გლეხობ
ეტანება ამერიკულ ვაზს. 260 კაციდან, რომლებმაც შარშ
ამერიკული ვაზის ნამყენი გაიტანეს სანერგიდან, 75 პროცენტ

გლეხობა შეადგენდა. ამჟამად ქუთაისის გუბერნიაში უკვე 400 დესეტინაზე მეტი ვენახია ამერიკულ ვაზზე გაშენებული.

მომდევნო წლებში ლერწისა და ნერგის წარმოება საქარის სანერგეში გაიზარდა 800 000 ცალამდე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რადგან მოთხოვნილება ბევრად უფრო დიდი იყო. ამიტომ 1897 წელს სტაროსელსკიმ კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთავარი სამმართველოს წინაშე დააყენა საკითხი ამერიკული ვაზის ლერწის წარმოების გაფართოების შესახებ და მოითხოვა დასავლეთ საქართველოში ახალი სანერგის მოწყობისათვის მიწის ფართობის გამოყოფა. მთავარმა სამმართველომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და 1897 წლის ბოლოს დასავლეთ საქართველოში სადგურ საჯავახოს ახლოს, სოფელ ქორეისუბანში (ახლანდელი სამტრედიის რაიონი) გამოუყო მიწის ნაკვეთი, სადაც 3 წლის მანძილზე გაშენდა სადედე 42 დესეტინამდე, რომელიც წელიწადში აწარმოებდა 3 მილიონ გრძივ მეტრ საძირე მასალას. დღის წესრიგში დადგა მყნობის წესების შესწავლა და სტაროსელსკის მოთხოვნით 1897 წელს საქარაში გაიხსნა მყნობის შესასწავლი კურსები, რომელიც მალე პოპულარული გახდა. ამავე წელს კურსები გაიარა 400-მა კაცმა. მყნობასთან ერთად ასწავლიდნენ ამერიკული ვაზის თვისებებს, ვენახისათვის ნიადაგის მომზადებას, ვაზის დარგვის, მისი გასხვლა-ფორმირების წესს, დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს და სხვ.

1897 წელს ჟურნალი „კვალი“ კურსების გახსნასთან დაკავშირებით წერდა: „სადაც საქარის სანამყენე არის გამართული, — დაბა ყვირილის ახლოს, ბატონი სტაროსელსკი აპირებს თებერვალში კურსების გამართვას და უნდა შეასწავლოს



ნახ. 4. ქორეისუბნის სანერგის საერთო ხედი

ტექნიკურად, პრაქტიკულად ყველას ვინც ბაღოსნობას მის-
დევს ამერიკული ვაზის დამყნა. ამიტომ ბატონი სტაროსელს-
თხოვს ფილოქსერის კომიტეტს გამოგზავნონ თანაშემწედ ბა-
ტონი ლუპანოვი. საინტერესოა შევიტყოთ ბატონი ლუპანოვ-
რა ენაზე აპირებს აუხსნას მსმენელებს ვაზის დამყნა, ნეტა ვი-
ცოდეთ ნუთუ ქართველი აგრონომი არ მოგვეპოვება?"[1].

კურსებზე ასწავლიდნენ: კავკასიის საფილოქსერო კომიტე-
ტის ინსტრუქტორები, სახალხო სკოლის მასწავლებლები, თბი-
ლისისა და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავ-

---

1 ჟურნალი, „კვალი", 1897 წ., № 7, გვ. 149.

ლებლები. სტაროსელსკიმ გაითვალისწინა ჟურნალი „კვალის“ საყვედური და მასწავლებელთა დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ, სწავლებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

მომდევნო წელს ასეთივე კურსები გაიხსნა 6 სოფელში. საქარის სანერგეესთან კურსების კონტროლისა და დახმარების გასაწევად შემოღებული იქნა მებაღეთა თანამდებობა, რომლის მოვალეობა იყო მეურნეობის დათვალიერება წელიწადში რამდენჯერმე და საჭირო რჩევა-დარიგების მიცემა.

მოსახლეობაში ამერიკული ვაზის უკეთ გავრცელების მიზნით ვ. სტაროსელსკიმ აღძრა შუამდგომლობა კავკასიის ოლქის სკოლების მზრუნველთან, რათა ნება დაერთო სახალხო სკოლებთან მოწყობილიყო ამერიკული ვაზის საძირეზე დამყნილი ვენახი. სტაროსელსკის ეს თხოვნაც დაკმაყოფილებულ იქნა და 1899 წელს ასეთი ვენახი მოეწყო ოზურგეთის მაზრაში 3 სახალხო სკოლასთან, ქუთაისის მაზრაში ორ სკოლასთან, შორაპნის მაზრაში ორ და სენაკის მაზრის ერთ სკოლასთან. ვენახის დარგვაზე ზედამხედველობა დაკისრებული ჰქონდა სკოლის მასწავლებლებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა საქარის სანერგის სპეციალისტები.

საქარის სანერგეესთან გახსნილმა მოკლევადიანმა კურსებმა, მართალია, უზრუნველყო უშუალოდ მყნობაზე მომუშავეების მომზადება, მაგრამ საქმის შემდგომი წარმატებითი გაგრძელებისათვის საჭირო იყო უფრო მომზადებული ახალგაზრდობა, ამიტომ 1898 წელს სტაროსელსკი სპეციალურად მიემგზავრება პეტერბურგში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, სანერგეესთან ერთწლიანი სკოლის გახსნის მოსაგვარებლად. აქ მოიწონეს მისი წინადადება და ამავე წელს მინისტრის ბრძანებით საქარაში დაარსდა, — ერთწლია-

ნი მუშა-პრაქტიკოსების სკოლა. სკოლაში პრაქტიკულ მეცა
ნეობას ატარებდა მებაღე, სასწავლო მეცადინეობა
სუფალ დროს, დღეში 3 საათს. სკოლაში ასწავლიდნენ რუს
ენას, ბოტანიკას, ქიმიის მოკლე კურსს, მევენახეობა-მებაღ
ობას. ეცნობოდნენ აგრეთვე მებოსტნეობას და აბრეშუ
ჭიის მოვლას.

სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით ჟურნალი „კვალ
წერდა: „სამიწადმოქმედო მინისტრის ნებართვით საქარის

ნახ. 5. საქარის სანერგესთან არსებული ერთწლიანი
მუშა-პრაქტიკოსთა სკოლის შენობა

ნერგეში დაარსდა სკოლა მუშა-მებაღეთა მოსამზადებ
შეგირდებად მიიღებენ ყველა წოდების ყმაწვილს 15 წლი

უმეტეს ნაწილად კი იმათ, ვისაც დამთავრებული ექნება პირველ დაწყებითი სკოლა და რუსული ეცოდინება. მიღება ყველთვის შეიძლება, სწავლა გრძელდება ერთ წელიწადს. მოსწავლეები პრაქტიკულად გაეცნობიან ამერიკული ვაზის გახარებას, დამყნას, ვაზის სხვადასხვაგვარ ავადმყოფობებს და იმათ წინააღმდეგ ბრძოლას, და აგრეთვე სხვადასხვა სასარგებლო ხეხილის კულტურას. ზამთრობით ყოველსავე ამას თეორიულადაც გააცნობენ შეგირდებს"[1].

სკოლამ, რომელიც 1913 წელს გადაკეთდა მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკულ უმდაბლეს სკოლად, — დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მისაღებ გამოცდებზე მეტი ახალგაზრდა ცხადდებოდა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო.

1899 წელს სკოლა დაამთავრა თერთმეტმა კაცმა, აქედან ორი საიმპერატორო მებაღეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

1901 წელს სკოლა დაამთავრა 18-მა კაცმა. ჟურნალი „კვალი" ამის შესახებ წერდა — „როგორც შორაპნის მაზრის საქარის ამერიკული ვაზის სანერგის გამგის ანგარიშიდან ჩანს, 1900 წლის განმავლობაში სანერგესთან დაარსებულ გამოსაცდელ სკოლაში სწავლობდა 20 კაცი. ამათგან წლის განმავლობაში სკოლიდან გასულა 10 კაცი. შემდეგ კიდევ მიუღიათ 8 კაცი, ასე რომ 1901 წელს 1 იანვრისათვის სკოლაში ყოფილა 18 კაცი. მოსწავლეებიდან 4 კაცი ყოფილა — აზნაური, ერთი სასულიერო წოდების წარმომადგენელი, დანარჩენი კი გლეხები. საანგარიშო წელს სკოლის შესანახად დახარჯულია 2245 მანეთი და 95 კაპ."[2].

---

[1] „კვალი", 1895, № 6, გვ. 96.

[2] ჟურნ. „კვალი", 1901, № 5, გვ. 31.

სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე 132 კაცი მთამბა
აქედან ზოგიერთი სამუშაოდ გაიგზავნა სპეციალობის მიხედ
ვით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო უმეტესობა ს
მუშაოდ დარჩა საკუთარ მეურნეობაში.

კურსდამთავრებულებიდან ზოგიერთი ამჟამად ცოცხალ
და დიდი სიყვარულით იგონებენ სკოლაში გატარებულ ე
წელს.

აგრონომი ალ. შარაშიძე, რომელიც მოღვაწეობდა ქუთ
ისში, სტაროსელსკის მიერ დაარსებულ სკოლას მაღალ შ
ფასებას აძლევდა. აი რას სწერდა იგი „სასოფლო გაზეთშ
1912 წელს: „ამ ოცი წლის წინად, დაბა ყვირილას ახლოს, სი
ფელ საქარაში დაარსებული იქნა საქარის სანერგე ამერიკულ
ვაზისა და მასთან პრაქტიკული შკოლა მევენახეობისა. ამ ს
ხელმწიფო შკოლის სათავეში დარჩა ვ. სტაროსელსკი, რომელ
მაც ისე დააყენა საქმე, რომ ყველას ნდობა და სიყვარულ
დაიმსახურა. ამ შკოლაში ბლომად აღიზარდნენ ქუთაისის გ
ბერნიის სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდები, რომლებმაც ხელ
შეუწყვეს მევენახეობისა და ნამყენი ვაზის გავრცელებ
ჩვენში“[1].

ფილოქსერა სწრაფად ვრცელდებოდა აგრეთვე აღმოსავ
ლეთ საქართველოში, პირველად თავი იჩინა ქართლში. ცხადი
საქარის სანერგის ხელმძღვანელობა გულგრილი ვერ იქნებ
და ამ ფაქტისადმი. საქარის სანერგეში შემუშავებული ღონ
ძიებების პირდაპირ გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოს
თვის არ იძლეოდა სასურველ შედეგს. ეს პირველ რიგში შ

---

[1] ალ. შ ა რ ა შ ი ძ ე, „სასოფლო გაზეთი“, № 4, 1912 წ.

ეხებოდა დასავლეთ საქართველოს ნიადაგებში გამოყვანილ ნერგს, ამიტომ საჭირო იყო ახალი ცდების მოწყობა და იმის დადგენა, თუ რომელი სახის ამერიკული ვაზის საძირე აღმოჩნდება უკეთესი აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ამას ისიც ემატებოდა, რომ კანონი კრძალავდა ამერიკული ვაზის შეტანას დაავადებული რაიონებიდან დაუავადებელ რაიონებში. ამიტომ აუცილებელი იყო გამოენახათ საშუალებები აღმოსავლეთ საქართველოში ამერიკული ვაზის შეტანისათვის. ასეთ საშუალებას წარმოადგენდა ვაზის გამოჯანმრთელება ნაყარ სილაში, რადგან მეცნიერულად დამტკიცებული იყო, რომ ნაყარ სილაში ფილოქსერას არსებობა არ შეეძლო და ამდენად აქ გამოყვანილი ნერგი საშიში აღარ იქნებოდა.

ამ მიზნით 1896 წელს საფუძველი ჩაეყარა ამერიკული ვაზის სადეზინფექციო სანერგეს ნაყარ სილაზე სტავროპოლის გუბერნიაში. აქ გამოყვანილი ნერგით 1897 წელს ქართლში, სოფელ აღაიანში მოეწყო სანერგე, სადაც სამი წლის მანძილზე გამოყვანილ იქნა 12 000 ცალი ამერიკული ვაზის ნერგი. 1898 წ. კახეთში — სოფელ კონდოლში გაშენდა ახალი სანერგე.

აღაიანისა და კონდოლის სანერგეების ძირითადი დანიშნულება იყო აგრეთვე ადგილობრივი ნიადაგების, კლიმატური პირობებისა და მოსახლეობისათვის მყნობის წესების შესწავლა. აღნიშნულმა სანერგეებმა ამ საქმეს თავი კარგად გაართვეს.

1897 წელს საქარის სანერგეში პირველად დარგეს დამყნილი ევროპული ვაზი, ხოლო 1898—1899 წლებში სანერგიდან მთლიანად ამოძირკვეს როგორც ადგილობრივი, ისე ფრანგული ნარგავები, რომლებიც მიუხედავად წლების მანძილზე გა-

ნახ. 6. აღაიანის სანერგის საერთო ხედი

გირდნახშირბადით მკურნალობისა, ფილოქსერას მაინც ვერ
გადაურჩნენ.

საქარის სანერგეში 1898 წლისათვის დამყნილი იყო 51 ჯი-
ში, აქედან ადგილობრივი — 11, ხოლო დანარჩენი ფრანგული.

საქარის სანერგეში 1894 წლიდან დაიწყეს აგრეთვე საცდე-
ლი ხეხილის ბაღის გაშენება, სადაც ძირითად სარგავ მასალად
გამოყენებულ იქნა ოდესიდან და საზღვარგარეთიდან შემოტა-
ნილი ჯიშები. 1897 წელს აქვე მოეწყო მეხილეობის სანერ-
გე — სკოლა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ადგილობრივ

მოსახლეობაში დამყნილი ხეხილის გავრცელება. სტაროსელსკის ამ წამოწყებას ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა.

იმავე წელს 2000 ცალ ნერგზე შემოვიდა მოთხოვნა. სანერგეში შეძლო მხოლოდ 242 ძირი ნერგის გაცემა. 1899 წელს სანერგეში ხეხილის ნამყენის რაოდენობა 2820-მდე გაიზარდა, აქედან გაიყიდა 666 ძირი.

სანერგეში სამეურნეო და სასწავლო მიზნით 528 კვადრატულ საჟენზე მოჰყავდათ ბოსტნეული. თესავდნენ აგრეთვე სიმინდს და დროგამოშვებით საკვებ ბალახებსაც კი.

უნდა აღინიშნოს რომ, სანერგის საქმიანობა მარტო ზემოთ აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მის ლაბორატორიაში კეთდებოდა ნიადაგის ქიმიური ანალიზი და სწავლობდნენ მექანიკურ შედგენილობას, რის საფუძველზეც შეადგინეს ქუთაისის გუბერნიისა და კახეთის მევენახეობის ზოლის ნიადაგის სქემატური რუკა, დაადგინეს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის დამწიფებისა და კრეფის ვადები, ღვინის დუღილის გაუმჯობესების ხერხები და სხვ. აკვირდებოდნენ ფილოქსერის ბიოლოგიას. შეისწავლეს ვაზის ძირითადი დაავადებანი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები.

აღწერეს ქუთაისის გუბერნიაში გაშენებული ადგილობრივი ვაზის მნიშვნელოვანი ჯიშები, შეიმუშავეს ვაზის მყნობის წესები და დარგვის ვადები.

სანერგეს ჰქონდა ადგილობრივი ფლორის ჰერბარიუმი და მათი ფოტოები; ქუთაისის გუბერნიის ნიადაგების და მთის წიაღისეულის მდიდარი კოლექციები; ვაზისა და სხვა კულტურების სოკოვან და სხვა დაავადებათა და სოფლის მეურნეობის მავნებელ მწერთა კოლექციები; ამერიკული და ევროპული ვა-



ნახ. 7. საცდელი ხეხილის ბაღი საქარის სანერგეში

ზის ჯიშების ფოტოალბომები, ვაზისა და ხეხილის გასხვლა-ფორმირების ფოტოსურათები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქარის სანერგეს მომსახურებას უწევდა სანერგის გამგე, მეღვინე ასისტენტ-ქიმიკოსი, ნიადაგთმცოდნე ასისტენტ-ქიმიკოსი, ორი მებაღე-მევენახე, საქმის მწარმოებელი, რამდენიმე უმცროსი მოსამსახურე კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მათ განკარგულებაში იყო:

1. მეორე თანრიგის მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც მუშაობდა მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის პროგრამით;

2. მეღვინეობის ქიმიური ლაბორატორია, რომელსაც ჰქონდა ღვინის ბიოლოგიის მიკროსკოპული და ბაქტერიოლოგიური განყოფილება;

3. ნიადაგის ქიმიური ლაბორატორია, რომელიც აწარმოებდა ქიმიურ, ფიზიკურ-მექანიკურ გამოკვლევებს, სათანადო ხელსაწყოებით;

4. ღვინის დასაყენებელი და საცდელი სარდაფი, 5000 ვედრო ღვინისათვის;

5. მუზეუმი ვაზის რქის (კალმის), ვენახის მავნებლების, ნიადაგის სახეების, მთის ჯიშების და სხვათა კოლექციებით;

6. ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა 1200 ტომს;

7. მევენახეობა-მეღვინეობის ერთწლიანი სკოლა.

სანერგის 16 დესეტინა ფართობი განაწილებული იყო შემდეგნაირად:

1. ამერიკული ვაზის სადედეს ეჭირა 2 დესეტინა და 418 კვ. საჟენი, 11,700 ბუჩქით;

2. ნაყოფის მომცემ ამერიკულ საძირეზე დამყნილი ვაზი 7 დესეტინა და 418 კვ. საჟენი, 291. 024 ბუჩქით;

3. დამყნილი ვაზისათვის სანერგე 1 დესეტინა და 1307 საჟენი;

4. დეკორატიული ბაღი 600 კვ. საჟენი;

5. ნაყოფის მომცემი ბაღი 1950 კვ. საჟენი, 281 ძირი ხ

6. ბოსტანი 528 კვ. საჟენი.

ნახ. 8. საქარის სანერგის დეკორატიული ბაღი

გარდა ამისა, სანერგეს ეკუთვნოდა საცდელი ნაკვეთ ქსელი, ქუთაისის გუბერნიის 41 სოფელში, რომლებიც (ვირვებას აწარმოებდნენ ამერიკული ვაზის შეგუების მდგ რეობაზე ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ცხრაასიანი წლებისათვის საქარის სანერგის საქმიან

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სანერგეს მაინც უჭირდა ამერიკული ვაზის ლერწსა და ნერგზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან მარტო ქუთაისის გუბერნიაში ამ დროს იყო სულ მცირე 30 000 დესეტინა ვენახი, რომლის უმეტესი ნაწილი ფილოქსერით იყო დაავადებული. საჭირო იყო ასეთი ნარგავების შეცვლა ნამყენი ვაზით.

საქარის სანერგეს თავისთავზე რომ აეღო ამერიკული ვაზის ლერწის გამოყვანა იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნებოდა ძველი ვენახების შესაცვლელად მთლიანად იმერეთში და არამარტო იმერეთში, მაშინ აუცილებელი გახდებოდა ამერიკული ვაზის ნარგავებით სანერგის საუკეთესო ფართობების დაკავება და აქედან გამომდინარე, სანერგის მთელი საქმიანობა ამით იქნებოდა განსაზღვრული.

საქარის სანერგის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი მოფიქრებულად გადაწყვიტა. ამერიკული ვაზის ლერწზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მოსახლეობა თითონ აწარმოებდა მას. ამასთან მნიშვნელოვნად გაფართოვდებოდა აგრეთვე წვრილგლეხური სანერგეები, რომელთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა.

ეს სერიოზული საკითხი დადებითად გადაწყდა. იმერეთის გლეხობამ სიყვარულით მოკიდა ხელი საკუთარი საჭიროებისათვის ამერიკული ლერწის წარმოებას.

1899—1900 წლებში ქუთაისის გუბერნიაში წარმოიშვა წვრილგლეხური სანერგეები, რომლებიც ვაზის მყნობას აწარმოებდნენ არა მარტო თავისი საჭიროებისათვის, არამედ გასაყიდად. ასეთი სანერგეები მარტო საქარის სანერგის ახლო სოფლებში 20-ზე მეტი იყო. ასეთ, წვრილ გლეხურ სანერგეებს სა-

კუთარ მეურნეობებში აწყობდნენ პირველ რიგში ის ახალ-
გაზრდები, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ სკოლა.

ამ დიდი ღონისძიების შედეგად 900-იან წლებში ამერი-
კულ საძირეზე დამყნილი ნერგით ახალი ვენახები უკვე გაშე-
ნებული იყო ქუთაისის მაზრის 52 სოფელში, შორაპნის მაზ-
რის 79 სოფელში და აგრეთვე სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლე-
ჩხუმის და ოზურგეთის მაზრების ბევრ სოფელში.

გლეხთა მიერ გაშენებული ვენახების დიდი ნაწილი უკე-
თესად გამოიყურებოდა, ვიდრე სანერგის საჩვენებელი ვენახი.
ამიტომ კავკასიის მებაღეობის ყრილობის მონაწილეებმა 1898

ნახ. 9. ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახი საქარის სანერგეში

წელს საქარაში მცხოვრები რამდენიმე გლეხი ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვეს. ახალი წესით გაშენებული ვენახები გაცილებით მეტ მოსავალს იძლეოდა. მაგალითად, შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთაში მცხოვრებმა ზ. კობახიძემ 1900 წელს ერთი ჰექტარიდან მიიღო 360 ცენტნერი ყურძენი. ეს იმ დროს, როცა არა ნამყენ ვენახებში ყურძნის მოსავალი 50 ცენტნერს ძლივს აღწევდა.

საქარის სანერგის და პირველ რიგში მისი ხელმძღვანელის სტაროსელსკის ესოდენი დიდი შრომის შედეგად ამ სანერგის არსებობის უკანასკნელი 5—8 წლის მანძილზე ქუთაისის გუბერნიაში ახალი წესით ვენახი გაშენებულ იქნა 17 000 დესეტინაზე. აქედან დიდი ნაწილი ამერიკული ვაზის ნერგით იყო გაშენებული. უნდა ვივარაუდოთ, საკმარისი, რომ ყოფილიყო სანამყენე მასალა, ბევრად მეტი იქნებოდა. ეს რასაკვირველია, ქართველ მევენახეთა და პირველ რიგში საქარის სანერგის მოთავეთა დიდი გამარჯვება იყო, რასაც დიდი სიხარულით ხვდებოდა ქართველი საზოგადოება და ქართული ნაციონალური პრესა. აი რას სწერდა ამის შესახებ „სასოფლო გაზეთში“ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ი. კვიცარიძე: „ფილოქსერით დაზიანებული კავკასიისა და მომეტებული საქართველოს მევენახეობამ ამ უკანასკნელ 20—25 წლების განმავლობაში დიდი კრიზისი განიცადა. იმერეთში და განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში ძველი მამა-პაპური სისტემის ნაშენები ვენახები ძირფესვიანად შეიცვალა.

მკვირცხლმა იმერლობამ გასაჭირს თავი არ დაუდვა და მეურნეობის ამ დარგის ახლებურად გაუმჯობესებას მიჰყო ხელი. ის ბეჯითად ჩაუკვირდა მეცნიერებისაგან გაკვლეულ გზას და მხნედ შეუდგა საქმეს.

ეს გზა იყო ამერიკულ ვაზზე ჩვენი ვენახების დამყნობა და ისე გაშენება.

ხელმძღვანელებმა დაარწმუნეს რუსეთის მთავრობა, რომ ხსნა კავკასიის მევენახეობისა ამერიკულ ვაზზე ჩვენი ვენახების მყნობაზეა დამოკიდებული. ამ გაუმჯობესებული მეურნეობის საწარმოებლად კი ორგანიზაცია, ცდა იყო საჭირო და აი იგი შექმნეს სწავლულმა მეურნეებმა ადგილობრივად და 5—10 წლის ცდის შემდეგ დაარწმუნეს ხალხი, რომ მევენახეობის ხსნა მხოლოდ მყნობითაა შესაძლებელი.

მართლაც კავკასიაში პირველ მევენახეებში შეიქმნა საქარის სანერგე, ცნობილი აგრონომის ვლადიმერ სტაროსელსკის მიერ დაარსებული და მოწყობილი მთავრობის ხარჯით. იგი შეიქმნა კავკასიაში ბუდეთ მევენახეობის ახალი სისტემით აღორძინებისა და აქედან, მთელ საქართველოს მოეფინა სწავლა და ცოდნა მეურნეობის ამ დარგისა. აქედან აღორძინდა მთელ იმერეთში ახალი მევენახეობა, რომელიც იმდენად განვითარდა, რომ გარდა ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, ქუთაისსა და მის მახლობელ მევენახე რაიონებში შეიქმნა სპეციალური ბაზარი ყურძნის ვაჭრობის"[1].

ამ დროისათვის ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი ქუთაისისა და შორაპნის მაზრაში აღარ არის ლაპარაკი ღვინის ნაკლებობაზე, რომელიც მკვეთრად შეინიშნებოდა წინა წლებში. პირიქით, ცალკეული პირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთობ შეშფოთებული არიან ღვინის ბაზარზე გასაღების საკითხით. ეს კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ

---

[1] ი. კვიცარიძე, „სასოფლო გაზეთი", № 2, 1914, გვ. 8.

ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ვენახების აღდგენის საქმე ფართო გზაზეა გამოსულო.

ამ საქმეში ცხადია, დიდი როლი და დამსახურება საქარის სანერგეს მიეკუთვნება, რომელსაც 1900 წელს დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით 1900 წლის 27 სექტემბერს „ცნობის ფურცელი" ქართველი ხალხის სახელით მიესალმებოდა. „გუშინ, 26 სექტემბერს, — წერდა გაზეთი, შესრულდა 10 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა შორაპნის მაზრაში, სოფელ საქარაში ამერიკული ვაზის სანერგე. სამიწათმოქმედო სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებათა შორის ამ სანერგემ საუკეთესო სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას, და ამიტომ მიულოცავთ მას, მის მოღვაწეთა ათი წლის არსებობის დღეს"[1].

საქარის სახელმწიფო სანერგის და პირველ რიგში სტაროსელსკის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ქუთაისის გუბერნიაში აღდგენილი ვენახების ფართობი პირველი მსოფლიო ომის წინ დაახლოებით 13 800 დესეტინას შეადგენდა. ეს მაშინ, როცა 1870—80-იან წლებში სულ 21 000 დესეტინამდე დაბალი ვენახი იყო. ფილოქსერის გავრცელებამდე დაბალი ვენახების ფართობის ნახევარზე მეტი 20—25 წლის მანძილზე ხელახლა იქნა გაშენებული და აღდგენილი.

როგორც კი ვენახების აღდგენის საქმე მოგვარდა, სანერგის ხელმძღვანელობა ღვინის დაყენების საკითხით დაინტერესდა, რაც დადებითად გადაწყდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა აღნიშნულ საქმეს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეღვინე პროფ. კ. მოდებაძე

---

[1] „ცნობის ფურცელი", 1900, 27 სექტემბერი.

ვინაიდან სანერგე გასცდა თავის ამოცანებს მიწათმოქმ
დების დეპარტამენტმა, რომელიც დეტალურად გეცნო
საქმიანობას, გადაწყვიტა სანერგე გადაეკეთებინათ მევენახ
ობა-მეღვინეობის საცდელ სადგურად. ამ წინადადებას მხა
დაუჭირა სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების სამ
ნისტრომ და 1901 წლიდან ოფიციალურად ეწოდა საქარ
საცდელი სადგური.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში, კე
ძოდ, შორაპნის მაზრაში საქარის სანერგისა და მისი ხელმძღ
ნელის ვლადიმერ სტაროსელსკის დაუღალავი შრომისა
ბრძოლის შედეგად 900-იანი წლების დამდეგს ვენახებში თით
მის მთლიანად ლიკვიდირებული იყო ფილოქსერა და ვენახ
ფართობი გაიზარდა, მაგრამ ფილოქსერისაგან განადგურებ
ლი ვენახები ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად აღდგენილი, ხოლ
საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კახეთსა
ქართლში ფილოქსერა ულმობლად აჩანაგებდა საუკეთესო ვ
ნახებს. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ვენახის ფართობ
1913 წლისათვის მხოლოდ 45959 ჰექტარს შეადგენდა ე. ი
1895 წელთან შედარებით 18569 ჰექტარით ნაკლებს.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში მევენახეობის მდგომარ
ობის გაუმჯობესებას ზღვარი დაუდო პირველი მსოფლიო
ომის დაწყებამ. ომმა გამოიწვია სოფლის მეურნეობიდან მუშა
ხელის დიდი რაოდენობით მოწყვეტა, რის შედეგად შეფერხდ
შრომატევადი ვაზის კულტურის მოვლა-პატრონობა, განსაკუთ
რებით დაზარალდა წვრილგლეხური მეურნეობა. საზღვარგა
რეთიდან აღარ შემოდიოდა ვაზის შესაწამლი ქიმიკატები და
აპარატურა.

ომის დამღუპველი გავლენა მევენახეობაზე თვალნათლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვანახა 1917 წელს ჩატარებულმა აღწერამ. ვენახის ფართობი 37470 ჰექტარს აღწევდა, ე. ი. 1913 წელთან შედარებით 4 წლის მანძილზე 8489 ჰექტარით, ანუ 18%-ით შემცირდა. განსაკუთრებით დიდი დანაკლისი ჰქონდა იმ რაიონებს, სადაც ვენახები არ იყო აღდგენილი ფილოქსერაგამძლე საძირეებზე. მაგალითად: შიგა კახეთმა დაკარგა 2579 ჰექტარი, ანუ 19%, ქართლმა და გარე კახეთმა — 2295 ჰექტარი, ანუ 25%. შეიძლება ითქვას მთლიანად განადგურდა მაღლარი ვენახები, ამის შედეგად ვენახის ფართობი გურიაში 92%-ით შემცირდა, ხოლო ლეჩხუმში 70%-ით. იმერეთში კი, სადაც მოსახლეობამ საუცხოოდ აითვისა მყნობის წესები და მასობრივად დაიწყო ვენახების აღდგენა ნამყენი ვაზით, ვენახების ფართობი 2242 ჰექტარით, ანუ 19%-ით გადიდდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას საქართველოში მოჰყვა მენშევიკების ბატონობა, რომელთა უნიათო საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა მშრომელები აეჩეხათ ვენახები და მარცვლეული კულტურები დაეთესათ. ვენახების ფართობის შემცირებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მენშევიკებმა საქართველო სრულიად ჩამოაცილეს მოძმე რუსეთს, რის გამოც არ ხერხდებოდა ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანა და რუსეთიდან საქართველოში პურის შემოტანა. ამის შედეგად მევენახეობა, რომელსაც ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ქართველი ერის ეკონომიურ ცხოვრებაში, მენშევიკების ბატონობის პერიოდში სრულიად დაკნინდა. სრულ განადგურებამდე მისული საქართველოს სახალხო მეურნეობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ იხსნა. დაიწყო ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ახალი

ერა. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის
აპრილს გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რომელსაც
დესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მთავარია, გლ
ხობამ ნაციონალიზაციის შედეგად დამატებით 896 000 ჰ
ტარზე მეტი მიწა მიიღეს. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძ
სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მრავალწლიანი ნა
გავების, მათ შორის მევენახეობის მდგომარეობის ერთი ხელ
დაკვრით გაუმჯობესება.

აუცილებელი იყო სადედეების აღდგენა, რომელიც ამ დრო
ისათვის მართლაც სავალალო მდგომარეობაში იყო. თუ ომამ
საქართველოში (1913 წელს) ამერიკული ვაზის სადედე 10
ჰექტარს შეადგენდა, 1921 წლისათვის ეს ფართობი 30 ჰექტა
არ აღემატებოდა. საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სა
მეურნეო ორგანიზაციებმა მთელი სერიოზულობით მოკიდ
ხელი ამერიკული ვაზის სადედეების გაშენებას და 1925 წლ
სათვის სადედეების ფართობმა 349 ჰექტარს მიაღწია. ამავ
პერიოდში თითქმის 9-ჯერ გაიზარდა დაფესვიანებული ნამყ
ნი ვაზის წარმოება[1].

მართალია ახალი ვენახების გაშენება ინტენსიურად მიმდ
ნარეობდა, მაგრამ ძველი ვენახები ისე დიდი რაოდენობით
გამოდიოდა წყობიდან, რომ ვენახების საერთო ფართობი ა
იზრდებოდა. 1926 წლისათვის ვენახის ფართობმა მართალ
მიაღწია 36 000 ჰექტარს, მაგრამ 1927 წლისათვის იგი ჩამოვ
და 35000 ჰექტარამდე. მხოლოდ ოცდაათიანი წლების მეორ
ნახევრიდან საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდ

---

[1] იხ. საქართველოს სსრ მთავრობის 1925 წლის მოქმედების ანგარიში, თბილისი, 1926. გვ. 87.

შესაძლებელი გახდა ფართო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის წინსვლისა და აყვავებისათვის.

1934 წლისათვის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ცნობით, რესპუბლიკაში ითვლებოდა 39954 ჰექტარი ვენახი. აქედან საბჭოთა მეურნეობებში იყო 2247 ჰექტარი, კოლმეურნეობებში 4623 ჰექტარი, კოლმეურნეების, ერთპიროვნული გლეხების და სხვა მშრომელთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — 33047 ჰექტარი. ამ დროისათვის ამერიკული ვაზის სადედეების ფართობმა 600 ჰექტარს გადააჭარბა[1]. აქ მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წილი ვენახების საერთო ფართობში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად მცირე იყო. იგი 17%-ს არ აღემატებოდა.

საქართველოს მევენახეობის განვითარების ისტორიაში მეორე ხუთწლედი — 1933—1937 წლები შევიდა როგორც ამ დარგის მნიშვნელოვანი განვითარების ხუთწლედი. ხუთწლიანი გეგმით საქართველოში ვენახების ფართობი უნდა ასულიყო 100 000 ჰექტარამდე. ამისათვის კი საჭირო იყო სულ მცირე 2000 ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე და ისიც მაშინ, თუ ერთ ჰექტარზე მივიღებდით 40—50 000 გრძივ მეტრ სამყნობად ვარგის ლერწს. ეს დავალება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და არ შესრულებულა.

მევენახეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნე-

---

[1] მასალები საქ. სსრ მთავრობის ანგარიშისა საბჭოთა VII ყრილობისათვის (1931—1934 წწ.) 1935, გვ. 83.

ლობა ჰქონდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტ
და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის
გენილებას.

აღნიშნული დადგენილებით 1940 წლისათვის დაბ
ვენახის ფართობი უნდა გადიდებულიყო 60 000 ჰექტარ
აქედან კოლმეურნეობებში უნდა გაშენებულიყო 28
ჰექტარი. გათვალისწინებული იყო აგრეთვე შამპან
ჯიშების გაშენება, რომელიც უზრუნველყოფდა შამპან
ღვინოების ფართო წარმოებას. ამ მიზნით სახელმწიფოს კ
მეურნეობებისათვის უნდა მიეცა გრძელვადიანი კრედიტი.
თოეულ ჰექტარზე განსაზღვრული იყო 4400-დან 4900 მ
თამდე, გადიდდა ყურძნის სახელმწიფო დასამზადებელ
სები და დაწესდა ზოგიერთი სხვა შეღავათი.

მართალია, აღნიშნული დადგენილების მთლიანად შეს
ლება არ მოხერხდა, მაგრამ ამ დიდი ღონისძიების გატარ
შედეგად დაბლარი ვენახის ფართობი 1940 წლის სრულ
საკავშირო აღწერით 54700 ჰექტარს უდრიდა, ხოლო ვენ
საერთო ფართობი მაღლარის ჩათვლით 69900 ჰექტარს.
ხის ფართობის მიხედვით საქართველოს ამ დროისათვის პ
ველი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში.

სახელმწიფო მეურნეობების ვენახების მთელი ფართ
დან, რომლის რაოდენობა დაახლოებით 20 000 ჰექტარს
რიდა, აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა 80%-ზე მ
საქმე იმაში იყო, რომ კახეთსა და ქართლში, სადაც მევენახ
ბის განვითარების საუკეთესო პირობებია, საბჭოთა წყობ
ბის გამარჯვების პირველი წლებიდანვე წარმოიშვა მევენახ
ბის საბჭოთა მეურნეობები. ამას დაემატა კახეთის დიდგვა
ვანთა მსხვილი ვენახების ბაზაზე ჩამოყალიბებული სახ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო მეურნეობები, ამიტომ იყო, რომ 1940 წლისათვის აღ-
მოსავლეთ საქართველოში მევენახეობის საბჭოთა მეურნეო-
ებს ეჭირათ ორჯერ მეტი ვენახის ფართობი, ვიდრე დასავ-
ლეთ საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკებს
ერთად.

კოლმეურნეობების ვენახებს ეკავა 19700 ჰექტარი. აქედან
აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა 51,4%, დასავლეთ
საქართველოზე — 43,6%, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ
ოლქზე —0,7%, აჭარის ასს რესპუბლიკაზე — 0,4% და აფხა-
ზეთის ასს რესპუბლიკაზე —3,9%.

1940 წელს კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეების
პირად საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული იყო 33 000 ჰექ-
ტარი ვენახი. აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა
42,7%, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 55,5%.

საგულისხმოა, რომ დაბლარი ვენახის თითქმის მთელი ფარ-
თობი ფილოქსერაგამძლე საძირეზე იყო დამყნილი და საერ-
თოდ ახალი ვენახების გაშენება მხოლოდ ნამყენი ვაზით წარ-
მოებდა. უკვე ასრულდა ვ. სტაროსელსკის კეთილი ჩანა-
ფიქრი და საქართველოში შეიქმნა მძლავრი სანერგე მეურ-
ნეობა. 1940 წელს ამერიკული ვაზის სადედე 815 ჰექტარს შე-
ადგენდა და სანერგე ნამყენი ვაზის გამოსაყვანად 677 ჰექ-
ტარზე იყო გაშენებული.

„მევენახეობის აღდგენა და ასეთი წინსვლა განაპირობა სო-
ციალისტურმა წყობილებამ, სოფლად საკოლმეურნეო მოძრა-
ობის გამარჯვებამ. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ
1931 წლიდან 1940 წლამდე კოლმეურნეობათა დაბლარი ვე-
ნახების ფართობი 514 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდე-
საც ვენახების საერთო ზრდა 44 პროცენტს არ აღემატებოდა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1941 წ
პირველი იანვრისათვის თავმოყრილი იყო რესპუბლიკაზ
სებული დაბლარი ვენახების 41,1 პროცენტი, მაშინ როდ
1931 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობ
წილად მოდიოდა ვენახების საერთო ფართობის მხოლოდ 1
პროცენტი.

ამრიგად, ამ პერიოდში ახალ ვენახებს ძირითადად კოლ
ურნეობები აშენებდნენ"[1].

1940 წლის ბოლოსათვის დაბლარი ვენახის ფართობმა 56
ჰექტარს მიაღწია, მაგრამ მთავრობის დადგენილება, რომლ
გამიზნული იყო ვენახის ფართობის 60000 ჰექტარამდე აყ
არ შესრულებულა, ამიტომ იყო, რომ მთავრობის დადგენ
ბით 1941 წლიდან დასახული იყო საქართველოს რესპუბ
კაში ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგ
ვენახის ფართობი 1944 წლის ბოლოსათვის უნდა ასულ
80 000 ჰექტარამდე, ხოლო საშუალო მოსავალს ჰექტარზ
ცენტნერამდე უნდა მიეღწია.

ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა დიდმა ს
მულო ომმა. შრომისუნარიანი კოლმეურნეების და სპეციალ
ტების უდიდესი ნაწილის ფრონტზე წასვლის გამო, ვენახ
სამუშაოები ცუდი ხარისხით და არადროულად სრულდებ
ამას ზედ დაერთო შაბიამნის, გოგირდის და მინერალური
სუქების მკვეთრი ნაკლებობა. თითქმის მთლიანად შეწყდა
ლი ვენახების გაშენება, ხოლო მოუვლელობის შედეგად ვ
ხების დიდი ფართობი დაიღუპა.

---

[1] ო. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მრავალწლიანი ნარგ
ეკონომიკისა და მისი განვითარების საკითხისათვის, 1963. გვ. 81.

ახლა ამოცანას შეადგენდა, არა ვენახების ფართობის გაზრდა, არამედ ყველა ღონისძიების გატარება არსებულის ნარჩუნებისათვის, ომის წლებში, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ მეჩხერიანობაზე, რომელიც 1947 წლის აღწერით 20%-ს აჭარბებდა, მთლიანად დაიღუპა დაბლარი ვენახი 8061 ჰექტარი, ე. ი. მთელი ფართობის 14,3%.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 20 მაისის პლენუმზე დაწვრილებით იქნა განხილული მევენახეობის მდგომარეობა და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო ახალი ვენახის გაშენება 11000 ჰექტარზე. ვენახების გაშენებასთან ერთად უნდა მომხდარიყო დაღუპული ვენახების აღდგენა და არსებულ ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაცია. ცხადია, ეს ამოცანა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაძლიეს, ვიდრე კერძო მესაკუთრულმა მეურნეობებმა პირველი მსოფლიო ომის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ვენახების გაშენების ტემპი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რასაც ადასტურებდა მარტო 1947 წელს 1116 ჰექტარზე ახალი ვენახის გაშენება, — იგი მაინც არ იყო საკმარისი.

მევენახეობის აღმავლობისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა 1948 წლიდან. 1953 წლის საკავშირო აღწერით, ვენახების საერთო ფართობი ჩვენს რესპუბლიკაში 61,200 ჰექტარს შეადგენს. ესე იგი 1947 წელთან შედარებით ვენახების ფართობი 15 000 ჰექტარით, ანუ 32,7%-ით გაიზარდა. აქედან საზოგადოებრივ მეურნეობაში იყო 26821 ჰექტარი.

ვენახების შედარებით კარგმა მდგომარეობამ, ამერიკული

ვაზის სადედეებისა და სანერგე მეურნეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებამ საშუალება მისცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოკლე დროში აღედგინათ ვაზის ნარგვების ომამდელი ფართობი და წინ წაეწიათ მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმე. 1959 წლის 1 იანვრისათვის დაბლარი ვენახის ფართობმა საქართველოში 67 000 ჰექტარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ვენახი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაშენდა საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ვენახების ფართობის ზრდამ 289% შეადგინა, მაშინ როცა პირად მეურნეობებში 9%-ს აღწევდა.

მართალია, ამ ხნის მანძილზე ვაზის სადედეების საერთო რაოდენობა 1800 ჰექტარს შეადგენდა, მაგრამ ლერწის საშუალო გამოსავლიანობა დაბალი იყო და ამის გამო საზოგადოებრივი მეურნეობები, ისე, როგორც ერთპიროვნული მეურნეობები ხარისხოვანი ნამყენი სარგავი მასალის ნაკლებობას განიცდიდა.

საქართველოს მევენახეობამ თავისი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია შვიდწლედში. ვენახის ფართობი 1959—1965 წლებში 107 000 ჰექტარამდე გაიზარდა. აქედან კოლმეურნეობებში იყო 40 500 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში — 24 100 და დამხმარე მეურნეობებში 42 400 ჰექტარი. 1965 წელს ყურძნის საჰექტარო მოსავალმა 44,3 ცენტნერი შეადგინა. რესპუბლიკაში დამზადდა 245 000 ტონა ყურძენი, ეს ცხადია, ქართველ მევენახეთა დიდი გამარჯვება იყო.

დიდი ამოცანებია აგრეთვე დასახული რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების საქმეში მიმდინარე (1965—1970 წწ) ხუთწლედში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის მონაცემებით ვენახის ფართობი მიმდინარე ხუთწლედში უნდა გადიდდეს 15500 ჰექტარით და ხუთწლედის ბოლოს — 1970 წლისათვის ვენახის ფართობი აყვანილი იქნეს 123 000 ჰექტარამდე. ესე იგი ზრდამ უნდა შეადგინოს 36%. ამასთან ყურძნის საჰექტარო მოსავალი უნდა გაიზარდოს 48 ცენტნერამდე, ხოლო ყურძნის მთლიანმა მოსავალმა რესპუბლიკაში უნდა მიაღწიოს 486000 ტონას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე თავის საანგარიშო მოხსენებაში ეხებოდა რა მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხებს ჩვენს რესპუბლიკაში, აღნიშნავდა, რომ.... „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი საზოგადოებრივი მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის. მარტო განვლილ შვიდწლედში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 81000 ჰექტარზე მეტი ვენახები და ბაღები. მაგრამ რესპუბლიკას ამ დარგების განვითარების კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობანი აქვს.

ახალ ხუთწლედში დასახულია 123 000 ჰექტარამდე გაიზარდოს ვენახების ფართობი“[1].

ხუთწლიანი გეგმა, — მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის წარმატებით სრულდება.

---

[1] ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXIII ყრილობის, 1966, გვ. 18.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში მე-20 საუკუნის დამდეგს. ვ. ა. სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორი

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან რუ
სეთში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მუშათა რევოლუციურ
მოძრაობა, რომლის სათავეში იდგნენ რევოლუციონერი სო
ციალ-დემოკრატები.

ეს ის პერიოდია, როცა რევოლუციის ბელადის ვ. ი
ლენინის იდეებს ეუფლებოდა რუსეთის პროლეტარიატი. რე
ვოლუციის ხელმძღვანელობა კავშირს ამყარებდა იმპერიი
სხვადასხვა კუთხესთან და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართ
ველოს პროლეტარიატთან.

საქართველოს მუშები, რომლებმაც რევოლუციურ მოძრ
ობაში ჩააბა გლეხთა მასები, აღდგნენ ცარიზმისა და კაპიტ
ლიზმის წინააღმდეგ, აწყობდნენ არაორგანიზებულ სტიქიურ
გაფიცვებს, საჭირო იყო ორგანიზაცია, რომელიც მუშათა და
გლეხთა სტიქიურ ბრძოლებს მისცემდა შეგნებული, ორგანი
ზებული ბრძოლის ხასიათს. ასეთი ორგანიზაციის შექმნისათვ
ნიადაგი თითქმის მომწიფებული იყო რუსეთში და თანდათ
მწიფდებოდა საქართველოშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადიოდა და მკაცრ ზომებს მიმართავდა მთავრობა გაფიცვა-აჯანყებების წინააღმდეგ, მით უფრო სწრაფად ვრცელდებოდა მარქსიზმი და მტკიცე მებრძოლი ორგანიზაციები იქმნებოდა ცარიზმის წინააღმდეგ. რუსეთში მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისათვის დიდ მოვლენას წარმოადგენდა მარქსისტული წრეების გაერთიანება ლენინის მეთაურობით.

საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში მარქსისტული პარტიის შექმნის ამოცანის შესრულება წილად ხვდა ლენინის ერთგულ თანამებრძოლს ი. ბ. სტალინს.

1900 წლისათვის მარტო თბილისში მუშაობდა 20-ზე მეტი მარქსისტული წრე. ასეთივე წრეები არსებობდა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში. წრეების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ მოწინავე მუშები ფ. აფანასიევი, ს. ალილუევი, ი. კოგანი, ვ. სტურუა, ზ. ჩოდრიშვილი და სხვები.

მარქსისტული წრეების მუშაობა საქართველოში განსაკუთრებული ძალით გაიშალა მას შემდეგ, როცა ამ წრეებთან კავშირი დაამყარეს ი. სტალინმა, ს. წულუკიძემ, ლ. კეცხოველმა, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ და სხვებმა.

ახასიათებდა რა სტალინის ამდროინდელ მრავალფეროვან მუშაობას კონსპირაციის პირობებში, პროფესიონალი რევოლუციონერი დავით სულიაშვილი წერდა: „ერთხელ მე და კამო მიხო ბოჭორიძის სახლში მივდიოდით, ამ დროს მიხოს ეზოდან ერთი სუსტი ტანის კაცი გამოვიდა. დაგვინახა თუ არა, ყელზე მოხვეული გრძელი კაშნე სახეზე აიფარა, მაგრამ გვიცნო და დინჯი ნაბიჯით მოგვიახლოვდა. ჩვენც ვიცანით, მივეგებეთ.

— რა ქენით? გაავრცელეთ? კარგია! კარგია! კიდევ ხომ არ გინდათ წაიღოთ? შედით! კიდევ აქვს! სხვებმაც წაიღეს? — აბა ყოჩაღათ! — გასამხნევებლად მხრებზე ხელი დაგვადო, დინჯი ნაბიჯით ქუჩას გაყვა. ხედავ? ახლა ეს ყველგან ჩამოიგლის, თადარიგს მისცემს. დიდი ორგანიზატორია! ხვალ დემონსტრაციას ჩაუდგება სათავეში, — თქვა კამომ.

— იცი, როგორ ცხოვრობს? შენ არ ყოფილხარ მასთან? ობსერვატორიაში ერთი პატარა ოთახი უკავია, ტახტიც კი არ აქვს, ღამით იატაკზე შლის ლეიბსა და საბანს. დღისით დაახვევს და კუთხეში მიდებს, მაგიდის მაგიერობას ტაბურეტი უწევს, ლამფისას — სანთელი. ტაბურეტზე უწყვია წიგნები, გადაშლილი ოუ დაკეცილი რვეულები, ფანქარი და ქაღალდი.

ფანჯრის რიკულებზე ქაღალდში გახვეული ყველი და პური უდევს. მთელი დღე და ღამე კითხულობს. ღამურასავით მხოლოდ საღამოობით გამოდის გარეთ, წრეებში დადის. მაგისი წაკითხული წიგნი რომ ნახო, ყოველ გვერდზე სტრიქონები ხაზგასმულია, ზოგან კითხვის ნიშანია, ზოგან —ძახილის, თითქოს ავტორს არ ეთანხმება, თითქოს ეკამათება. ან კი როგორ ასწრებს ამდენ კითხვას. ასეთია სოსო"[1].

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდასთან ერთად თბილისის სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობას უწევდნენ მუშათა გაფიცვებს, ისინი მუშათა მოძრაობას პოლიტიკური ბრძოლის გზით წარმართავდნენ.

საქართველოში 1898 წლის დეკემბერში პირველად მოეწყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების დიდი გაფიცვა. 1899 წლის 19 აპრილს თბილისელმა მუშებმა ფარუ-

---

1 ჟურნალი „მნათობი", № 7, 1958 წ., გვ. 57.

ლად აღნიშნეს პირველი მაისის დღესასწაული. 1900 წლის აპ-
რილში თბილისის მახლობლად მოეწყო საპირველმაისო მუშა-
თა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 500-მდე მუშა,
სადაც სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ი. ბ. სტალინი, ვანო
სტურუა და მ. ბოჭორიძე. მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება
რომ მომავალი წლის პირველი მაისის დღესასწაული აშკარად
აღნიშნათ ქალაქის ცენტრში.

1900 წლის აგვისტოში იფეთქა რკინიგზელთა გაფიცვამ,
რომელშიც მონაწილეობდა 4 000-მდე მუშა და 10 დღე გას-
ტანა. ქართველ მარქსისტებთან ერთად ამ გაფიცვის სულის
ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო მ. ი. კალინინი.

მუშათა ეს დიდი გაფიცვა მართალია დამარცხდა, მაგრამ
მათმა გმირულმა ბრძოლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა
თბილისის მუშებზე და გაფიცვის ტალღა გადამდები სენივით
მოედო სხვა ქარხნების მუშებს.

თბილისის მუშების საგაფიცვო მოძრაობას დასავლეთ სა-
ქართველოს მუშებიც გამოეხმაურა. პოლიციელების თვითნე-
ბობისა და ძალმომრეობის საპასუხოდ 1902 წლის 9 მარტს ბა-
თუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოეწყო ბათუმელი მუ-
შების პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილე-
ობდა 6000 კაცი. დემონსტრაციის დროს მოკლული იქნა 15
მუშა. ბევრი დაიჭრა და დასახიჩრდა, ბევრი მუშა მთავრობამ
გასახლა სოფლებში.

მუშების სოფლად გასახლებით მთავრობას იმედი ჰქონდა,
რომ ქალაქს გაწმენდდა მოუსვენარი და არასანდო ხალხისაგან,
ამასთან დააფრთხობდა თითქოს გლეხობას, რათა მათაც არ წაე-
ბაძა მუშებისათვის, მაგრამ მთავრობამ სრულიად საწინააღმ-

დეგო შედეგი მიიღო. სოფლად გასახლებულმა მუშებმა თავის თანასოფლელ გლეხობასთან თავდაპირველად მორიდებულად, ხოლო შემდგომში თამამად დაიწყეს ცარიზმის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა.

„ბათუმელმა მუშებმა, — სწერს პროფ. ი. მელქაძე, — გაბედულად იწყეს სოციალ-დემოკრატიული იდეების ქადაგება დასავლეთ საქართველოს გლეხობაში. მათი მეშვეობით თითქმის ყოველი გლეხის ოჯახში იკითხებოდა და ინახებოდა არალეგალური გაზეთები, პროკლამაციები და ბროშურები. მუშების ზემოქმედებით გლეხებმა დაიწყეს შეკრება ჯერ სოფლის გარეთ, ტყეებში, ხოლო შემდეგ — თვით სოფლებშიც“[1]. საქართველოში სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ პირველად მოქმედება დაიწყო გურიაში. შემდეგ კი მთელ დასავლეთ საქართველოში გაჩაღდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა, რასაც შედეგად მოჰყვა გლეხთა გაფიცვები და აჯანყებები სოფლად.

გლეხების აჯანყება პირველად გურიაში დაიწყო. 1902 წლის მაისის დასაწყისში აჯანყდნენ: ნიგოეთის, ჩოჩხათის, სუფსის და სხვა სოფლების გლეხები. მალე კი აჯანყება მთელ გურიას მოედო. აჯანყების მიზეზი იყო მოუსავლიანობის გამო გამოწვეული შიმშილი. ეს მიზეზი გამოიყენეს ქალაქებიდან გადმოსახლებულმა მუშებმა.

გურიის გლეხობას გვერდში ამოუდგა სამეგრელოსა და იმერეთის გლეხობა. 1903 წლის გაზაფხულზე გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. რაც

---

[1] ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, 1960, გვ. 69.

უფრო ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა სოფლად, გლეხობისათვის მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ მთავრობა მემამულეთა ინტერესების ერთგული დამცველი და ხალხის მოსისხლე მტერი იყო, ამიტომ გლეხობა იწყებდა ბრძოლას არა მარტო მემამულეების გასანადგურებლად, არამედ მთავრობის ძალების — პოლიციელების, ჟანდარმებისა და კაზაკების წინააღმდეგაც.

1904 წლის ბოლოს და 1905 წლის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობა ერთბაშად მოედო მთელ დასავლეთ საქართველოს გლეხობას.

მათმა გამოსვლებმა ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა 1905 წლის მარტის დასაწყისიდან სამხედრო წესები შემოედო ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში.

„ასეთი ზომების მიღება, — წერს ფ. მახარაძე, — მთავრობის მხრივ ნიშნავდა უკვე უკიდურეს საშუალებებისათვის მიმართვას; ეს იყო არსებითად პირდაპირი ომის გამოცხადება გლეხების და მუშების მიმართ“[1].

ამ დროს რევოლუციურმა მოძრაობამ განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში ისეთი ფართო და საშიში ხასიათი ჰიიღო, რომ ოზურგეთის მაზრაც კი დაჩრდილა. ეს პირველ რიგში იმით აიხსნებოდა, რომ აქ იყო მუშათა ისეთი დიდი ცენტრი, როგორიცაა ჭიათურა, სადაც ბოლშევიკების გავლენა მუშებზე და გლეხებზე დიდი იყო.

1905 წლის დასაწყისიდან შორაპნის მაზრაში მასიურად დაიწყო გლეხების გამოსვლები.

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1932 გვ. 172.

28 თებერვალს სოფელ ხიდარის და ვარძიის გლეხები მ
როვდნენ ერთად და გაემართნენ კიცხის ორკლასიანი სას
ლებლისაკენ. აქ ნაკუწებად აქციეს მეფის სურათი, წიგნებ
დაარბიეს სასოფლო კანცელაროის შენობა. სოფელ ვარძია
ალყა შემოარტყეს აზნაურ ყიფიანის სახლს, სადაც ცხოვრობ
ბერძენთა მონასტრების ქონებათა გამგებელი. გლეხებმა დ
ვეს ქონების დოკუმენტების შესანახი ყუთი. შემდეგ სულ დ
ანგრიეს სახლი.

4 მარტს გლეხების რაზმებმა მთლიანად გადაწვეს სასოფლ
კანცელარიები ხარაგაულში, საზანოში, მუხურში, კვალითსა დ
ხრეითში.

1905 წელს ჭიათურის რაიონის გლეხები მოთხოვნებს უყ
ნებდნენ მთავრობას, რომ თუ მათ წინააღმდეგ გააგზავნიდნ
კაზაკებს, მაშინ ისინი შემამულეებს ტყვიით გაუსწორდებო
ნენ. ჭიათურის ბოლშევიკების ორგანიზაციამ გადაწყვიტა შ
ეძინა იარაღი და გლეხებისაგან შეედგინა წითელი რაზმი. მ
თავეები წითელრაზმელებთან ერთად 29 ოქტომბერს თავს დ
ესხნენ ჩხარის პოლიციის სადარაჯოს, საიდანაც წაიღეს 8 ცალ
ვინტოვკა ვაზნებით. შემდეგ განაიარაღეს ჭიათურისა და ყვ
რილის პოლიციის სადარაჯოები.

ცნობილი რევოლუციონერის ს. ბუაჩიძის ხელმძღვანელო
ბით რკინიგზის მუშებისა და გლეხებისაგან შექმნილმა წითელ
მა რაზმმა განაიარაღა ორი პოლკი ყვირილასა და ხარაგ
ულში.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები შეუდგნენ ხალ
ხის შეიარაღებისათვის მზადებას, ამისათვის საჭირო იყო ფუ
ლი,—ეს საქმე ითავა ყვირილის (ზესტაფონის) რეალური სას
წავლებლის მასწავლებელმა ბოლშევიკმა ს. სტეფანოვმა, მ

ყვირილის ხაზინაზე მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა, გაიტაცა 201. 639 მანეთი და 17 საპასპორტო წიგნაკი. ეს ფული მოხერხებულად გაკეთდა, ამასთან ისეთი დიდი რაოდენობის ფული იქნა ხაზინიდან წაღებული, რომ ამის შესახებ ვ. ი. ლენინიც კი მიუთითებდა და ამ ფაქტს ქართველი ბოლშევიკების სასარგებლო საქმედ თვლიდა.

რევოლუციურმა მოძრაობამ დასავლეთ საქართველოში მიიღო ორგანიზებული ხასიათი და გაფიცვები უმეტესად სრული გამარჯვებით მთავრდებოდა.

პეტერბურგის 1905 წლის 9 იანვრის ამბავმა, რომელიც გახდა რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი, მძლავრი პროტესტი გამოიწვია ხალხში და დასაბამი მისცა რევოლუციურ აღმავლობას მთელ რუსეთში.

რევოლუციური მოძრაობა მთელი სიძლიერით მოედო აგრეთვე საქართველოს. განსაკუთრებული მრისხანე ხასიათი მიიღო გაფიცვებმა 1905 წლის იანვარ-თებერვალში ჭიათურაში, რომლის შესახებ პროფ. ი. მელქაძე წერს: „ჭიათურის სამაზრო ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით ორი თვის განმავლობაში უაღრესად დაძაბული ხელჩართული ბრძოლები წარმოებდა გაფიცულ მუშებსა და პოლიციელებს შორის. ჭიათურის მაღაროების მუშები შეიარაღებული იყვნენ საომარი იარაღებით, რევოლვერებითა და „ბერდენის“ სისტემის თოფებით და პოლიციელების სროლას სროლითვე უპასუხებდნენ. 24 თებერვალს პოლიციელებმა სროლა აუტეხეს გაფიცულ მუშებს. ამ დღეს სტრაჟნიკის მიერ გასროლილი ტყვიით მოკლული იქნა მოწინავე მუშა შაქრო გიუნაშვილი, იგი ცდილობდა სიკვდილისაგან ეხსნა დაჭრილი ამხანაგი, რომელმაც უშედეგო თავდასხმა მოახდინა ჯაშუშ მხეიძეზე, შაქრო გიუ-

ნაშვილმა გზა გადაუღობა სტრაჟნიკს და ამით საშუალება მისცა თავის ამხანაგს მიმალულიყო. მაგრამ იგი სტრაჟნიკის [illegible] ლით გასროლილი ტყვიით დაეცა.

სასიკვდილოთ დაჭრილმა გიუნაშვილმა მოასწრო მხოლოდ დაძახება: „ამხანაგებო სამაგიერო გადაუხადეთ“.

შაქრო გიუნაშვილის სიკვდილმა მთელი ჭიათურის მუშათა მოსახლეობა ააღელვა. მისი უკანასკნელი სიტყვები მისწვდა მუშებს გვირაბებსა და მაღაროებში და სასტიკი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია მათ შორის. გიუნაშვილის ვერაგული მკვლელობით გააფთრებული 500 მუშა 25 თებერვალს შეიარაღებულ თავდასხმას აწყობს სტრაჟნიკთა საგუშაგოზე. სტრაჟნიკები განაიარაღეს, ხოლო გიუნაშვილის მკვლელი მოკლეს.

შაქრო გიუნაშვილი დაასაფლავეს 1905 წლის 25 თებერვალს. თავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლის დაკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო გრანდიოზულ დემონსტრაციად ვადაიქცა. მის ცხედარს მუშათა დიდი ტალღა მიაცილებდა. მუშები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ხელში ეჭირათ წითელი ლენტები სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წარწერებით“[1].

დასაფლავების დროს იმერეთ-სამეგრელოსა და ადგილობრივი კომიტეტების სახელით პროპაგანდისტებმა წარმოთქვეს რევოლუციური სიტყვები, ხოლო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია სათაურით „შაქრო გიუნაშვილის ხსოვნას“ სადაც მხილებული იყო მეფის მთავრობის ბო-

---

1 მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, 1960, გვ. 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტმოქმედებანი და მოწოდება ცარიზმის ხელისუფლების დამ-
ხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის.
პროკლამაცია ისეთი გულში ჩამწვდომი სიტყვებით იყო შედ-
გენილი, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა მასებზე და ისინი
შურისძიების გრძნობით აღანთო მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით მუ-
შათა და გლეხთა საგაფიცვო მოძრაობამ 1905 წლის გაზაფ-
ხულიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. გაფიცვები დაიწყო აგ-
რეთვე სასწავლებლებშიც. მოსწავლეები დასავლეთ საქართ-
ველოს ქალაქებსა და სოფლებში შეიარაღებულნი გამოვიდ-
ნენ. ამ ბრძოლის სათავეში ქუთაისელი მოსწავლეები იყვნენ.

1905 წლის იანვრის ამბების შემდეგ მუშებისა და გლეხ-
ების რევოლუციური ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. მე-
ფის მთავრობა ხალხის უკმაყოფილებას ხსნიდა კავკასიის მთა-
ვარმართებლის გოლიცინის უხეშობით და ადგილობრივ ეროვ-
ნებათა სასტიკი დევნით. აშკარა გახდა, რომ გოლიცინის უხეშ-
მა და მოუდრეკელმა პოლიტიკამ რუსეთის თვითმპყრობელ
მთავრობას ამიერკავკასიაში სასურველი შედეგი ვერ მოუტა-
ნა, ამიტომ მეფემ გოლიცინი გაათავისუფლა თანამდებობიდან
და მის ადგილას 1905 წლის 28 თებერვალს დანიშნა თვით-
მპყრობელობის მსახური, გაწაფული ეშმაკობასა და გაიძვე-
რობაში, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც აღჭურვილი
იქნა განუსაზღვრელი უფლებებით და ამასთან მას მიენიჭა მე-
ფის ნაცვლის წოდება.

1905 წლის მაისში მეფის მთავრობის ბრძანებით კავკასიაში
შემოღებულ იქნა პოლიციის უფროსის თანამდებობა. ამ თანამ-
დებობაზე დაინიშნა პოლიციის გამოცდილი მაძებარი, ჟან-
დარმთა ცალკე კორპუსის გენერალი შირინკინი, რომელიც

იმავე დროს ემორჩილებოდა საიმპერიო პოლიციის დეპარტა-
მენტს და პირდაპირ იქიდან ღებულობდა დირექტივებს.

ცვლილებანი მოხდა აგრეთვე სამხარეო, საგუბერნიო, სამა-
ზრო და საუბნო ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ აპარატში.
მეფის მთავრობამ გააძლიერა კავკასიის სამხედრო ადმინისტ-
რაციის ყველა რგოლი და გააჩაღა ბრძოლა რევოლუციურ
მოძრაობის ჩასაქრობად ამიერკავკასიაში.

მეტად საგულისხმოა, რომ ვორონცოვ-დაშკოვი თბილისში
ჩამოუსვლელად 30 მარტს პეტერბურგიდან გზავნის მოწოდე-
ბას „კავკასიის მოსახლეობის მიმართ", რომ შეწყვიტონ არე-
ულობა და ყველაფერს უცვლელად დატოვებს, კავკასიაში
თითქოს მშვიდობის დასამყარებლად მოდიოდა. ვორონცოვ-
დაშკოვს კარგად ესმოდა აზვირთებული ხალხის ძალა, და ისა-

ბერნატორად, რადგან ბარათში ყოველგვარი შელამაზების გა-
რეშე იყო ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული პროგ-
რამის ყველა მოთხოვნა[1].

მიუხედავად ამისა, 1905 წლის ივლისში ვორონცოვმა
სტაროსელსკი მაინც დანიშნა გუბერნატორად.

სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნის თაობაზე ამბ.
ფ. მახარაძე სწერდა: „დაშკოვმა კიდევ გადადგა ერთი მეტად
ახირებული ნაბიჯი. ეს იყო აგრონომ ვლ. სტაროსელსკის და-
ნიშვნა ქუთაისის გუბერნატორად. არც ერთ რუს — ბიურო-
კრატს მანამდე არ მოსვლია თავში ასეთი ახირებული რამ. ან
საიდან გამონახა დაშკოვმა სტაროსელსკი, რომელიც რამოდე-
ნიმე ათეული წლების განმავლობაში საქარის სანერგეში
(ზესტაფონის მახლობლად) მუშაობდა, როგორც აგრონომი.
მართალია, მანამდე სტაროსელსკის არავინ თვლიდა არც რე-
ვოლუციონერად და არც სოციალისტად. დიდი-დიდი იგი შე-
იძლებოდა ჩათვლილიყო ლიბერალად.

არასოდეს სტაროსელსკის რაიმე ადმინისტრაციული თანამ-
დებობა არ სჭერია. და მოულოდნელად ასეთი კაცი ინიშნება
ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მერე ასეთ აბო-
ბოქრებულ ხანაში და ისიც იმ გუბერნიაში, სადაც ყველაზე
უფრო ძლიერი რევოლუციური მოძრაობა იყო, — ქუთაისის
გუბერნიაში.

რა თქმა უნდა, დაშკოვი არა ლიბერალობით ჩადიოდა
ამას. იგი ფიქრობდა სულ სხვას: თავის ანგარიშს იგი ამყარებ-
და იმაზე, რომ სტაროსელსკი გაიმსჭვალებოდა მთავრობის
პოლიტიკით და, როგორც ლიბერალი, იგი უფრო ადვილად

---

[1] იხ. ჟურნალი, „ნოვი მირ“ № 1, 1966 გვ. 83.

გაატარებდა ცხოვრებაში მთავრობის პოლიტიკას. ე. ი. აჯანყებული ხალხის მოტყუებას და რევოლუციის ჩაქრობას.

დაშკოვი არ იყო დამნაშავე იმაში, რომ სტაროსელსკის ვერ გაუმართლა მას ეს იმედები"[1].

ვორონცოვ-დაშკოვი შედარებით ფრთხილად იქცეოდა. იგი ცდილობდა, ადგილობრივ მცხოვრებლებთან არ გაემწვავებია მდგომარეობა და ამასთან ყველა ღონეს ხმარობდა ხალხის დასაშოშმინებლად.

მეფის ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, როცა შავრაზმელებმა იწყეს აქტიური მოქმედება და სხვადასხვა უმსგავსობის ჩადენა თბილისსა და სხვა ქალაქებში, დაშკოვმა ყველას დაანახა თავისი ნამდვილი მონარქისტული, შავრაზმული სახე. ეს აშკარად გამოვლინდა 22 ოქტომბერს მუშათა სისხლის ღვრით თბილისში, რომლის სულისჩამდგმელი იყო დაშკოვი.

ამრიგად, როცა თვითმპყრობელობის ინტერესებისათვის დათმობის ტაქტიკა იყო საჭირო, იგი დათმობის გზას ადგა. ხოლო როცა დადგა რევოლუციის ძალების შემუსვრის დრო, დაუზოგველად და წარბშეუხრელად შეუდგა რევოლუციის შემუსვრას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთავრობა არ შემცდარა, როცა ამიერკავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვი გამოგზავნა მმართველად. თვით ვორონცოვი შეცდა მხოლოდ იმაში, რომ გუბერნატორად დანიშნა სტაროსელსკი. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ სტაროსელსკი გუბერნატორად დანიშვნაზე დათანხმდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოეთათბირა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და მიიღო მათი თანხმობა.

---

1 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1932, გვ. 278.

ვ. ა. სტაროსელსკის სასახელოდ უნდა ითქვას რომ გუბერნატორად მოღვაწეობისას მან ღირსეულად შეასრულა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე მიცემული პირობა და ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს მათთან შეთანხმების გარეშე.

სტაროსელსკის მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათი, ქუთაისის გუბერნიაში აგრარული რეფორმის აუცილებლობის შესახებ, იმდენად მოფიქრებულად იყო შედგენილი, რომ ვორონცოვმა საჭიროდ მიიჩნია გადაეგზავნა მეფისათვის თხოვნით რომ ყურადღებით მოკიდებოდნენ მას.

1905 წლის ოქტომბერში აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასათრგუნავად ჯერ თბილისის და შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო წესები და გურიის რეგოლუციონერთა წინააღმდეგ კვლავ გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

სამხედრო წესების გამოცხადებამ და ოზურგეთის მაზრაში დამსჯელი რაზმის გაგზავნამ მთელ საქართველოში გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა. საპროტესტო მიტინგები მოეწყო ფოთში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ღუშეთში და გორში.

29 ოქტომბერს ამბროლაურის წითელრაზმელებმა გლეხებთან ერთად ალყა შემოარტყა სტრაჟნიკების საგუშაგოს, მოკლეს 2 სტრაჟნიკი და ხელში ჩაიგდეს 5 შაშხანა.

იმავე დღეს სოფ. ჩხარის უბნის 800-მა გლეხმა, რომელთა შორის იყო 50 წითელრაზმელი, მოაწყო თავდასხმა ჩხარის საპოლიციო საგუშაგოზე და ხელთ იგდო 6 შაშხანა, 200 ვაზნა და 5 ხმალი. შემდეგ დაარბიეს უბნის საპოლიციო სამმართ-

ველო[1]. წითელრაზმელების საბრძოლო მოქმედებიდან შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დაბა ყვირილის ზესტაფონის ოპერაცია. 1905 წლის 4 დეკემბერს დილის 6 საათისათვის შორაპნის მაზრის უფროსთან, რომლის რეზიდენცია და საცხოვრებელი ბინა დაბა ზესტაფონში იმყოფებოდა, — გამოცხადდა წითელრაზმელების მეთაური შეიარაღებულ გლეხებთან ერთად. მან მაზრის უფროსს მოთხოვა დაუყოვნებლივ გაეცა განკარგულება პოლიციის საგუშაგოებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლად იარაღის ჩაბარების შესახებ და თან გააფრთხილა წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იქნება, რადგან ჩვენი ყველა წითელრაზმელი აქ არის შეკრებილნი, ხიდები დაკავებულია, ხოლო საგუშაგოები ალყა შემორტყმულიაო. მართლაც, დილის 7 საათზე 500-მდე წითელრაზმელმა ალყა შემოარტყა პოლიციის საგუშაგოს, და მისი უფროსი 30 კაზაკით იძულებული გახდა უბრძოლველად დანებებულიყო. წითელრაზმელებმა გაჩხრიკეს შენობა, წაიღეს 66 შაშხანა და 200-მდე ვაზნა. დაანგრიეს მაზრის სამმართველოს შენობა, ციხიდან გაანთავისუფლეს 4 ამხანაგი და დაბა ზესტაფონს გაცილდნენ.

წითელრაზმელების საბრძოლო მოქმედებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში.

ასეთმა მძლავრმა საპროტესტო მოძრაობამ, პარტიზანულმა გამოსვლებმა და ამასთან საკუთარი ძალებისადმი რწმენის უქონლობამ, აიძულა ვორონცოვი ხელი აეღო ოზურგეთის მაზრაში დამსჯელი რაზმის გაგზავნაზე, ამასთან იძულებული გახდა სამხედრო წესები გაეუქმებინა თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში. ამ გადაწყვეტილების მიღე-

[1] საქ. სსრ ცს. ფონდი 83, საქმე 40, ფ. 333—335.

ბაში დიდი როლი ითამაშა სტაროსელსკიმ, იგი სპეციალურად ჩავიდა თბილისში და 1905 წლის 2 ნოემბერს გამოვიდა სხდომაზე ინფორმაციით ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ ოზურგეთის მაზრაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, და ისე მოხერხებულად დაასაბუთა შექმნილი ვითარება, რომ ვორონცოვი აიძულა ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნისათვის. მან არა მარტო სამხედრო წესების გაუქმებაზე, არამედ მისი თანაშემწის სულთან კრიმ-გირეის გურიაში გაგზავნაზე, რომელსაც გურულებთან ეგრეთწოდებული „სამშვიდობო მოლაპარაკება“ უნდა ეწარმოებინა, უარი განაცხადა.

ვ. სტაროსელსკის სასტუმროში უცდიდნენ მუშათა დეპუტატებისა და პრესის წარმომადგენლები. ისინი აღფრთოვანებით შეხვდნენ სხდომიდან მის დაბრუნებას. გულით მიულოცეს ესოდენ დიდი გამარჯვება და მადლობა მოახსენეს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამო. სტაროსელსკის მოქმედების შესახებ იმ ღამესვე შეიტყო თბილისის მუშებმა, მეორე დღეს დილით თბილისის სადგურზე მის გასაცილებლად მოვიდა დაახლოებით 10 000 კაცი. სადგურზე უკრავდა რკინიგზის მუშათა ორკესტრი და მღეროდა გუნდი. სიტყვით გამოსული ორატორები გულწრფელად მიესალმებოდნენ სტაროსელსკის და მას ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლს უწოდებდნენ. ასეთივე შეხვედრა მოუწყვეს გორში, ხაშურში და ზესტაფონში. თითქმის რკინიგზის ყველა სადგური, სადაც მატარებელს ღამით მოუხდა გავლა, ხალხით იყო გაჭედილი და მაშხალებით განათებული. ხალხი აღფრთოვანებული შეძახილებით აცილებდა კეთილ გუბერნატორს ვ. სტაროსელსკის.

ვ. სტაროსელსკის დიდ პოპულარობაზე და მისადმი

ხალხის დიდ სიყვარულზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქარის სანერგიდან მისი წასვლის გამო ზესტაფონის საზოგადოებამ გამოსათხოვარ საღამოზე დიდი სიყვარულით გააცილა ხალხის წინაშე უკვე ვალმოხდილი აგრონომი და ასევე სიყვარულით დაულოცა მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო გზა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორობისაკენ.

31 ივლისს ყვირილაში, — წერს ჟურნალი „ნოვი მირი",— მოწყობილ იქნა გამოსამშვიდობებელი საღამო საქარის სანერგის ყოფილი გამგის ვ. ა. სტაროსელსკის პატივსაცემად, რომელიც დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორად. სადილს ესწრებოდა 200 კაცი. წარმოთქმული იქნა ბევრი თბილი, მგრძნობიარე სიტყვა. სიტყვები თქვეს: თავადმა ნ. თავდგირიძემ, ღამბაშიძემ, მაჭავარიანმა და ქართველმა მწერალმა ხუსკივაძემ. ყველა სიტყვაში აღინიშნა მისი მოღვაწეობა საზოგადოების საკეთილდღეოთ და გამოითქვა აზრი, რომ მას ეძღვნება სადილი არა, როგორც გუბერნატორს, არამედ როგორც საზოგადოების სასარგებლო წევრს.

გ. ხუსკივაძემ თავისი სიტყვა დაასრულა ასე: „თქვენი დანიშვნა ვლადიმერ ალექსანდრეს ძევ გუბერნატორის პოსტზე, იყო ისეთი მოულოდნელი ამ მძიმე დროში, რომ გამოიწვია დიდი ბაასი,რასაც თქვენი მომავალი მოღვაწეობა ბოლოს მოუღებს.

ჩვენ კი, ვიცნობთ რა თქვენს ენერგიას და უნარს, ეჭვი არ გვეპარება მომავალშიაც თქვენს ნაყოფიერ შემოქმედებაში მოსახლეობის სასარგებლოდ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ჩვენი ცხოვრების თანამედროვე პირობებში.

სასიხარულოა თქვენი გუბერნატორად დანიშვნა სხვა მხრივაც, თქვენ პირველი გუბერნატორი ხართ, რომელიც ასე

ახლო იცნობთ ჩვენი ხალხის ყველა ტკივილს, თქვენ პირველი
გუბერნატორი ხართ, რომელიც ყოველ მხრივ იცნობთ გლეხ-
კაცს, — და ყველაფერი ეს რწმენას გვაძლევს იმისა, რომ
თქვენს მიერ დასმული დიაგნოზი იქნება სავსებით სამართლი-
ანი ჩვენი გუბერნიის მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონო-
მიური ჭირ-ვარამის განკურვნისათვის. მაშ, გისურვებთ თქვენ,
ვლადიმერ ალექსანდრეს-ძევ, იყოთ სასურველი და მომხიბვ-
ლელი გაზაფხულის წინამორბედი"[1].

რევოლუციური მოძრაობა, სტაროსელსკის გუბერნატო-
რად დანიშვნის შემდეგ, კი არ შენელებულა, როგორც ამას
დაშკოვი მოელოდა, არამედ პირიქით უფრო გაძლიერდა და
გაფართოვდა, ამიტომ, ბუნებრივია ძალაში დარჩა რეპრესი-
ები.

ამხ. ფ. მახარაძე იმ დროინდელი მდგომარეობის შესახებ
სწერს „მართალია, რეპრესიები სავსებით არც სტაროსელსკის
დროს შეწყვეტილა, სტაროსელსკი თვითონ არ ებრძოდა
რეპრესიებს, იგი ანთავისუფლებდა დაჭერილებს, მაგრამ ხში-
რი იყო ისეთი შემთხვევები, როცა რევოლუციონერების და-
ჭერა მის გარეშე ხდებოდა, რადგანაც ჟანდარმერია მას არ
ემორჩილებოდა. ამ ნიადაგზე სტაროსელსკის ხშირად უთანხ-
მება მოსდიოდა ჟანდარმებთან; იგი ცდილობდა თავისი გაე-
ყვანა. სტაროსელსკი რევოლუციონური პროპაგანდისა და აგი-
ტაციის წინააღმდეგ არა თუ არ ღებულობდა არავითარ ზო-
მებს, არამედ ყოველივე ამას იგი მფარველობასაც უწევდა.
ამას შედეგად მოყვა ის, რომ საერთოდ დასავლეთ საქართვე-
ლოში ფაქტიურად პოლიტიკური თავისუფლება არსებობდა;

---

[1] ჟურნალი „ნოვი მირი", 1966, თებერვალი, № 2, გვ. 85.

მაგრამ ეს პოლიტიკური თავისუფლება ხორციელდებოდა მოცხადების წესით"[1].

სტაროსელსკი მოითხოვდა გუბერნიაში საომარი წესების გაუქმებას, ადმინისტრაციის თვითნება აგენტების დაუყოვნებლივ დათხოვნას, პოლიტიკურ პირთა მიმართ რეპრესიების შეწყვეტას, კრებების თავისუფლებას და სხვა. იგი რევოლუციონერებს მფარველობდა აშკარადაც. ცნობილია, მაგალითად ასეთი ფაქტი: 1905 წლის აგვისტოში ქუთაისის ბაღში თავშეყრილი ხალხის წინაშე სიტყვა წარმოთქვა ოთხმა ცნობილმა რევოლუციონერმა. მათ აუგად ახსენეს მთავრობა, ამიტომ პოლიციამ ისინი დააპატიმრა, ეს გაიგო თუ არა ვლ. სტაროსელსკიმ, პოლიციის უფროსთან ერთად მივიდა პოლიციაში, მეგობრულად ჩამოართვა ხელი ტუსაღებს და მოისმინა მათი საჩივარი. შემდეგ გასცა განკარგულება სტრაჟნიკები, რომლებსაც „ბრალი" მიუძღოდათ რევოლუციონერების დაპატიმრებაში დაეტუსაღებინათ, ხოლო რევოლუციონერებს ბოდიშის მოხდით გამოუცხადა — თქვენ თავისუფალი ხართო[2].

ცნობილია ასეთი ფაქტიც: 1905 წლის ზაფხულზე ქუთაისის გუბერნატორს ვ. სტაროსელსკის მთავრობაში დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, რომ მთავრობას ეცნო და დაეკანონებინა საქართველოს სოფლებში შექმნილი გლეხთა რევოლუციური კომიტეტი და სახალხო სასამართლოები. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: «Новый Кутаисский губернатор Старосельский ходатай-

---

1 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წ. ამიერკავკასიაში, 1932, გვ. 178.

2 ი ქ ვ ე

ствует о признании законным самоуправляющим сельских организаций, образовавшихся за время крестьянского движения, и во главе которых стоят свободно избранные сотские и десятские»[1].

მთავრობა, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ წავიდა და სტაროსელსკიც ამას მოელოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან ეს საკითხი გაბედულად დააყენა და არავის არ შეუშინდა.

სტაროსელსკის, როგორც გუბერნატორის და მოქალაქის შესახებ საქართველოში ცნობილი ექიმი ივანე გომართელი თავის მოგონებაში წერს: „სანამ გუბერნატორად სტაროსელსკი დაინიშნებოდა იმის გამო, რომ მე ბოროტი ადამიანების მიერ დაბეზღებული ვიყავი მეფის მთავრობის მოხელეებთან, — ვ. სტაროსელსკის წინა გუბერნატორმა გამომიძახა. ცხადია, მეც გამოვცხადდი. ახოვანმა, წარმოსადგეგმა კაზაკმა მარდათ გამოაღო კარი და პირდაპირ გუბერნატორის ოთახში ამოვყავი თავი.

გუბერნატორი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ათვალიერებდა. ერთი ნაბიჯი გადავდგი და გავჩერდი. გუბერნატორი წამოდგა, შემომაჩერდა, ნახევარი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და შედგა.

არც სალამის, არც ხელის ჩამორთმევის ღირსი არ გავხდი. ან კი რათ უნდა გავმხდარიყავი?

ის გენერალი და მარტო გენერალი ხომ არა — გუბერნატორი!

და მარტო გუბერნატორი ხომ არა — რუსეთის გუბერნატორი!!

მე კი... მეც რუსეთის ქვეშევრდომი ვიყავი! რის ქვეშევრ-

---

[1] სცს, ფ. — 102 საქმე № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომი — მონა. რუსეთში არიან გუბერნატორები, ბოქაულები, სტრაჟნიკები და მონები.

გუბერნატორი ჭაღარა იყო, მარილიანი სახის, უბოროტო, კეთილი გამომეტყველების.

ის კი, მაინც და მაინც ცდილობდა ყველა ეს ღირსება დაემალა და ჩემზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

— თქვენ ხართ ექიმი გომართელი?

დავრწმუნდი, რომ ზრდილობას არ იყო მოკლებული: თქვენობით მომართა და არა შენობით, თუმცა ის, როგორც რუსეთის გუბერნატორს სრული უფლება ქონდა შენობით მოემართა: რუსეთში ხომ გუბერნატორები თვითონ ქმნიან უფლებებს, კანონებს, სავალდებულო დადგენილებებს და სხვადასხვა.

დიაღ, მე გახლავართ.

— მე დანამდვილებით გავიგე.. და ჩამომითვალა გუბერნატორმა რაც გაეგო.

— თქვენო აღმატებულებავ!

— რის აღმატებულებავ, აღარ დამაცალა ქუთაისის პომპადუ-მა, მე თვითონ გაფრთხილებთ, თუ ყოველივე ამას არ დაანებეთ თავი, გადაგასახლებთ.

— თქვენო აღმატებულებავ...

— მარა, ჩემთვის თქვენი საბუთები საჭირო აღარ არის. მე თვითონა მაქვს ჩემი საბუთები. თავისუფალი ხართ.

ნამდვილი ნაპოლეონი, არც მეტი არც ნაკლები!

მეც გამოვტრიალდი ისე, როგორც შეეფერება დიდი რუსეთის ქვეშევრდომს და გამოველ გარეთ.

დრონი იცვლებიან.

განვლო მგონი წელიწადმა.

იმავე სადგომში, იგივე კარი დინჯათ გამოაღო ჩვეულებრივმა მოსამსახურემ, რომელიც მგონი ჩემზე მაღალი არ ყოფილა და მე იმავე ოთახში გავჩნდი.

მაღალი, ხმელ-ხმელი, ნახევრად გაჭაღარავებული, სათვალებიანი კაცი დავინახე.

არც ჩინები, არც ორდენები, არც წითელი შარვალი, — ჩვეულებრივი სერთუკი და ისიც არც სულ ახალი. !

— აა, თქვენა ბრძანდებით ექიმი გომართელი? ორივე ხელები გამოაშვირა ჩემსკენ და პირზე ღიმილით მომეგება.

— თქვენო აღმატებულობავ...

— ეე, რის აღმატებულებავ, დამიძახეთ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, მორჩა და გათავდა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით.

თვითონ მომიწია სკამი და ორივე დავსხედით.

ეს იყო ახალი გუბერნატორი ვლადიმერ სტაროსელსკი.

მე არ ჩამოვსულვარ აქ იმ განზრახვით, რომ ხალხის მოძრაობას ვებრძოლო და შევაჩერო. ეს მე არ მსურს და, რომ მსურდეს კიდეც, არ შემიძლია. ჩემი მიზანია პირიქით, დავეხმარო ხალხს ამ მოძრაობაში და თავიდან ავაცილო ის, არა სასურველი მავნე მოვლენანი, რომლებიც ასეთ მოძრაობას მუდამ თანახლავთ, — აი სტაროსელსკის ნამდვილი სიტყვები. თავის დაპირებას ის პირნათლად ასრულებდა.

დემოკრატი, მოსარჩლე ხალხის მოძრაობისა, ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის განახლება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ამიტომ თვითონ იღებდა მონაწილეობას მოძრაობაში, დადიოდა ყველგან, სოფელში, დაბებში და ცდილობდა, რომ მოძრაობა თავიდანვე ჩამდგარიყო მტკიცე კალაპოტში და უბრალოდ სისხლის ღვრას ალაგი არა ქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა, ისე, რომ არ დაკითხ-ბოდა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს.

მისი სადგომი მალე გადაიქცა ერთგვარ კლუბად, სადაც თავს იყრიდნენ ეს წარმომადგენლები და სტაროსელსკისთან ერთად თათბირობდნენ.

ქუთაისში იმ დროს გამოდიოდა გაზეთი, სადაც ყოველ-დღე იწერებოდა კორესპონდენციები სხვადასხვა სოფლებიდან მოძრაობის შესახებ... „სამხედრო პირებს, კაზაკებს სტარო-სელსკი სძულდათ.

— ერთობის გუბერნატორი! წითელი გუბერნატორი! კა-ზაკები უძახდნენ მას.

იყო ისეთი მომენტი ქუთაისში, როდესაც კაზაკებსა და ხალხს შორის შეტაკება და სისხლის ღვრა აუცილებელი იყო.

სტაროსელსკის დღე და ღამე არ ეძინა. მან მოახერხა იმ-დენი, რომ კაზაკებს კაზარმებიდან აღარ უშვებდნენ და ამავე დროს შუამდგომლობა აღძრა, რომ ისინი ქუთაისიდან ჩრდი-ლო კავკასიაში გადაეყვანათ, და კიდეც მიაღწია მიზანს: მო-ვიდა ვორონცოვის განკარგულება, კაზაკთა პოლკების პიატი-გორსკში გადაყვანის შესახებ, მაგრამ სანამ ეს განკარგულება სისრულეში შევიდოდა, — რეაქციამ გაიმარჯვა.

— როდესაც კაზაკები აქედან წავლენ, ხალხის მოძრაო-ბას აქ მტერი აღარ ეყოლება! აი სტაროსელსკის სიტყვები.

ქუთაისის გუბერნიაში მოძრაობამ სწრაფად და დიდზე გაშალა ფრთები. ამავე დროს ასეთ დიდ მოძრაობასთან შე-დარებით სისხლი ძალიან ცოტა დაიღვარა და ეს მოხდა უმთავ-რესად სტაროსელსკის წყალობით.

იმის ალაგას, რომ სხვა ვინმე ყოფილიყო ქუთაისში საში-

ნელი სისხლის ღვრა ატყდებოდა და ბევრი ხალხი დაიღუპებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის გაღრმავება — გაზრდა, რაც შეიძლება ცოტა მსხვერპლი, — აი ვ. სტაროსელსკის მიზანი.

ხალხმა მალე იცნო სტაროსელსკი და შეიყვარა ის.

მუშებმა რამდენჯერმე დააპირეს მისი ეტლიდან ცხენების გამოხსნა, — რომ თვითონ შებმულიყვნენ შიგ და ამით გამოეხატათ მისდამი სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ ასეთ განზრახვას პარტიების მეთაურები გადაეღობენ წინ: რაც უნდა იყოს მთავრობის მოხელეა და ასეთ ხანაში პროლეტარებს არ შეშვენის გუბერნატორს ოვაციები გაუმართოსო.

იმას უყვარდა ხალხი, უყვარდა მოძრაობა, და სწამდა მხოლოდ ხალხის მოძრაობით მოპოვებული უფლებანი.

— თქვენ გწამთ ხალხის სრული გამარჯვება? ვეკითხები მას.

— ახლა, შესაძლებელია ხალხმა თავის მიზანს ვერ მიაღწიოს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება კი მწამს შეურყევლად, უამისოდ ჩემი აქ ყოფნა დიდი სისულელე იქნებოდა.

— ჩემი აზრით მაინც არ უნდა მიგეღოთ ეს თანამდებობა ასეთ ხანაში.

— რატომ? შესაძლებელია დავიღუპო?

— დიაღ?

— მერე რა ვუყოთ, თუ კი საერთო საქმე გაიმარჯვებს, მეც დავიღუპო.

მართლაც დაიღუპა, მაგრამ ხალხის გულში ძეგლი დაიდგა, მოძრაობის ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა.

დაუღალავი, შეუპოვარი, უშიშარი, გაუტეხელი, გულწრფელი, კეთილშობილი ადამიანი — მოქალაქე, რომელმაც

თავისი თავი ყოველივე საპირადო მსხვერპლად შესწირა ...
ჩაგრულთა კეთილდღეობას.

— აი ვლადიმერ სტაროსელსკი, ის ღირსია საუკუნო ხსენებისა და ექნება კიდეც"[1].

როგორც ცნობილია 1905 წლის ბოლოს მთელი დასავლეთ საქართველო გლეხთა აჯანყებამ მოიცვა, ისინი მუშებთან ერთად მოითხოვდნენ პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. მეფის მთავრობა თვლიდა, რომ ეს იყო თავზეხელაღებული და მეტად საშიში მოთხოვნა, ამიტომ მთავრობამ აამოქმედა თავისი აპარატი, ფეხზე დადგა პოლიცია და ჟანდარმერია. ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, კაზაკობა იყო. ისინი დაუნდობლად უსწორდებოდნენ მათ.

მოსახლეობაში პანიკა და შიში რომ შეეტანათ კაზაკები მთავრობის წაქეზებით ახლა აშკარად ტყვიებს კი არ უშენდნენ მუშებსა და გლეხებს, არამედ ღამღამობით ხიშტებით, ხანჯლებით და დანებით კლავდნენ მათ.

კაზაკთა ამდროინდელი მხეცური მოქმედების შესახებ სტაროსელსკი თავის წიგნში „გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში" აღნიშნავდა: „ქუთაისში კაზაკთა თარეში განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წლის ბოლოს. მე თვით გავხდი მოწმე კაზაკთა აღვირახსნილი მოქმედებისა. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, პოლიციის ნაწილთან იდგა და გრგვინავდა აღელვებული ხალხი. ქუჩაში უგრძნობლად იწვა დასისხლიანებული კაცი. მეორე ასევე დასისხლიანებული, გრძნობადაკარგული იჯდა ბირჟის ეტლში.

---

[1] ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", № 6, 1916.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შევეცადე ხალხი დამემშვიდებინა, მაგრამ გვიანღა იყო. ქალაქის ყველა ქუჩაში ბარიკადებს აგებდა დიდი ბრბო ტარა.

ბარიკადებისაკენ ბალახვანის ქუჩით ცხენებს მოაჭენებდა კაზაკთა ასეული.

ჩემ მიერ გაჩერებული იქნა კაზაკები, რომლებიც უგულოდ დაემორჩილნენ ჩემს ბრძანებას და უკან დაბრუნდნენ. კაზაკებს აეკრძალათ კაზარმებიდან გამოსვლა"[1].

სტაროსელსკის აშკარა მხარდაჭერა რევოლუციონერებისადმი და ამასთან აჯანყებულთა წინააღმდეგ ერთგვარი უმოქმედობა, არ შეიძლებოდა მეფის ჟანდარმერიას უყურადღებოდ დაეტოვებინა, და მართლაც ოქტომბრის ბოლოს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის განყოფილების გამგე მეფის მთავრობას შემდეგი შინარსის მოხსენებას უგზავნის: ქუთაისში 19—20 ოქტომბერს, მისი გუბერნატორის სტაროსელსკის ნებართვით იკრიბებოდა ხალხი, რომლებიც წარმოსთქვამდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო სიტყვებს, გინებით მოიხსენებდნენ იმპერატორს და მის გვარეულობას, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს და ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

20 ოქტომბერს ქალაქის სობოროსთან ჩაშალეს იმპერატორ ალექსანდრე მესამის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი, გამოკიდეს წითელი დროშა, რევოლუციონერებმა წარმოსთქვეს ხელისუფლების საწინაღმდეგო სიტყვები, რომლებიც თავდებოდა სიტყვებით: გაუმარჯოს თავისუფლებას!

---

[1] ვ. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში 1928, გვ. 39.

ძირს თვითმპყრობელობა!, ხოლო იქვე მყოფმა პოლიციამ არავითარი ზომები არ მიიღო.

სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ აგრეთვე ქალაქის ბაღში, გამოიტანეს წითელი დროშა და მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. გუბერნატორი მივიდა ქალაქის ბაღში ხალხთან და ყველას მადლობა მოახსენა, იმის გამო, რომ მის მიერ ნებადართული მიტინგები ტარდებოდა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. დამსწრენი სტაროსელსკის ოვაციებით შეხვდნენ. ამ დროს სტაროსელსკის გვერდით იდგა მღვდლის შვილი რუბენ გიორგაძე წითელი დროშით, რომელზეც იმპერატორი ნიკოლოზ მეორე თავდაყირა იყო გამოხატული. როცა სტაროსელსკი წავიდა, ხალხის მოთავეებმა — სოციალ-დემოკრატებმა მაღლა ასწიეს წითელი დროშა და მარსელიოზას სიმღერით ქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ. ქალაქის პოლიცმეისტერის თხოვნაზე შეეწყვიტათ დემონსტრაცია და დაეშვათ დროშა, რევოლუციონერებმა უპასუხეს, რომ მათ ნება დართო გუბერნატორმა.

27 ნოემბერს კაზაკების უხეშობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბათუმში. ამის შესახებ ბათუმის კომიტეტი შემდეგს იუწყებოდა: 27 ნოემბრიდან კაზაკებმა დაიწყეს ყოველგვარი საბაბის გარეშე მშვიდობიანი მცხოვრებლების დანით დაჭრა და დასახიჩრება. ღამღამობით უდარაჯებდნენ ქუჩაში გამვლელებს და ცივი იარაღით ჭრილობას აყენებდნენ. ჯერჯერობით ქუჩებში ნაპოვნია 7 მოკლული და 4 დაჭრილი[1].

---

1 იხ. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, დოკუმენტების კრებული, გვ. 471.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი იყო, რომ ქუთაისსა და ბათუმში თითქმის ერთი და იგივე დროს ხდებოდა შეტაკებები.

შეტაკება ყველა შემთხვევაში გამოწვეული იყო კაზაკების მხეცური მოქმედების გამო.

27 ნოემბერს სრულიად უმიზეზოდ კაზაკებმა ქუთაისში მოკლეს რამდენიმე მოქალაქე ბალახვანის ქუჩაზე. ეს გახდა მიზეზი ქალაქის ქუჩებში ბარიკადების მოწყობისა. აჯანყებულებმა დაწყვიტეს ტელეგრაფებისა და ტელეფონების მავთულები და ბულვარის გარშემო ბარიკადები ააგეს. ქალაქის სამივე ხიდი ბარიკადებით იყო შეკრული.

ხალხმა გუბერნატორ სტაროსელსკის მოთხოვა კაზაკები დაუყოვნებლივ გაეყვანა და ისინი არც ერთ შემთხვევაში ქუჩაში არ გამოსულიყვნენ, ხოლო თუ საჭირო იქნებოდა წესრიგის დასაცავად გამოეყვანათ ჯარისკაცები. მან ხალხის მოთხოვნა დააკმაყოფილა[1].

ასეთი დაძაბულობის დროს იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა მოაწყო ხალხმრავალი მიტინგები, სადაც მიიღეს რეზოლუციები შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლის შესახებ.

კაზაკთა მხეცურმა მოქმედებამ რომლებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ხალხის დიდი აღშფოთება და ბოლოს შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია. ნოემბრის ბოლოს შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და ფოთში.

აჯანყებულთა ხელში გადავიდა ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები. ზოგ მათგანში აჯანყებულებმა

---

1 იხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1932, გვ. 181.

გააძევეს მთავრობის წარმომადგენლები და თითონ ხელმძღვანელობდნენ.

დეკემბერში აჯანყებულებმა ოზურგეთში აირჩიეს ქალაქის რევოლუციური თვითმმართველობა, რომელიც განაგებდა ქალაქის ყოველგვარ საქმეებს. ქალაქში შექმნილი იყო სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობდა წითელრაზმელთა ბრძოლებს. მთელ მაზრაში დაწესებული იყო „რესპუბლიკის პრეზიდენტის“ თანამდებობაც კი[1].

შეიძლება ითქვას, რომ 1905 წლის ოქტომბრის ბოლოდან 1906 წლის დასაწყისამდე, დასავლეთ საქართველოში მთელი ძალაუფლება რევოლუციონერების ხელში იყო.

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერს ვ.ი. ლენინი სამართლიანად უწოდებდა რევოლუციის ორ დიდ თვეს.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გამარჯვებით გათამამებულმა გურია-სამეგრელოს წითელრაზმელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ თბილისს და ამ მიზნით იმერეთის რაზმთან ერთად თბილისში წასულიყვნენ, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

ცნობილი რევოლუციონერი პარმენ ცინცაძე ამ დროის შესახებ შემდეგს წერდა: თბილისის მიმართულებით წასულ გურია-სამეგრელო-იმერეთის წითელრაზმს, ზესტაფონში შეუერთდა შორაპნის რაზმი. შეხვედრისას იყო მისალმებები.

რაზმის ერთი ნაწილი მატარებელში ვიყავით, როდესაც ვილაც ჯაშუშმა ორჯერ გაისროლა. იმერეთის რაზმმა იფიქრა თავს დაგვესხნენო და ატყდა სროლა. დაიჭრა 4 რაზმელი, ორი იქვე გარდაიცვალა, ორი კი ქუთაისში გავგზავნეთ. ეს ამბავი გაიგო

---

1 იხ. გ. ჯ ა ბ უ რ ი ა, გლეხთა რევოლუციონერი კომიტეტები საქართველოში 1905—1907 წ. წ., 1957, გვ. 82.

თუ არა სტაროსელსკიმ 300 მანეთი გამოუგზავნა ჩვენს რაზმს და თან შემოგვითვალა, თბილისისაკენ ნუ წახვალთ, სანამ შე არ გაცნობებთო.

ჩვენ მართლაც დავიხიეთ უკან და სამ დღეს უდარაჯებდით სვირსა და აჯამეთს.

ამ დროს რაზმელებს წიფის გვირაბში ორი ორთქლმავალი აუფეთქებიათ, რის გამოც იძულებული ვიყავით უკან დავბრუნებულიყავით. ამის შემდეგ მთავრობა გამაგრდა თბილისში და საშუალება მიეცა დამსჯელი რაზმი გაეგზავნა დასავლეთ საქართველოში.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის მწვერვალი იყო მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც 9 დღეს გრძელდებოდა და 18 დეკემბერს დამარცხებით დამთავრდა.

მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო მეფის მთავრობა და მისი დამსჯელი ორგანოები ყველგან გადავიდა რევოლუციის წინააღმდეგ შეტევაზე. ცხადია, თვითმპყრობელობის ასეთი შეტევა მთელი სისასტიკით შეეხო საქართველოს. 1905 წლის დეკემბრის ბოლოს თბილისის, გორისა და დუშეთის მაზრებში გამოცხადდა სამხედრო წესები. 1906 წლის იანვრის დასაწყისიდან მეფის ნაცვალმა სამხედრო მდგომარეობა ბრძანებით გაავრცელა ქუთაისის გუბერნიაზე, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით სოხუმის ოლქზე. ასე, რომ სამხედრო წესები თითქმის მთელ საქართველოს მოიცავდა.

თბილისის საგაფიცვო ბიურომ, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ აჯანყების გაგრძელება უაზრო-

ბად ჩათვალა და 29 დეკემბერს აჯანყება დამთავრებულად გა-
მოაცხადა.

ამ მდგომარეობით ისარგებლა მეფისნაცვალმა, მობილ-
ზაცია გაუკეთა ჯარის დიდ შენაერთს, რომელსაც სათავეში ჩა-
უყენა მეფის არმიის ცნობილი ჯალათი გენერალი ალიხანოვ-
ავარსკი და გაგზავნა დასავლეთ საქართველოში წესრიგის და-
სამყარებლად.

1905 წლის 5 იანვარს თბილისიდან დასავლეთისაკენ წავიდა
ალიხანოვის რაზმი, რომელშიც შედიოდა 744 ჯარისკაცი და 88
ოფიცერი.

რკინიგზის ლიანდაგის ბევრგან აყრისა და წიფის გვირაბში
ორთქლმავლების აფეთქების გამო, თითქმის 4 დღეს შეფერხდა
დამსჯელი რაზმის წინსვლა. ამ მდგომარეობამ გააბრაზა ისე-
დაც გაცოფებული გენერალი ალიხანოვი და ბრძანება გასცა
გზაზე აეკლოთ და დაენგრიათ სოფლები. ალიხანოვის რაზმე-
ლებმა მთლიანად დაარბიეს და დაწვეს რკინიგზის ახლო მდე-
ბარე სოფლები. გადაბუგეს დაბა ხაშური, ხოლო სახლები,
რომლებიც ცეცხლს გადაურჩა ზარბაზნებით დაანგრიეს.

დამსჯელი რაზმის მოქმედება კიდევ უფრო აღვირახსნილი
იყო წიფის გვირაბს იქით. გამხეცებულმა ბრბომ ფერფლად აქ-
ცია რკინიგზის ახლოს მდებარე სოფლები. ხალხი კი მინდორ-
ში გამორეკეს და ზამთრის სუსხიან ამინდში წყალში ფეხშიშვე-
ლი ამყოფეს მანამ, სანამ თანხმობას არ განაცხადებდნენ გადა-
სახადების გადახდასა და იარაღის ჩაბარებაზე. ალიხანოვის
ბრძანებით ხარაგაულის რაიონის სოფლებში მდინარეში შერე-
კეს გლეხები და უბრძანეს: სანამ არ ასწავლიდნენ სად იმა-
ლებოდნენ რაზმელები, მანამ წყლიდან არ ამოუშვებდნენ.
გლეხებმა ერთხმად განაცხადეს უარი ამ მოთხოვნის შესრუ-

ლებაზე. ჯალათებმა ამის საპასუხოდ გლეხებს ტყვიები დაუ-
შინეს და რამდენიმე გლეხი მდინარეს გაატანეს. ეს შემ-
ოავი ამბავი მალე გახმაურდა მთელ მხარეში და შეშინებულმა
გლეხებმა ხარაგაულსა და ზესტაფონში, რომლებთაც ბრძო-
ლის გაგრძელება უაზროდ მიაჩნდათ, სიცოცხლის შესანარ-
ჩუნებლად თეთრი ალმები აღმართეს და ასე შეეგებნენ დამს-
ჯელ რაზმს. თეთრი ალმები ნიშნავდა სრულ მორჩილებას,
ოღონდაც ხალხისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. მაგ-
რამ ხალხის ხვეწნა-მუდარას ყურადღებას არავინ აქცევდა,
დაუზოგავად ხვრეტდნენ ბრალიანს და უბრალოს. დახოცეს
ბავშვები, ქალები, მოხუცები, და გზა განაგრძო ზესტაფონისა-
კენ. 1906 წლის 10 იანვარს ალიხანოვმა ბრძანება გასცა გადა-
წვათ ზესტაფონი. 11 იანვარს იწვოდა ზესტაფონი, საქარა, არ-
ბეთა და ბევრი სხვა სოფელი. შემდეგ სვირში გადაინაცვლა.
მან იცოდა სადგურის უფროსის აჯანყებულებთან კავშირის
შესახებ, ამიტომ სვირში ჩასვლისას მისი ბრძანებით კაზაკებმა
დაიჭირეს სვირის სადგურის უფროსი სევერიან ჟღენტი და
ხმლით თავი მოკვეთეს. ამის შემდეგ სადგურ აჯამეთის მიდა-
მოებში დააპატიმრეს და დახვრიტეს საგაფიცვო კომიტეტის 12
შევრი. აქედან ალიხანოვი ქუთაისში შევიდა, იქაც გადაწვა
რამდენიმე სახლი, მაგრამ ვ. სტაროსელსკის გავლენით
თავი შეიკავა ქუთაისის დარბევაზე. ქუთაისის გადარჩენის შემ-
დეგ ვ. სტაროსელსკი შეეცადა გურიაში თავიდან აეცი-
ლებია დიდი სისხლის ღვრა. ამ მიზნით მან ურჩია გენერალს
ერთად ჩასულიყვნენ გურიაში და მოეგვარებინათ იქაური საქ-
მეები. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ალიხანოვი და-
თანხმდა სტაროსელსკის და ჯარი სამტრედიაში დატოვა. სტა-
როსელსკიმ გურულებს აცნობა, რომ ალიხანოვს დიდი ჯარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყავს და ამჟამად მშვიდობიანად მორიგება ჯობიანო ხალხმა სწორად გაიგო შექმნილი მდგომარეობა და ბრძოლაზე უარი თქვა. ალიხანოვის ბრძანებით კაზაკებმა გურიაში დაწვეს ნატანები, ოზურგეთის ნაწილი და რამდენიმე სოფელი.

საქართველოს მიწა-წყალი ბევრჯერ ყოფილა აოხრებული და განადგურებული უცხოელი დამპყრობლების მიერ, მაგრამ შეიძლება ითქვას ხალხის მიმართ ასეთი სისასტიკე იშვიათი იყო.

ალიხანოვმა დამორჩილებულ გურიაში დაუყოვნებლივ შეცვალა ოზურგეთის ადმინისტრაცია. მაზრის უფროსად დანიშნა ერმალოვი, დამსჯელი რაზმის მეთაურად კრილოვი, ლანჩხუთის ბოქაულად მიქიაშვილი, ხოლო ჯარის უფროსად დიმიტრი მგელაძე. ცხადია, ამ ცნობილი რეაქციონერების ხელში გურიაში გამეფდა საშინელი რეაქცია, ამიტომ, სოციალ-დემოკრატებმა, მუშაობა რომ არ შეეწყვიტათ, აირჩიეს გურიის ახალი კომიტეტი, სარაიონო ბიუროები და გადავიდნენ არალეგალურ მუშაობაზე.

პოლიციამ რევოლუციონერებს დაუწყო სასტიკი დევნა. ბევრი რევოლუციონერი დაიჭირეს, ბევრის სახლ-კარი გადაწვეს და ცოლშვილი ააწიოკეს[1].

ახლა ჯერი რევოლუციონერების მომხრე გუბერნატორზე დადგა. მან ვერ გაამართლა მთავრობის იმედები. იგი არა თუ ებრძოდა რევოლუციას და რევოლუციონერებს, არამედ აშკარად მფარველობდა მათ. ყოველივე ამის გამო მეფის მთავრობამ გახკარგულება გასცა პოლიციის აგენტების მეშვეობით გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკიზე ფარული მეთვალ-

---

1 იხ. ჟურნალი „მომავალი“, 1923, № 1 გვ. 104.

ყურეობა დაეწესებიათ და მის წინააღმდეგ შეგროვილი ყველა მასალა დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ დაშკოვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციის აგენტებს ვ. სტაროსელსკის წინააღმდეგ მასალების შეგროვებაში დახმარებას უწევდნენ სტაროსელსკისადმი განაწყენებული სამხედრო მოსამსახურენი. მათ მიერ არაერთი დაბეზღების წერილი გაიგზავნა მეფისნაცვალთან, და თვით მეფე ნიკოლოზ მეორესთანაც კი.

ყოველივე ამის გამო 1906 წლის იანვრის დასაწყისში მეფე ნიკოლოზ მეორე კავკასიაში მეფისნაცვალს წერდა, რომ მის განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი ნამდვილი რევოლუციონერია. იგი აშკარად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოქმედებს რევოლუციონერების საჰარგებლოდ[1].

ნიკოლოზ მეორისაგან შეშინებული და გუბერნატორზე განრისხებული კავკასიის მეფისნაცვალი — ვორონცოვი იძულებული გახდა გადაეყენებია სტაროსელსკი და მის ნაცვლად დროებით დაენიშნა გენერალი ალიხანოვი.

ვორონცოვი ალიხანოვს ავალებდა მთავრობის დაწესებულებათა აღდგენას, ყველა რევოლუციური ორგანიზაციის განადგურებას. ამასთან მთელ გუბერნიაში ისე უნდა მოესპო ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები, რომ შემდეგ აღარავის ეფიქრა მის აღდგენაზე.

1906 წლის 11 იანვარს ალიხანოვმა სტაროსელსკი ფაქტიურად დააპატიმრა და მეთვალყურის თანხლებით თბილისში გადააგზავნა მეფისნაცვლის განკარგულებაში.

---

[1] იხ. ჟურნალი „ნოვი მირი“, 1966 წ. № 2, გვ. 160.

სტაროსელსკის „გამცილებლებს“, რომელთანაც აგრეთვე იმყოფებოდა მისი მოადგილე ყიფშიძე, სპეციალური მითითება ჰქონდათ, რათა სტაროსელსკი სრულ ტყვეობაში ყოლებოდათ და არ მიეცათ სადგურზე გამოჩენის და ხალხთან შეხვედრის საშუალება.

თბილისში ჩამოსვლისას სტაროსელსკი არ შეხვედრია ვორონცოვს, რომლის განკარგულებით პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იგი მოათავსეს სასტუმრო „ორიანტში“, მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. აქ ვლადიმერ სტაროსელსკიმ რამდენიმე დღეს დაჰყო. მას უთვალთვალებდა გადაცმული 4 პოლიციის აგენტი, რომლებიც უკრძალავდნენ მსურველებს სტაროსელსკის ნახვას.

სტაროსელსკის შინა პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რამდენიმე დღის შემდეგ მისი მეგობრების დახმარებით და მეფისნაცვლის მოადგილის მხარდაჭერით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. ამრიგად, 1906 წლის იანვრის ბოლოდან სტაროსელსკიმ დატოვა საყვარელი საქართველო და დაიწყო არალეგალური ცხოვრება.

ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცული და ამჟამად ამხ. ი. ბრანინის მიერ ჟურნალ „ნოვი მირის“ — 1967 წლის აპრილის ნოემბერში გამოქვეყნებული მასალებიდან, რომელიც კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის არქივშია აღმოჩენილი, ირკვევა, რომ ვლადიმერ სტაროსელსკი თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის დროს 1906 წლის დასაწყისში პირადად შეხვდა არალეგარული ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელს ამხ. ი. ვ. რეზნიკოვს, რომლის რჩევით და დახმარებით ვ. სტაროსელსკი შევიდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მოღვაწეობით სტაროსელსკი მოკლე ხანში ცნობილი გახდა ეკატერინოდარში მომუშავე რევოლუციონერებისთვის. ცხადია, ასეთმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ ვლადიმერ სტაროსელსკის ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელით ირჩევენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეოთხე კონფერენციის დელეგატად, რომელიც გაიმართა ქ. ჰელსინფორდში (ფინეთში) 1907 წლის 5—12 ნოემბერს. კონფერენციის მუშაობაში ვლადიმერ სტაროსელსკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იგი გაეცნო სხვა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ დელეგატებს და მათი საშუალებით მჭიდრო კავშირი დაამყარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბოლშევიკურ ცენტრთან.

სტაროსელსკის ასეთი აქტიური რევოლუციური საქმიანობის შესახებ არ შეიძლებოდა არ გაეგო პოლიციის აგენტებს, რომლებიც სპეციალურად უთვალთვალებდნენ მას. სწორედ მათი საშუალებით შეიტყო ადგილობრივმა პოლიციამ, 1903 წლის თებერვალში ქალაქ ეკატერინოდარში თერძების პროფესიონალური კავშირის შენობაში მოწყობილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყუბანის კომიტეტის ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირის შესახებ, რომელსაც ვ. სტაროსელსკი ხელმძღვანელობდა. თათბირის მონაწილენი პოლიციამ დააპატიმრა, ხოლო სტაროსელსკის შესახებ წერილი გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს და სთხოვა სასწრაფოდ ეცნობებიათ მათთვის ექნებოდათ თუ არა საწინააღმდეგო ვ. სტაროსელსკის დაპატიმრებაზე, რომელიც ადრე მუშაობდა ქუთაისის გუბერნატორად. ცხადია, მეფისნაცვლის მოადგილე, რომელიც ძლიერ იყო შეშინებული სტაროსელსკის უკვე გახმაურებული

საქმის გამო, ამ წინადადებას დიდი სიხარულით დეთანხმა, მაშინვე აფრინა პასუხი ეკატერინოდარში და პოლიციას აუწყა სტაროსელსკის მოქმედების შესახებ, რომელიც მიმართული იყო მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ამ თათბირის შესახებ მოახსენეს აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს სტოლიპინს, რომელმაც, აძლევდა რა დიდ მნიშვნელობას ვ. სტაროსელსკის მონაწილეობას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყუბანის კომიტეტის ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელთა ბოლშევიკების თათბირში, — თავის მხრივ 9 თებერვალს მოახსენა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს. სტოლიპინის მოხსენებაში ნათქვამი იყო: 7 თებერვალს ქ. ეკატერინოდარში თერძების პროფესიონალური კავშირის შენობაში აღმოჩენილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კავშირის 17 წარმომადგენლის კრება, მათ შორის აღმოჩნდა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი სტაროსელსკი, რომელიც ჩვენთან არსებული აგენტურის მასალების მიხედვით ხელმძღვანელობს ამ კავშირს. მე საჭიროდ ვთვლი და ჩვენს ვალდებულებად მიმაჩნია ამის შესახებ მოვახსენო თქვენს იმპერატორობის უდიდებულესობას.

მეფე ნიკოლოზ მეორემ ყურადღებით წაიკითხა სტოლიპინის მოხსენებითი ბარათი, აღშფოთებულმა ლურჯი ფანქრით სქელად გახაზა სტაროსელსკის გვარი და ფურცლის მარცხენა ზემო კუთხეში წააწერა: „იმედი მაქვს ის (ვლად. სტაროსელსკი პ. ს.) დაპატიმრებულია და მიცემული იქნება პასუხისგებაში“[1].

---

[1] ჟურნალი „ნოვი მირი“, 1966 წ. № 2, გვ. 229.

1908 წლის 14 მარტს პოლიციის დეპარტამენტის დირექ-
ტორის მოადგილე სასწრაფოდ აგზავნის ტელეფონოგრამას
ყუბანის საოლქო ჟანდარმერიის სამმართველოში და მოითხოვს
სასწრაფოდ მოახსენონ იმყოფება თუ არა სტაროსელსკი პა-
ტიმრობაში და როგორი წესით.

22 მარტს ყუბახის საოლქო ჟანდარმერიიდან პეტერბურგ-
ში პოლიციის დეპარტამენტს ტელეფონოგრამით აცნობეს,
რომ სტაროსელსკი თითქოს გაემგზავრა ეკატერინოდარიდან
თბილისში ან ქუთაისში, მაგრამ შემოწმებით დადგინდა, რომ
სტაროსელსკი იქ არ იმყოფება. სტაროსელსკის ოჯახი იმყო-
ფება ეკატერინოდარში, ჩვენ დავაწესეთ მეთვალყურეობა
ოჯახზე და ამ ოჯახის მისამართით გამოგზავნილ კორესპონდენ-
ციაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი, რომელიც იმ ხანად
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, კავკასიაში მეფისნაც-
ვალს ატყობინებს, რომ მათი მხრივ უმაგალითო უპასუხისმგებ-
ლობას უნდა მიეწეროს ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის
სტაროსელსკის დაუსჯელი გაშვება კავკასიიდან.

1908 წლის 11 მაისს პოლიციის დეპერტამენტი ლენინ-
გრადში ღებულობს ცნობას მოსკოვის ჟანდარმერიის საქალაქო
განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ კოტენიდან, რომელიც
იუწყებოდა საზღვარგარეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიების საქმიანობა გაძლიერდა; სოციალ-დემოკრა-
ტიული ჯგუფის პარიზის ბიუროში ამ ბოლო დროს მოეწყო
რამდენიმე კრება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მაისში გა-
მართული კრება, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 1000
კაცი და რომელზეც მოხსენებით — „რუსეთის რევოლუციის
ხასიათის შესახებ“ გამოვიდა ლენინი. ამის შემდეგ გაიმართა

პარიზის ჯგუფის ბიუროს სხდომა. ამ შეკრებას ესწრებოდა 20 კაცი. მათ შორის იყვნენ: ლენინი, მარტოვი, ალექსინსკი და ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი სტაროსელსკი[1].

ცხადია, ამ ცნობის მიღების შემდეგ პოლიციის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ სტაროსელსკი პარიზში იმყოფებოდა და ეწეოდა რევოლუციურ-პარტიულ მუშაობას, როგორც რუსეთის ემიგრანტი. მაგრამ როდის და რომელი გზით წავიდა ვ. სტაროსელსკი საზღვარგარეთ? ცნობილია, რომ 1908 წლის 8 თებერვალს პოლიციამ სტაროსელსკის ბინაზე ჩაატარა ჩხრეკა. ჩხრეკის დროს საწერი მაგიდის დაკეტილ უჯრაში ნახეს საეჭვო წერილი „ამხ. ბორისის“ მისამართით, რომლითაც მტკიცდებოდა რომ სტაროსელსკის კავშირი ჰქონდა პარტიულ ორგანიზაციასთან. 28 თებერვალს — იგონებს ვ. სტაროსელსკის მეუღლე ჩვენთან ბინაზე მოვიდა მისი ახლო მეგობარი და გაგვაგებინა, რომ ამალამ შესაძლებელია ვლადიმერი დააპატიმრონო. საღამოს ბინაზე დაბრუნებისთანავე იგი წავიდა ჩვენი ოჯახის მეგობართან — ბიბილაშვილთან, რომელმაც მეორე დილით მაცნობა ყველაფერი კარგად დამთავრდა და ვლადიმერი უშიშრად გაემგზავრა ეკატერინოდარიდანო.

ეკატერინოდარიდან ვლადიმერი მოსკოვში ჩავიდა. აქედან პეტერბურგში. სადაც რამდენიმე დღე დარჩა უფროს ქალიშვილთან, ელენესთან, რომელიც ამ დროისათვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. აქედან სტაროსელსკი თავისუფლად გადავიდა ფინეთში, შემდეგ მარსელში და პარიზში.

საზღვარგარეთ ყოფნისას დაუკავშირდა რუსეთიდან წასულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრებს და საქმიანი

---

[1] იხ. ჟურნალ „ნოვი მირი“ 1966. № 2 გვ. 231.

ურთიერთობა გააბა მათთან. იგი აქ ხვდებოდა ვ. ი. ლენინს, რომელიც მას „ამხანაგ გუბერნატორს“, „წითელ გუბერნატორს“ უწოდებდა. ახლოს იცნობდა აგრეთვე ნ. კრუპსკაიას, მ. გორკის, ა. ლუნაჩარსკის და სხვ. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. ლუნაჩარსკისთან და მის ოჯახთან.

ვლადიმერ სტაროსელსკის ძმისშვილი ეკატერინე იულის ასული დემუროვა, რომელიც 30-იან წლებში თბილისში ცხოვრობდა და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა, წერს: 1926 წელს სპეციალურად ჩავედი მოსკოვში ვ. ლუნაჩარსკის სანახავად, როცა გაიგეს რომ მე ახლობელი ვიყავი ვლადიმერ სტაროსელსკის, დიდი სიყვარულით მიმიღეს. მახსოვს როგორი აღტაცებით ლაპარაკობდნენ მის შესახებ. საუბარში ანატოლი ვასილის ძემ დანანებით თქვა: სიკვდილმა არ დააცალა ვლადიმერ სტაროსელსკის მოსწრებოდა ოქტომბრის რევოლუციას, თორემ ის იქნებოდა მიწათმოქმედების ნამდვილი სახალხო კომისარი[1].

სტაროსელსკის, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერის დიდ საქმიანობაზე აშკარად მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1909 წელს პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებული განყოფილების მიერ შედგენილ საიდუმლო სიაში, სადაც ჩამოთვლილია საზღვარგარეთ ემიგრაციაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 84 აქტიური წევრი, პირველ ნომრად შეტანილია ვ. ი. ლენინი, შემდეგ კრუპსკაია, ორმოცდა მეშვიდე ნომრად კი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტა-

---

[1] იხ. ჟურნალი „ნოვი მირ“, 1966, № 2 გვ. 236.

როსელსკი, რომლის გასწვრივ სწერია — ქუთაისის გუბერ-
ნიის ყოფილი გუბერნატორი[1].

საზღვარგარეთ ემიგრაციაში ყოფნის დროს ვ. ა. სტაროსელსკი წარმატებით ასრულებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყველა დავალებას, სისტემატურად კითხულობდა ლექციებს, ესწრებოდა ბოლშევიკების მიერ გამართულ თათბირებს, ხვდებოდა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს.

ერთი წლის შემდეგ პარიზში ვლადიმერ ალექსანდრეს ძესთან საცხოვრებლად ჩავიდა მისი მეუღლე და ქალიშვილი. ვლადიმერ სტაროსელსკის და მის ოჯახს მართალია მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკური ცენტრიდან, მაგრამ მისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა მაინც ძლიერ ცუდი იყო, რაც ცხადია, დამღუპველ გავლენას ახდენდა ისედაც სუსტი აგებულების ვლადიმერ სტაროსელსკის ჯანმრთელობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ა. სტაროსელსკი უკვე სამ წელზე მეტი იყო რაც რუსეთიდან წამოვიდა, მეფის რუსეთის პოლიციის მუშაკები შეშინებულნი იყვნენ იმის გამო, რომ თვით მეფე ნიკოლოზ მეორე და მისი ცოლი პირადად იყვნენ დაინტერესებულნი სტაროსელსკის პიროვნებით ჯერ ერთი იმის გამო, რომ თუ როგორ მოხვდა ასეთი კაცი გუბერნატორად და მეორეც, მეფის მთავრობის წინაშე სერიოზული დამნაშავე დაუსჯელად გაიქცა საზღვარგარეთ და თავის რევოლუციურ

---

1 მასალა აღებულია ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო ცენტრალური არქივიდან, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნოვი მირის" 1966 წლის, № 2-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობას მიმართულს მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ამქა-
მადაც წარმატებით აგრძელებდა, ამიტომ ბუნებრივია ვ. ა. სტა-
როსელსკის პარიზშიც გამუდმებით უთვალთვალებდა ოხრან-
კის მუშაკები და იგი არასაიმედოთა სპეციალურ სიაში იყო
შეტანილი.

რუსეთისა და საფრანგეთის პოლიციის მოხელეთა გულის
მოსაგებად და რაც მთავარია იმპერატორ ნიკოლოზ მეორისა
და მისი ცოლის დასამშვიდებლად. აგრეთვე თვით ვლადიმე-
რის უშიშროების მიზნით, რუსეთის მთავრობის პარიზის სა-
კონსულოდან 1911 წლის ივნისში პეტერბურგში გაიგზავნა
დეპეშა, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ ემიგრაციაში მყოფმა
ქუთაისის ყოფილმა გუბერნატორმა ვ. ა. სტაროსელსკიმ ეკო-
ნომიური გაჭირვების გამო თავი მოიკლაო. უფრო დამაჯერე-
ბელი რომ ყოფილიყო ეს ამბავი პარიზის გაზეთებში დაიბეჭ-
და ნეკროლოგი, სადაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით
იგონებდნენ ვ. ა. სტაროსელსკის, როგორც რევოლუციონერს
და დიდებულ მოქალაქეს.

სტაროსელსკის სიკვდილის ამბავმა საქართველოშიც მოაღ-
წია. გაზეთებმა გულისტკივილით აღნიშნეს მისი გარდაცვა-
ლება, ვრცელი ნეკროლოგი მიუძღვნა გაზეთმა „კოლხიდამ“.

„მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა, პარიზში გარდაიცვალა
ჩვენი ქვეყნის ერთგული და მეგობარი, ჩვენში დიდად ცნობი-
ლი მოღვაწე გამათავისუფლებელ დროისა, ვლადიმერ ალექ-
სანდრეს ძე სტაროსელსკი. ამ უკანასკნელმა ტომით რუსმა,
უმეტესი ნაწილი თავისი სიცოცხლისა ჩვენ სამშობლოში და
მისდამი სამსახურში გაატარა. არ გვინახავს ჩვენში მეოთ,
მისი მსგავსი უცხოელი, რომელსაც ისე წრფელად, ისე ძლიერ,
ისეთი სამაგალითო სიყვარულით ყვარებოდა ჩვენი ერი, ჩვენი

ქვეყანა, როგორც განსვენებულ ვლადიმერ ალექსანდრეს ძის. საზღვარგარეთ ცხოვრებას იძულებული იგი მუდამ ნაგრძობდა, როდის იქნება ვიხილო კიდევ ჩემი საყვარელი საქართველოო. არასოდეს არ დამავიწყდება, შარშან, ამ დროს, პარიზში რომ გამოვეთხოვე, დიდის ძოწიწებით დამაბარა: რომ ჩახვიდე საქართველოში, ყოველ ხეს, ყოველ ფურცელს, ყოველ კენჭს, ამ მშვენიერ ქვეყნისას ჩემი უმდაბლესი წრფელი სალამი გადაეცითო.

მართლაც და განა მან ეს სიყვარული საქმით არ დაამტკიცა? ვის არ ახსოვს, თუ როგორი თავგანწირვით ებრძოდა ხალხის უკანასკნელი მოძრაობის დროს ყოველივე ბოროტებას, ოღონდაც დაეცვა ჩვენი ხალხის ინტერესები? ვის არ ახსოვს თუ რაოდენი დიდი ღვაწლი დასდვა მან ჩვენს ქვეყანას, როდესაც იგი მთელ გუბერნიას მართავდა უმაღლესი მთავრობის მიერ ამ დიდ პოსტზე მოწვეული?

რამდენი ადამიანი იხსნა მან სიკვდილისაგან თავისი ბრძნული მოქმედებითა და ტაქტიკით? ვინ მოსთვლის, თუ რამდენნი უდანაშაულო პირთა სიცოცხლე გადაარჩინა მან ტლანქ ძალებისაგან, რამდენი სისხლის ღვრა ააცდინა ქუთაისს და ქუთაისის გუბერნიის დაბა სოფლებს.

ჩვენ კარგად გვახსოვს ეს დრო და ვფიქრობთ ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს სახელს იმ ადამიანისას, ვინც ესოდენ დიდი ამაგი დასდვა მას.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ჩვენი უკულმართი ცხოვრების ზოგიერთ პირობათა გამო ხალხის ამ დიდმა მოამაგემ, მის უფლებათა დამცველმა, შორს უცხოეთში განუტევა სული ყოველ ნივთიერ საშუალებებს მოკლებულმა,

ხანგრძლივი სნეულებით ტანჯულმა, ყველასაგან დავიწყებული
ბულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, მეტად ძნელია პაწია ნეკროლოგში და ისიც თანამედროვე მძიმე პირობებში სრულად დავახასიათოთ ამ იშვიათი ადამიანის პიროვნება და მისი მოღვაწეობა. მომავალი ისტორიკოსი რუსეთის უკანასკნელი გამათავისუფლებელი მოძრაობისა გვერდს ვერ აუვლის მას, როგორც ერთ-ერთ გამოჩენილ პირს იმ დროისა და თავის მიუდგომელ მსჯავრს დასდებს მის საზოგადოებრივ სამსახურს"[1]. სტაროსელსკის პიროვნებით გაოცებულნი რჩებოდნენ არა მარტო სტაროსელსკის ამხანაგები არამედ უცხოელი სოციალისტები და მუშათა პარტიების სხვა წარმომადგენლები.

დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: 1908 წლის ივნისში პარიზის დეპუტატთა პალატაში ვ. ა. სტაროსელსკი შეხვდა დეპუტატ-სოციალისტებს. როცა სტაროსელსკი წარუდგინეს პარლამენტის დეპუტატს-ჟან ჟორესს და გააცნეს მისი პიროვნება და საქმიანობა ჟორესმა ვლადიმერს აღტაცებით უთხრა: „თქვენ გმირი ხართ მოქალაქევ!". ვლად. სტაროსელსკიმ უპასუხა: „არა, — მე გმირი არა ვარ,—მხოლოდ დიდი ხანია ვხედავდი, რომ აჯანყება უნდა დაწყებულიყო დაჩაგრულ ქვეყანაში და უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა დავმდგარიყავი დაჩაგრულთა მხარეზე". „დიახ, მე მესმის ეს, — კვლავ უთხრა ჟორესმა — მაგრამ ჩვენი — პრეფექტები მაგისთანა ნაბიჯს არასდროს არ გადადგამდნენ. უწინარეს ყოვლისა ისინი იცავენ თავიანთ კარიერას"[2].

---

[1] გაზ. „კოლხიდა", 1911, 23 ივნისი.

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1965, № 272, გვ. 4.

ამხანაგებთან საუბარში ეს მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი არასდროს არ აღნიშნავდა იმ დიდ გმირულ მოღვაწეობაზე დასავლეთ საქართველოს ბედზე და ხალხისადმი თანაგრძნობაზე, რომელიც მან გასწია 1905 წლის რევოლუციის აბობოქრებულ პერიოდში.

რაც დრო გადიოდა სტაროსელსკის და მის ოჯახს პარიზში ცხოვრება სულ უფრო და უფრო უჭირდა. ეკონომიური ცხოვრების აუტანელ პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა პოლიციის თავხედი მოხელეების უტიფრობა, რის გამოც სტაროსელსკი მთელი ოჯახით მუდამ შიშის ქვეშ ცხოვრობდა. სხვა მიზეზებთან ერთად ალბად ამანაც განაპირობა, რომ ვ. ა. სტაროსელსკის სერიოზულად დაეწყო გულის ტკივილი და ლოგინად ჩავარდა.

ვლად. სტაროსელსკი მძიმე ავადმყოფი მოუთმენლად ელოდა რევოლუციას და თვითმპყრობელობის დამხობას. ვლად. სტაროსელსკის მეუღლე ვალენტინა ანდროს ასული სტაროსელსკაია იგონებს, რომ სიკვდილის წინ მძიმე ავადმყოფი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ამბობდა:

„მე კიდევ მინდოდა სიცოცხლე. მე მწამს, რომ ეს ომი (ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე) გამოიწვევს რევოლუციას, სოციალიზმის განვითარებას, მაგრამ ვგრძნობ, რომ მე ღონე აღარ მაქვს და ვერ მოვესწრები ამას...

მე მინდა, რომ ჩემი შვილები აღიზარდონ საქართველოში, რომ ისწავლონ მუშაობა, განაგრძონ ჩემი საქმე, საქმე საქართველოს პროლეტარ მცხოვრებთა კულტურულ-ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად“[1].

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1965, № 272, გვ. 4.

ვ. ა. სტაროსელსკი მართლა ვერ მოესწრო რევოლუციას და თავის სამშობლოდან განდევნილი გარდაიცვალა 1916 წლის 26 აგვისტოს 55 წლის ასაკში.

1916 წლის 29 აგვისტოს პარიზში, სამგლოვიარო ეტლით სტაროსელსკის ნეშთი მოასვენეს კომუნარების სასაფლაოზე. სტაროსელსკის მეუღლე იგონებს: გვირგვინი იყო საქართველოს მშრომელების სახელით, რომელსაც ჰქონდა წარწერა „პატრონს“ მადლიერი საქართველოსაგან“. იყო გვირგვინი აგრეთვე ასეთი წარწერით — „მოქალაქეს, პროლეტართა საქმისათვის მებრძოლს“.

ვ. ა. სტაროსელსკი სასაფლაოზე მიაცილეს ახლო ნაცნობებმა, მეგობრებმა, ემიგრაციაში მყოფმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებმა და პარიზის შეგნებულმა მუშებმა.

ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა და ნეკროლოგი სტაროსელსკის გარდაცვალების გამო.

ჟურნალი „ცხოვრება“, რომელმაც ვრცელი ნეკროლოგი გამოაქვეყნა წერდა... „ავადმყოფს ლუკმა-პურისათვის ზრუნვა მეტად მძიმე დაღს ამჩნევდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გულს არ იტეხდა და მომავალს იმედით შეჰყურებდა.

იგი ამ რწმენით ჩავიდა საფლავში“.

საფრანგეთის ოხრანკის წარმომადგენლებმა სტაროსელსკის სიკვდილისთანავე გაჩხრიკეს მისი ბინა, წაიღეს ყველა ხელთნაწერი, დალუქეს დარჩენილი ქონება და ოჯახის წევრებს აუკრძალეს ბინაში შესვლა.

ვალენტინა სტაროსელსკაიამ ღირსეულად შეასრულა საყვარელი ქმრის დანაბარები, ჩამოვიდა საქართველოში და თან ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანა ორი ვაჟი. უფროსი ვლადიმერი 13 წლის და ალექსანდროსი იული 11 წლის.

ვ. სტაროსელსკის შვილები ვლადიმერი და იული სამამულო ომის წინ მუშაობდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ავტოქარხანაში. ომის დროს იული იყო ნაღმსატყორცნი დივიზიის უფროსის მოადგილე. იგი გმირული სიკვდილით დაეცა 1942 წლის თებერვალში. უფროსი ვაჟი ვლადიმერი გარდაიცვალა 1953 წელს ქ. მოსკოვში, ხოლო ცოლი ვალენტინა 1951 წელს. სტაროსელსკის პირველ ცოლთან ყავდა ოთხი ქალიშვილი, ელენე, თამარი, მარია და ადა. ამჟამად ცოცხალია ადა და თამარი, რომლებიც 1967 წლის ზაფხულში იყვნენ საქართველოში და სიყვარულით მოინახულეს სახელოვანი მამის ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა სტაროსელსკის რევოლუციური საქმიანობა და მის ოჯახს დაენიშნა პერსონალური პენსია.

ქართველი ხალხი ყოველთვის მადლიერების გრძნობით იგონებდა და იგონებს ვლ. სტაროსელსკის რევოლუციურ საქმიანობას, დიდი პატივით აღნიშნავდა და აღნიშნავს მის დამსახურებას საქართველოში ვაზის კულტურის გადარჩენისა და აღდგენა-აღორძინების საქმეში, ამიტომ იყო, რომ სოფლის მეურნეობის გამოჩენილი სპეციალისტი და საზოგადო მოღვაწე ერმილე ნაკაშიძე 1923 წლის აგვისტოში ვ. ა. სტაროსელსკის გარდაცვალების 7 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც გაზეთ „მიწის მუშაში“ დაიბეჭდა, წერდა: „სამართლიანობა მოითხოვს, პატივი ვცეთ ვ. ა. სტაროსელსკის ხსოვნას. დაუდგათ ძეგლი საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ სადგურში და ამასთან დავაარსოთ ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის სტიპენდიაო“.

ასრულდა ხალხის ეს სურვილი.

ვ. ა. სტაროსელსკის სახელის უკვდავსაყოფად საქარის საცდელ სადგურს, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში, მიენიჭა ვ. ა. სტაროსელსკის სახელი, ხოლო საცდელი სადგურის ეზოში დაიდგა ვ. ა. სტაროსელსკის ძეგლი.

შესანიშნავი მოქალაქის, საუკეთესო საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი აგრონომის და თავდადებული რევოლუციონერის ვლადიმერ სტაროსელსკის სახელს არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი ქართველი ხალხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მევენახეობა XIX საუკუნის ბოლოს და ფილოქსერის
გავრცელება საქართველოში 3
ვ. ა. სტაროსელსკი და საქარის საცდელი სადგური
ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი . . 21
რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში
მე-20 საუკუნის დამდეგს. ვ. ა. სტაროსელსკი ქუ-
თაისის გუბერნატორი 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი რედაქტორი გ. აბესაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. პაჭკორია
მხატვარი ი. გუკიევა
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექრედაქტორი ჯ. რთველიაშვილი
კორექტორი ლ. არჩვაძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 17/VIII-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-70 წ. ქაღალდის ზომა 70×103¼/32. პირ. ნაბეჭდი თაბახი 5,11+1 ჩ. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 4.

უე 01711. ტირაჟი 2000. შეკვ. № 669.

ფასი 12 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მოიკარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4.
Тбилисская типография № 4, Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Павел Прамонович Сахечидзе

Большой рачитель грузинской лозы

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა